



საქართველოს  
ხალხთა  
წიგნების ბიბლიოთეკა

# საბჭოთა ხელოვნება

СОВЕТСКОЕ  
ИСКУССТВО  
SOVIET  
ART  
SOWJETKUNST  
ART  
SOVIÉTIQUE



1973

# სეგვითა სელოვნება



შურნალი გამომცემის 1921 წლიდან

თუ ვატყობ  
მუსიკა  
მხატვრობა  
კინო  
უჩუბიტეჟტუჩუ  
ქოჩუოგჩუჟი

10

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საზოგადოებრივ-პოლიტიკური,  
ლიტერატურულ-მხატვრული, მეცნიერულ-თეორიული ყოველთვიური შურნალი

1973



თბილისი, 1978 წლის 5 თებერვალი. სურათზე: სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრი, სკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი ბ. პ. კირილენკო ხალხთა მეგობრობის ორდენს ამაგრებს საქართველოს სს რესპუბლიკის დროშაზე.

## გილოცავთ

ხალხთა მეგობრობის ორდენს,

კვირვასო ამხანაგებო!

მთავარი რედაქტორის მკვირ — გივი გუგუა

სარედაქციო კომპლექსი: შალვა ამირანაშვილი, გელა ბანძულაძე, პარლუ გომიძე, ოთარ შებაძე, ალექსი მამუკარიანი, ნათელა ურუშაძე, ღიმიტრი ჯანელიძე, ვანო წულუკიძე.

სსრკ 50 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფანიდან

ს. ცინცაძე.

„შეენახებები“. სერიიდან „ჩემი სოფელი“.



უცილობლად მივყავართ მის მიერ შექმნილი ადამიანის სახის გაღარიბებამდე, სოციალურ ყოფიერებაში მის გაქრობამდე. ასეთ კრიტიკას, როგორც წესი, თან სდევს მოწოდება ადამიანის არსებობის მაღალი ღირებულების რეაბილიტირების შესახებ.

ამასთან დაკავშირებით გავისწავთ რეალიზმის წინააღმდეგ მიმართული იდეოლოგიური კამპანიის ზოგიერთი თავისებურება.

ნეორეალიზმის დემოკრატიული ხელოვნება, როგორც გაბატონებული მიმართულება, შედარებით სწრაფად და დამსახურებულად განმტკიცდა ომის შემდგომი პერიოდის იტალიურ კინემატოგრაფიაში. მის მიმდევართა შემოქმედება უდიდესი წარმატებით სარგებლობდა მთელ მსოფლიოში და გარკვეული გავლენა მოახდინა კიდევ ევროპულ და არა მარტო ევროპულ სულეირ კულტურაზე.

მდგომარეობა იცვლება 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როდესაც ნეორეალიზმი შედის კრიზისის ფაზაში. კრიზისის სიტუაციამ წარმოქმნა მთელი რაიი ვერსიები მის სასიათსა და მიუხეზებუ.

ნეორეალიზმმა ამოწურა და უკანა პლანზე გადასწია პრობლემები, რომელთა ბატონობა განპირობებს ნეორეალიზმის ესთეტიკურმა პრინციპებმა. ასეთი განაწენი გამოუტანა ამ ხელოვნებას ბურჟუაზიულმა კრიტიკამ. ამ ვერსიას თუ დავერწმუნებით, იტალიელებისათვის, ერთნელეუ ეკონომიკის განვითარების შედეგად, აქტუალობა დაკარგეს ისეთმა თემებმა, როგორცაა სოციალური უსამართლობა და ადამიანთა სოლიდარობა. მშრომელთა ბრძოლა ელემენტარული ცხოვრებისეული კეთილდღეობისა და საზოგადოების დემოკრატიზაციისათვის. ასეთი დასკვნა მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. მიუხედავად ამისა, დამოკრატიული ხელოვნების ავანგარდული მიმართულების მსგავსმა კრიტიკულმა შეფასებამ დიდი გავრცელება პოვა და არა მარტო ბურჟუაზიულ ესთეტიკურ შეფასებაში. ამის საკვებს იძლეოდა კინომწარმოებლების მიერ ხელშეწყობილი ე. წ. „ვარდისფერი“ ნეორეალიზმის პროდუქცია, რომელიც სწინამდვილენი ნეორეალისტური შემოქმედების მოტივების პაროდირებას ეწეოდა. თუმცა, იტალიელი და საბჭოთაო მკვლევარების სამართლიანი დასკვნით, ნეორეალიზმის პრესტიჟისთვის საკარძინბო დარტყმა იყო ფელინისა და ანტონინის შემოქმედება.

ორივე რეჟისორმა თავის შემოქმედება ნეორეალიზმით დაიწყო. ამ მიმართულების შუაგულიდან ახორციელებდნენ მათივე საპროგრამო პრინციპების პრაქტიკულ გადახედვას.

ცნობილია, რომ ფელინი ყოველთვის (როცა არ ჰქონდა ამის საუფლებები) ამტკიცებდა ნეორეალიზმისადმი თავის ერთგულებას. მაშინაც კი, როდესაც მის სამართლიანად შეიკრებდნენ ირაციონალიზმისა და ანტიტექნიკული სიმბოლიკისადმი დათმობას (ფილმში „გას“), იგი ხაზს უსვამდა, რომ მისი ამოცანა ნეორეალიზმის გაღრმავებაა.

ფელინის მიზანია, რომ თანამედროვე ადამიანის პრობლემების გასაკვებად და გადასაწყვეტად „საქირთა სურათებს ვგადამეთ ფილოსოფიურ პლანზე — ისეთ თემებზე, როგორცაა ადამიანთა სიმარტვე, სევდა და უიმედობა...! ამის საწინამდეგო არაფერი გვაქვს, მაგამ შევდგომამ, როდესაც ხელოვნების ამაღლებული პრობლემების პირველ მიზეზებს ვეძებთ ადამიანთა რეალური ურთიერთობის მიღმა.

ნეორეალიზმზე საუბარში ფელინი არა ერთხელ აღნიშნავდა ამ ხელოვნების მიმდევარ შემოქმედებთა ყურადღებას ადამიანში გამოველინებინათ საზოგადოებრივი. საშწუარად, ამ მნიშვნელოვან თვისების მისეული განმარტება მისტიკოსს უფორ დააკამყოფილებს, კიდრე რეალისტ ხე-

# პიროვნების

# იდეალისტური

# ფილოსოფია და

# პერსონული ხელოვნება

ოლეგ მაკაროვი

შპსსანსნეწლი ორი ათეული წლის ბურჟუაზიული ხელოვნების ველოუცია დიდად არის დამოკიდებული პესინისტურ ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაზე, პირველ რიგში კი — პიროვნების უსახლე იდეალისტურ ფილოსოფიაზე.

დაღეს უკვე საყოველთაოდ აღიარებული ეს ტენდენცია თავს იჩენს ჯერ კიდევ 50-იან წლებში, როდესაც დასავლეთში ფართოდ გაიშალა მოძრაობა სოციალური და კულტურული ცხოვრების „დეიდეოლოგიზაციისათვის“.

აქ არ შეიგრძნობთ იმ თვითრულ მოსაზრებებზე, რომელთაც აყენებდნენ მხატვრული შემოქმედების დემოკრატიული, სოციალისტური ტენდენციების იდეური მოწინააღმდეგეები. გავისწავთ მხოლოდ, რომ ისინი ასეთ ტენდენციურობას თვლიდნენ მხატვრული აზროვნების არაბიძეექტურობის გამოხატულებად, რომელიც ხელოვნების როლს იდეოლოგიურ ინსტრუმენტად აქცევდა. კანტის ეპიგონებიდან მოყოლებული ესთეტიკური იდეალიზმის ეს ტრადიციები არსებით ცვლილებებს არ განიცდიან. თუმცა მათი ავტორიტეტტი შესაშინევედ შეირყა და ეს კარგად ესმით მის შემეკიდრეებსაც. ამიტომ, აღნიშნული ინტერპრეტაციის გააქტიურებისა და დასაბუთების მიზნით, ისინი მიმართავენ დემოკრატიული ხელოვნების, უპირველესად რეალისტური ხელოვნების მოკლენების ფილოსოფიურ კრიტიკას.

ისინი ისწრაფვიან დაამტკიცონ, რომ საზოგადოებრივი პრობლემებისადმი მხატვრის უპირატეს ყურადღებას

ლოვანს. „ჩემი აზრით, — ამბობდა ფელინი, — ყველაზე სასოფალოებრივი ელემენტი ადამიანში არის საიდუმლო. საიდუმლოსკენ გვიზიდავს არა მუნდღვანე საბირტუალიზმი, არამედ სიყვარული ადამიანისადმი“<sup>2</sup>.

საიდუმლო, ფელინის გეგმით, არის არა ადამიანის ყოვსა და შეგნებაში ჯერ შეცნობებისა და ძნელად შესამჩნევის სიონიში, რომელიც მუდამ იზიდავს ჯეშმარტის შემოქმედის წარმოდგენას, არამედ ადამიანთა არსების ხარისხში წარმოდგენილი ფსიქოლოგიური ცხოვრების ღრმა ინდივიდუალური გამოვლენა. სასოფალოებრივის ასეთი მისტიფიკაცია უდავოდ მოიხიბის, რომ ფელინიმ გაწვევით კავშირი ნეორეალისტის საუკეთესო ტრადიციებთან.

უსამართლო იქნებოდა ფელინის წარმოდგენა ანგარიშ-მიუცემელი ხელოვანად, ბედისხალ გაწვევებულად, რომელიც ადგილი ხელოვნებისთვის გააკვეთს წიანის მიყენების გარეშე ვაკაცებულა ძნელად გასაგები მიდურ-ფილოსოფიური მოძღვრებით. სწორედამგვარად ახსიათებენ დასავლოთელი კრიტიკოსები იტალიელი კინორეჟისორის ძიებას. მათი აზრით, ფელინის ავტორიტეტი ამტკიცებს ცნობილ თეზისებს, რომელთა შინაარსი ასეთია: რაც უფრო მნიშვნელოვანი და როდინაპურია ტალანტი, მით უფრო ნაკლებ არსებით როლს ასრულებენ მის შემოქმედებაში ჰოლოტიკური, ეთიკური, ფილოსოფიური და სხვა მსოფლო-ფილოსოფიითი თუ იდეოლოგიური უპირატესობანი. ასეთი იდეოლოგიური ვალსაზრისი ხელოვნებაზე ისევე ცალმხრივია, როგორც მეორე უკიდურესობა, რომელიც მსატერული ფენომენის მნიშვნელობას განსაზღვრავს მასში აღბეჭდილი სოციალური იდეებითა ერთობლიობაში. ორივე უკიდურესობა დაგავშირებულია მილიანის თითოეული მხარის (ემოციური, ფორმალური ან კონცეპტუალური) აბსოლუტისაყიასთან და მათ გაგლეხასთან ინდივიდუალურ და სასოფალოებრივ შეგნებაზე. ხელოვანის შემოქმედების გარკვეული დირებულები შეგასიანის, მაგალითად, კინომაჟორებელ ფელინის სურათებში თუ ხიზბოს პიროვნების სამყაროში ფსიქოლოგიური წვდომის საიდრე და იერსახეთა ემოციური ძალა, ეს არ ნიშნავს, რომ მათი ფილოსოფიური სარწული კვალს არ აჩვენებს ცნობიერებას.

ქუმსაჩიტად მსატერული ქმნილების ფილოსოფიური შინაარსი ყალიბდება მის ყველა სხვა ელემენტთა ორგანულ კავშირში და ამირმაც ხდება იგი არამატრო სპეციალური ახალიზის, არამედ ხელოვნების ამ მოვლენის მასიური აღქმის საგანიც. ორმაგად სამშობა, როდესაც ფართო აუდიტორიის ცნობიერებაზე მოქმედებს დიდი ხელოვანის ნიჭითა და ოსტატობით შექმნილი ნაწარმოები იდეალისტური და რელიგიური მოტივებით.

საუკუნეზე მეტი ხნის წინათ მარქსი წერდა, რომ ბურჟუაზიის ელემენტის ტალანტები. თანამედროვე კაპიტალისტური სასოფალოების კულტურისთვის ძალზე დამასათათებელია ეს გარდაუვალი პროცესი. მეორე მხრივ, გაბატონებულ კლასს დღეს, როგორც არასდროს, ესაჭიროება თაჟისი სასოფალოების ორბიტაში ჰყავდეს გამორჩეული მოაზროვნეები და ხელოვანი.

რეაქციული მსატერული კრიტიკისა და ესთეტიკის დამოკიდებულება ფელინის შემოქმედებისადმი ბურჟუაზიული დემოკრატიზმის წინააღმდეგობისა და არათანმიმდევრობის იდეოლოგიური გამოყენების ტრიბუნი მაგალითია. ფელინიმ მათი ყურადღება მიიპყრო არა პიროვნების სამყაროში ჩაღრმავების მისწრაფებით, არამედ იმით, რომ მან ამ მიმართულებით გაწვევით კავშირი ადამიანის გამოსახვის კრიტიკულ-რეალისტურ ტრადიციებთან.

მანში რთი შეიძლება აგსნათ ფელინის ხელოვნების მარტულები კრიტიკა მარტუნიდან, რაც მზირად უფრო მწკავე იყო ხოლმე, ვიდრე დემოკრატიული ბანაკის ოპო-

ნენტების გამოთქვამები ამ კინორეჟისორზე. ამ კონტრასტ პასუხი, პირველ ყოვლისა, უნდა ეგებეთ ფელინის მსატერული სამყაროს წინააღმდეგობრიობას და მრავალნიშინაობაში.

ელიტარული კულტურის მიმდევრებს, რომლებიც ღირსეულს მისწავლებ ფელინის ფანტაზიას, და უკიდურეს მემარჯვენიერუასის ადამიანებს წიხის გარის შემოქმედის დემოკრატიული სიმაპიებით. ისინი ვერ ურიდებიან მის დაუნდობლობას, რითაც ის პიროვნების რღვევას ხატავს ბურჟუაზიულ სასოფალოებაში. ამიტომ დაპარაკე კი უნებდება ბურჟუაზიული კულტურის იდეოლოგიებისა და მიმდევრების მიერ ფელინის უსიტკველი აღიარებაზე. მემარჯვენეთა მიერ ფელინის კრიტიკაში უნდა დაეინათო არამატრო რეჟისორის შესანიშნავი ხელოვნების ბურჟუაზიული დამცველური რეაქცია, არამედ მის ავტორზე იდეური შეგასიანისთვის ბრძოლის ფორმაც. რაც უფრო ნაკლებად ესმის კინოსათვის იდეოლოგიას მისი გაგლების ქვეშეყავ ხელოვანთა შემოქმედების შინაარსი, მით უფრო აქტიურად ებმებიან ასეთ ბრძოლაში ბურჟუაზიული ესთეტიკოსები და კრიტიკოსები.

სასოფალოებრივი პროგრესის კონცეფციებთან ანგარიშ-სწორება ეს არის პათისი და ისტორიის უახლესი იდეალისტური ფილოსოფიის ძირითადი შინაარსი. ასეთ კონცეფციების ავტორებს ბრალად ედებათ ისტორიული თვალცეხის მსკავლობაზე დეტერმინისტული, უსახური პრაქსისარისის გაგრეცლება, რასაც რეალური ინდივიდები მორალურ განაპარტებამდე და დემოკრატიზაციამდე მიჰყავს.

მსატერულ შემოქმედებაზე ფილოსოფიის გაგლების ანალიზს სწორად ხუნდება მუხლა მთელი რეე საკითხებთან, მათ შორის პირველია ნაწარმოების ფილოსოფიური მოტივების წყაროები და ხასიათი. გამოსატკვენი თუ არა ასეთი მოტივები შემოქმედის მრწამსი, ან სასოფალოების განსაზღვრულ განწყობილებას? იქნებ მასში უნდა დაეინათო არსებული თეორიული იდეების წარმოსახვა, ან იქნებ ისინი უნდა განიხილილი როგორც ცხოვრებისეული მოვლენების მსატერული ახალადმჩინის კონცეპტუალური ელემენტები? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩანს თუ არა მასში მწერლის, კომპოზიტორის, რეჟისორის სიახლოველი რამდენიმე ფილოსოფიური მოძღვრებასთან, თუ ისინი საკუთარ მიგნებებს გამოსატკვენი?

მსატერული შემოქმედების დეტერმინაციის ფილოსოფიური-იდეოლოგიური სირთულასა და მრავალპლანინაობაზე გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს თვით ხელოვანთა აღიარება და სხვა უტყუარი საბუთები.

აიპონური მწერალი კ. აბე მისი შემოქმედების კომპეტენტური მკვლევარების დასკვნების საწარმდებელი, თავის ნაწარმოებებში ურყევად ყოველგვარ გესხისტენციურ მოტივს. მისივე აღიარებით, ახალგაზრდობაში იგი განიცდიდა სარტრის გესხისტენციალიზმის გარკვეულ გავლენას, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ლიტერატურის, მათ შორის მსოფლიოში ცნობილ ნაწარმოებს „ქალი რიყეზე“, ამ ფილოსოფიასთან არაფერი აქვს საერთო<sup>3</sup>.

სახელგანთქმული შვედი კინორეჟისორი ი. ბერგმანი თავის ინტელექტუალური ინტერესებზე საუბარში აშკარა უპირატესობას აძლევს რელიგიურ პირობებებს. რაც შეეხება ფილოსოფიას, ის ასახელებს ფინელი ფილოსოფოსისა და ფსიქოლოგის ე. კაილის შრომას „პიროვნების დასტოვებაზე“. ბერგმანი კი სამართლიანად ითვლება დამსოფლოებელ ხელოვანთა შორის ყველაზე ფილოსოფიურად მოაზროვნე შემოქმედად.

ფილოსოფიურ არსოვნებასთან სისტემატური ნაცნობობიდან შორს არის ფელინის. ამაზე მიუთითებს ბ. რონანი, როდესაც აღნიშნავს კინორეჟისორის ფილოსოფიურ



ნიჭსა და მიდრეკილებებზე. მისი დამოწმებით, ფროიდისა და იუნგის ფსიქოანალიტიკური შრომებით დაინტერესებულმა ფელნიმ მხოლოდ ერთხელ მიმართა ფილოსოფიურ თხზულებას. მხედველობაში აქვს იტალიელი ფილოსოფოსის უ. ასპინეტოს შრომა „სიცილიელი, როგორც სიყვარული“. ამ შრომამ ფელნის ყურადღება მიიპყრო მას შემდეგ, რაც წიგნის ავტორმა ერთგვარი დამთხვევა აღმოაჩინა საკუთარ იდეებსა და მის თანამემამულის მთელი რიგი ფილმების თემატიკასა და მიტევებს შორის.

შესაძლოა რწინდ აქ მთლად სწორი არ იყოს, მაგრამ, ფელნის ფილოსოფიური შეხედულების დასასიყვისას, იგი ჟემპარიტეგისტთან ახლოს დგას.

აქ დასახლებულ ხელოვანთაგან განსხვავებით ამერიკელი პოეტი ს. კუნიცი ცხოველ ინტერესს იჩენს ძლიერ ახალი ფილოსოფიური მოძღვრებისადმი. იგი ამბობს: „ჩემი გვირი ჯერ პლატონი იყო, შემდეგ გამიტაცა კანტმა, შოპენჰაუერმა, უფრო გვიან — ჩარლზ ლ. პარსონსმა. ამ ბოლო პერიოდში ეს ძალთან დაკავშირებული ვიტგენშტეინით და სერითოდ ლიბევისტური მიდგომით“.

მართალია, კუნიცს უნდოდა პასუხის გაცემა იმაზე, თუ როგორ მოქმედებს მისი ფილოსოფიური ერთეულია პოეტურ პრაქტიკაზე, მით უნდა, რომ ის შუადა შემოქმედება გათავიფიცის ადამიანის ქვეცნობიერ მოღვაწეობასთან.

დასავლეთის ბევრი ხელოვანი, პირიქით, ღმრისტრაციულად აცხადებს თავის ერთგულებას სულის ხელოვნებასთან და უახლეს ფილოსოფიასთან, მისი სპეციალური განმტკიცების ჩართვით, რომელთა არაფერი აქვთ საერთო მხატვრულ შემოქმედებასთან.

ამერიკელი ესთეტიკოსი ფ. გოულდ-გლაკი ირწინით შენიშნავს, რომ ფილოსოფიასა და მეცნიერებაზე საუბრისას ხელოვნებასთან კავშირში ისინი (მხატვარი-დისტრუქტივისტები, სექსუალისა და ე. წ. კონცეპტუალური ხელოვნების მიმდევრები) ისწავლიან შექმნას ავტორიტეტების მრავალრიცხოვანი ფაზაზეები იმისათვის, რომ გააზარტონ იმ თავიანთი ხელოვნების მორალურ-ესთეტიკური კანონიერება. ამ კატეგორიის შემოქმედთა ფილოსოფიური სიმპათიები განადრის ვენის წრის პოზიტვიზმიდან კიბერნეტიკასა და ინფორმაციის თეორიამდე“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 50-იანი წლებიდან დასავლეთის ბურჟუაზიულ კულტურაში შეიმჩნევა ფილოსოფიური მხატვრული შემოქმედების დამოკიდებულების ზრდა. აღნიშნული გარემოება სრულადაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს დამოკიდებულება მანამდე ეპიზოდური იყო. მხოლოდ იმ მასშტაბებით, იმ დონით, როგორც ბოლო ოცე წელი, იდეალისტური ფილოსოფია არასოდეს განასხვავებდა მხატვრული პროდუქციის შინაარსს. ცნობილია, რომ თანამედროვე ბურჟუაზიულ ხელოვნებაზე უდიდეს მსოფლმხედველობით გავლენა მოახდინა ფსიქოანალიზის (მისი ანთროპოლოგიური ვარიანტები) და ეგზისტენციალიზმის იდეებმა.

ფსიქოანალიტიკური ანთროპოლოგია XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა და უკვე 20-30-იან წლებში ფართო რეზონანსს პიკოა ბურჟუაზიული საზოგადოებრივი აზროვნების სხვადასხვა სფეროში. რაც შეეხება მის გავლენას იმამდელ მხატვრულ კულტურაზე, იგი არც თუ ისე მცირე იყო, მაგრამ როგორ შეედრება 50-70-იანი წლების დასავლეთის ლიტერატურაში, კინემატოგრაფიაში, თეატრსა და სახვით ხელოვნებაში გავრცელებულ „ფსიქოანალიტიკურ აურზაურს“.

ანალიტიკური ეგზისტენციალური მსოფლმხედველობის გავრცელების სურათიც, 20-40-იან წლებში ეგზისტენციალური იდეების კონცეპტუალური თუ მხატვრული გამოვ-

ლინება ძირითად ინტელექტუალურ შეიმჩნევა. ეს იდეები იმ პერიოდის ხელოვნებაში ძირითადად ეგზისტენციალისტ მწერალთა ნაწარმოებებში იჩენს თავს. ასეთი მწერლებია: გ. მარსელი, ა. მალრო, ა. კამიუ, ჟ. სარტრი, ს. დე ბოვარი.

იმის შემდეგმ პერიოდში, განსაკუთრებით 50-იან წლებში, მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. სწორად აღნიშნავს ე. სლოვიოვი: „სხვადასხვა სახისა და ჯანრის მასობრივ ლიტერატურაში გავრცელებდნ უაღრესად ეშხტრული, უაღრესად არამპოპულარული კატეგორიები, რომლებიც „საერთო ენის კულტურის“ კუთვნილებად იქცნენ. მთავარი მიზეზი ამ გავლენიანი ფილოსოფიის გავრცელებას იყო ის, რომ იგი არამარტო სოციალური კატასტროფების კრატეკულად გააზრების საშუალებას იძლეოდა, არამედ თანამედროვე საზოგადოების ჩვეულებრივი, შედარებით სტაბილური, გათანაბრებული ცხოვრებისაც“.

ე. წ. აბსტრუის ხელოვნების პირობებში, თეატრალურ და ლიტერატურულ პრაქტიკაში განხილვის შედეგად, სრულიად სხვა გააზრება მიიღო, ვიდრე ეგზისტენციალურ დრამაში. „ასხურდის თეატრის“ დრამატურებისა და თეორეტიკოსებისთვის მთლიანად მისაღებია სოციალისტის ანტიუდობის თეზისი. ამასთან ერთად მათ გულუბრყვილოდ მიამიწათ თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის ეგზისტენციალისტებისუელი იმედი, როგორც კაცობრიობის მოღვაწეობის პრინციპი. მათი აზრით, ისინი „შორს წაიხედნ“ ამ მორიგი ილუზიისაგან. მათ ბურჟუაზიული (აგრეთვე, საერთო საკაცობრივ) ფასეულობანი და ცქცვის ნორმები დაიყვენს ციტირებულ მოკლენათა მსგეულობასა და საკუთარი არსებობის პირობებამდე.

„ასტრუის ხელოვნებაში“ შედარებით იოლია მის მიმდევრთა უკავიყოფილებათვის თვალის მიდევნება დასავლეთში გაბატონებული ფილოსოფიური და სოციალოგიური იდეების გამოყენების ზუსტი.

დასავლეთის ხელოვანთა შორის გავრცელებული შემეცნებითი პესიმიზმის მიზეზი იყო და რჩება მათი დამოკიდებულება ბურჟუაზიულ იდეოლოგიაზე.

ადამიანის გათქეფვა პესიმიზტური ფილოსოფიის აბსტრაკციანი გახდა არამარტო ზეამოცანა, არამედ მოდერნისტული შემოქმედების თავისებური საშუალო პრინციპი. მაკალოთისთვის აი როგორ გააოყურება იონესკის რეკომენდაციები თანამედროვე თეატრალურ-დრამატული სტრუქტურის შესახებ. მისი რწმენით, დრამატურაკასა და დამადგმელისთვის აუცილებელია, ერთი მხრივ, ასახოს უზრობა და ძალადობა, არსებულის, ადამიანის გონების სიცარიელებ; მეორე მხრივ, ნება დართოს ამ სიყარვლის თანდათანობით შეავსოს სცენა, სიტყვებს იქით დამალოს რეალური ადამიანების არარსებობა, ამოავსოს რეალობაში გაჩენილი ხელოვნება“.

ამრიგად, — განაგრძობს იონესკო, — „პერსონაჟები და სტრუქტურის აუცილებელი საფუძვლებიც არარეალური არიან, ყოველივე ეს არ არის არც რეალური და არც არარეალური (გაუგებარია, რას უნდა ნიშნავდეს ეს), უბრალოდ ციკლოდ და უხილავი. ეს „არაფერი“ რომელიც სცენაზე ემოციონობს, არის ხალხი. სცენაზე უნდა იგრძნობოდეს ხალხის ყოფნა. ამრიგად, სულ ერთია, რომ ვიქეათ სცენაზე არაფერი არ არის, ანდა არის ხალხი“. ამ სიტყვებში არის არა მხოლოდ ეგზისტენციალისტური ტერმინოლოგიის კოეკტობა, მასში თავმოყრილია ადამიანის სცენური შეგონების მთელი პროგრამა, რომელიც არაფრით არ არის გამარტლებული, არც თანამედროვე ციკლოზაქიზზე გულის აყრით, არც მისი მისწრაფებით ბოლომდე და-



ამხოს პიროვნების დამუკველი კაპიტალისტური კულტურის ყალიბდასველია.

ბურჟუაზიული ხელოვნების დამოკიდებულება იდეალისტურ ანთროპოლოგიაზე გავიშვარტავს, სექსუალურ პრობლემას რატიმ უკავია მნიშვნელოვანი ადგილი პიროვნების დაღვების პანორამაში.

სქესი გამოიხატება თამაშის ხარისხში და ადამიანური ძალის თავისებური რევანშიზმის ადრეში. ვარაიციები ამ თემის მრავალფეროვანია. 60-იანი წლების შუა ხინდან დასავლეთის ხელოვნებაში ფართო გავრცელება პოვა სექსუალური რეჟოლუციის ე. წ. რადიკალურმა მემარცხენე იდეამ, რომელიც გულისხმობდა პიროვნების განთავისუფლებას და ძირის უთხრინდა ტრატალური საზოგადოებრივი წყობის საფუძვლებს.

განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში დღეს გავრცელებული სექსუალური სიტუაცია (ფიქსირებული მრავალრიცხოვან სოციოლოგიურ დოკუმენტში) ფილოსოფიური ხასიათის მხატვრული განზოგადების საკამო მასალას იძლევა.

ანთროპოლოგიურ ტერმინს თუ მივმართავთ, შეგვიძლია დავადგინოთ, რომ ფართო მასებში შემჩვეული „სექსუალური წონასწორობა“ საზოგადოების არაკვილიდობის უტყუარი მოწმეა. აღნიშნულ მოვლენებს შორის არსებული გარკვეული კავშირი ნათელია. ამ კავშირის თეორიულ და მხატვრულ გააზრებაში ორი გზა შეიმჩნევა: ერთი გამომდინარეობს საზოგადოებრივი ურთიერთობის კონკრეტული ანალიზიდან, რომელიც იმყოფებიან რეალური ინდივიდები, მეორე — თვით ინდივიდების უცვლელი ბუნების შესახებ წარმოდგინება.

ასეთი მიდგომა პრობლემებისადმი ისტორიულიცა და კონსტრუქციულიც, ის არამარტო ხსნის პრობლემას, არამედ შესაძლებს სოციალურ-პრაქტიკულად მისი გადაწყვეტის უპიქტივებსაც. ბუნებრივი და ძველთაგან კულტურითიერული გრძობითი კონტაქტი ინდივიდის ინდივიდული, ინტობური კავშირის უსუე, ეგზისტერს ან პათოლოგიურ ლტობვად გადაქცევა — ყოველივე ეს, საბოლოო ანგარიშში, პროდუქტია ადამიანური ურთიერთობის კაპიტალისტურ-კაპიტული პროსტიტუირებისა. ამ სოციალური დაავადების გავრცელებაში განსაკუთრებული „დამსახურება“ მიუძღვის ბურჟუაზიული ხელოვნების, რომელიც თავის შემოქმედებაში უკვე კარგა ხანია ასახა სქესობრივი სიყვარული, მისი „საიდუმლოება“ და „მორალი“.

ბურჟუაზიული მხატვრების, ადამიანის ქვეყის მიზეზების ძიებისას, არაერთხელ წარმოსახეს ხელოვნებაში ფორტიანალიტური წარმოდგენებისა და იდეების ჯამი, ფსიქოლოგია და მის მიმდებარე მიერ დაკანონებული სქემა. ეს სიტუაცია, რასაც ზოგიერთი მისი კომენტატორი აღარებს ბიოლოგიური სიუჟეტებისა და სიმბოლიკის მოძილოებას შუასაუკუნეების ევროპის მხატვრულ პრაქტიკაში, წარმოდგენს გვიქმნის კონკრეტული ადამიანის ცალმხრივ-ბიოლოგიურ, ე. ი. აბსტრაქტულ არსებამდე მიყვანის „მექანიზმს“.

როგორც ცნობილია, ინდივიდუალური და შეუცნობელი კოლექტიური ხელოვნების მხატვრული ათვისების კანონიერი და ძალზე პერსპექტიული სფეროა. ადამიანთა მოღვაწეობაში შეუცნობელი (ქვეშეცნული) განზრახვებსა და პროცესებს მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება. ზოგ შემთხვევაში (მაგალითად, გაბატონებული იდეოლოგიური წარმოდგენების გატანურებელი კრიზისის პირობებში) ისინი დაღწევენ საგრძნობ გავლენას ადამიანის სოციალურ ქვეყაზე. მაგრამ ადამიანის ქვეყეცნული გულისწიდილის გამოხატვა, როგორც მათი ინდივიდუალური და სოციალური

არ აქტივობის განმსაზღვრელი ფაქტორისა, ნიშნავს ნამდვილი ფილოსოფიებისა. დასავლეთის მკითხველი, ანდა მაყურებელი ხშირად ხვდება ადამიანთა ხასიათებისა და ურთიერთობის რეალური სიმდიდრის სქემატურებს. ბურჟუაზიული ხელოვნება, კულტურული და სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის მნიშვნელოვანი მოვლენების მხატვრული ასახვისას, ყოველთვის მიმართავს ადამიანში აგრესიული და სექსუალური ინსტიტუტის გამორჩევას, ანდა ამ უკანასკნელთა სულიერიების მოტივს.

ბურჟუაზიული ხელოვნების ფილოსოფიური საფუძვლების დახასიათებისა შეუძლებელია არ შევხებით ამ ხელოვნების შემქმნელთა რელიგიურ ტენდენციებს. დღეს დასავლეთული შემოქმედების დიდი ნაწილი კრიტიკულად ეკიდება კანონიკურ რელიგიურ მოძღვრებას და, რა თქმა უნდა, სულის გადარჩენის საეკლესიო პრაქტიკას. ამასთან ერთად ბევრ მათგანს ზისლდა ჰგვრის პიროვნების ბურჟუაზიული ფილოსოფიის ინდივიდუალური პათოსი. ეს სიტუაცია მსოფლმშენებლობითი ნიჰილიზმის ერთ-ერთი წყაროა, ნიჰილიზმისა, რომელიც ხშირად წარმოშობს ახალ — სამყაროეული და ჭეშმარიტად ადამიანური რელიგიის არსებობით გამოწვეულ სევდას. ხელოვანი, რომლებიც გარსებობს თავთან პასუხისმგებლობას ადამიანთა წინაშე, ხელოვნებაში ეძებენ რაღაც დიდს, ვიდრე ადამიანისა და სამყაროსადმი საკუთარი ცნობისმოყვარეობის დამყარებულება. ყველას ვერ მოატყუებენ მითით კაცობრიობის წინაშე ავანგარდის „რეჟოლუციური დამახურებაზე“. ხელოვნება მოწოდებული უნდა იყოს შემოქმედროვის ადამიანები სიკეთისთვის, ყველასთვის და ერთისთვის.

ი. ბერგმანი წერს: „ჩვენ დაგვითრალეობთ წრეში, რომელიც ჩვენიც საზრუნავი ისეა შემოწვდული, რომ ერთმანეთისაგან ვერ ვარჩევთ ნიჰილიზმსა და სიყალბეს, განცხტრულ ჭინიანობას და წმინდა იდეალებს... სამოლოო აპაჩრობით ყველაფერი თავს ვიყრით ერთ დიდ ბაჰში. ვდგავართ და ვბლაკით იმ ზეგს სიმარტოეუზე, არ უპყმით ერთმანეთს, ვერ ვგრძობთ, რომ ვაგრძობთ ერთმანეთს“.

ბერგმანი დაღწეუნებულია, რომ დღეს ხელოვნებას დაკარგული აქვს ძველი საზოგადოებრივი მნიშვნელობა და განწირულია უნაყოფო იმანენტური არსებობისათვის.

ბერგმანი უნაყოფო დასავლეთული ინტელიგენტი როდია, რომელიც ამ ზრის იზიარებს. ბერგმანის, ისევე როგორც სხვა დასავლეთეოპოლი ხელოვანის, დრამა იმანია, რომ მისი საკუთარი პროფენება ვერ სძლევს ამ მანკიერ წრეს. ამ რელიგიური შეგნება, ამ უწმინდური ვულგარულ-მატერიალისტური მსოფლმხედველობა, რაც ადამიანს აიძულებს შეგნოს ბოროტებას და უპასუხისმგებლობას. თეიციკალური რელიგიის „მკვდარი“ ღმერთის ნაცვლად იგი ეძებს დიდ ღმერთს — უმაღლესი იდეის გამართიანებულს. იგი ყველამ თავის თავში უნდა აღმოაჩინოს, რათა ადამიანებთან იცხოვროს.

ახალი ღმერთის ძიების ტენდენცია დასავლეთ ევროპის ხელოვნებაში მოშობს იმას, რომ ბურჟუაზიული ფილოსოფია უძღვრება ადამიანის ყოფიერების, სიმარტოვის, შინის ახსურდულობის კატეგორიებში ფიქსირებულ მოვლენათა სხანაში. თანამედროვე იდეალისტური ანთროპოლოგია სცნობს ტრადიციული რელიგიური აზროვნების კრიზისის ფაქტს და ხელს უწყობს რელიგიური ზრახვების შეღწევის საზოგადოებრივი შემეცნების სხვა სფეროშიც.

რომანტიზმის იდეოლოგებთან პოლემიკისას ჯ. მარკლი წერდა, რომ „ისინი ადამიანის ბუნების საშინო იერს ხატავენ“.

დღეს ეს სიტყვები საუკეთესოდ ახასიათებენ ფილოსოფოსებსა და „მოზაელის აპოკალიპსის“ ხელოვანთ.

დასავლეთის კულტურის ოსტატებისა და ყველას, ვინც  
ღაინტერესებულია ხელოვნების აწმყოთი და მომავლით, გა-  
დაუღებელი ამოცანაა — უარყონ ბურჟუაზიულ-იდეოლო-

გიური წარმოდგენები ადამიანის უიმედოდ დაცემად, გა-  
ნავითარონ და გააგრცელონ დემოკრატიული, სოციალის-  
ტური იდეალი.

შენიშვნები:

- 1 კრებული „ფედერიკო ფელინი“, მ., 1968, გვ. 81 (რუსულ ენაზე).
- 2 იქვე, გვ. 82.
- 3 იხ. სტატია „სტუმრად კობო აბესთან“, გზ. „ლიტერატურ-ნაია გაზეთა“, 1973 წ., 1 იანვარი.
- 4 ი. ბერგმანი, როგორ კეთდება ფილმები“, კრ. „ინგმარ ბერგმანი“, მ., 1969 გვ. 249.
- 5 კრ. ფ. ფელინი, გვ. 141.
- 6 რინარდ კოსტელიანეცი, საუბარი სტენლი კუნცთან, ქ. „ამერიკა“ № 148, გვ. 35.

- 7 P. Gold-Gluck. The Moral Pronouncements of Some Curent Art Movement «Abstracts». Bucharest. 1972. p. 209.
- 8 კრ. „ფილოსოფია თანამედროვე სამყაროში“, მ. კ. შამარ-დაშვილი, ე. ი. სოლოვიოვი, ე. ს. შვირილი. კლასიკა და თანამედროვეობა: ბურჟუაზიული ფილოსოფიის განვითარების ორი ეპოქა. მ., 1973 წ. გვ. 72 (რუსულ ენაზე).
- 9 Eugene jonesco, Notes and Counter Notes, New York, 1964, p. 192.
- 10 იქვე.
- 11 ი. ბერგმანი, გვ. 250.
- 12 ქ. მარქსი, ფრ. ენგელსი, თხზ., ტ. I, გვ. 70 (რუსული ვა-მოცემი).



ა. ვორგაძე.  
უიქრები კოსმოსზე

# 3. ი. ლენინის კინოს შესახებ\*

კავოლუცინის შემადგომი კაბიოლო

გიორგი დოლიძე

დიდი მძიმბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ახალგაზრდა საბჭოთა კინემატოგრაფი მტკიცედ დადგა ჩვენი იდეოლოგიური ფონტის მოწინავე ხაზზე და პარტიის ერთგულ თანაშემწედ იქცა. საბჭოთა მთავრობა, მიუხედავად მიმდებარე კონომიური მდგომარეობისა და გააფთვებული სამოქალაქო ომისა, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი. უურადღებასა და სახსრებში არ აკლებდა სამამულო კინემატოგრაფს.

1919 წლის 22 თებერვალს სახალხო კომისართა საბჭომ ვ. ი. ლენინის თავმჯდომარეობით „კინემატოგრაფის გადუღებულ საჭიროებისათვის“ გამოიყო 10 მილიონი მანეთი, 27 აგვისტოს ისტორიული დეკრეტით კი, რომელსაც ხელი მოაწერა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ი. ლენინმა, მოხდა მიწელი კინოს ნაციონალიზაცია. ამის შემდეგ სახელმწიფო დახმარება სამამულო კინემატოგრაფიისადმი კიდევ უფრო ინტენსიური სახაით მიიღო. 1919 წლის 6 ნოემბერს, ვ. ი. ლენინის ხელმოწერით, საბჭოთა კინოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასამტკიცებლად გაღებული იქნა 26 482 800 მანეთი.

1920 წლის დამდეგისთვის ძლევამოსილმა წითელმა არმიამ საბოლოოდ გაანადგურა კოლჩაკი; იმავე წლის 7 თებერვალს ირკუტსკის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის გადაწყვეტილებით, კოლჩაკი დახვრიტეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ქ. ომსკში გაიმართა კოლჩაკის მინისტრების სასამართლო პროცესი, რომელზედაც სახელმწიფო ბრალმძღებლად გამოვიდა ცნობილი საბჭოთა იურისტი, მაშინდელი მცირე სასამართლოს თავმჯდომარე ა. გ. გოისბარგი (1883-1962). იენისში იგი მოსკოვს დაბრუნდა და ლენინს ჩამოტყდა ამ სასამართლო პროცესის რამდენიმე საინტერესო ფოტოსურათი და დოკუმენტი. ვ. ი. ლენინს კარგად ესმოდა, თუ რა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა აღნიშნულ პროცესს. ამიტომაც მან ფოტო-კინო-განყოფილების გამგე დ. ლემენკოს დაავალა სასწრაფოდ შეეჭმნათ ფოტოსურათები და კინოფილმი თეირგვარდოელ მინისტრთა გასამართლების პროცესზე („რეპულო“, გვ. 25).

დ. ლემენკომ სასწრაფოდ მოიწვია წინასწარი თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ თვით ა. გ. გოისბარგი, განყოფილების სადადგომ ნაწილის გამგე აბრამოვიჩი, ლიტერატურულ-მხატვრული კოლეგიის თავმჯდომარე ფ. ა. ოლეჟი და განყოფილების პოსტსმენებელი ფოტოგრაფი და

მხატვარი. თათბირზე ა. გოისბარგის ინფორმაციისა და მის მიერ ჩამოტანილი მასალის საფუძველზე განხილვის შემდეგ გადაწყდა დაუყოვნებლივ დაეწყო მუშაობა სცენარსზე, შემდეგ კი — დიდ ფილმზე, რომელიც თავისი მინაარსით გასცდებოდა მხოლოდ ერთი სასამართლო პროცესის ჩარჩოებს და გამოძიებით მოპოვებულ მასალებით ყველას გააცნობდა კოლჩაკის ავანტიურის არსს.

ა. გ. გოისბარგს დეველა მთავალი სცენარის პროექტის შედგენა ყოველგვარი კინემატოგრაფიული სპეციფიკის გათვალისწინებულად. ეს პროექტი მეორე დღესვე იქნა წარმოდგენილი და განხილული, რის შედეგადაც დაადგინეს სცენარის საბოლოო ვერსია, ხოლო ამ ვერსიის სრულყოფილად დამუშავებისთვის ავტორის მიაზარეს გამოცდილი სცენარისტი და ლიტერატორი, კინოგანყოფილების ლიტერატურულ-მხატვრული კოლეგიის წევრი ივანზინი. ა. გოისბარგმა და ივანზინმა რამდენიმე დღე იმუშავეს სცენარის შესაქმნელად მიღებული ვერსიისა და კინოს სპეციფიკის გათვალისწინებით. კინოგანყოფილების ლიტერატურულ-მხატვრული კოლეგია გულდასმით გაეცნა მას. სცენარში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანეს.

ყოველგვარ ამის შესახებ ვლადიმერ ილიას ძეს დავერი-ლებით სწერდა დიმიტრი ლემენკო. დ. ლემენკოს ეს წერილი მრავალმხრივ არის საყურადღებო. უპირველეს ყოვლისა, მასში ნამდვილი მოქალაქეობრივი გულისტკივილით არის აღწერილი ის სავერდო მდგომარეობა, რომელსაც მაშინ განიცდიდა ჩვენი კინემატოგრაფია. ამის გამო კინოგანყოფილების ხელმძღვანელები იძულებული იყვნენ თვით ვლადიმერ ილიას ძისთვის ეთხოვინათ... კინოფილი. ვ. ი. ლენინი დიდი გულისწყურით განსწოვბია ამ საკამოდ ვივლდ წერილს, რასაც ადასტურებს არა მარტო მისი რუსულენოვანი საკარგი ფაქტობის სახალხო კომისარ ლ. ბ. კრასინისადმი: *„Прому очень нажать и удовлетворить просьбу быстро“*, არამედ ლენინის შენიშვნები იმაზე, თუ ყველაზე მეტად რისთვის მიექციათ ყურადღება წერილში. ვლადიმერ ილიას ძის მიერ ხაზგასმული ადგილები ერთხელ კიდევ ადასტურებენ იმაზე, თუ როგორი გულისწყურითა და პასუხისმგებლობით ეცნობოდა იგი დოკუმენტებს.

უპირველესად ვლადიმერ ილიას ძე ხაზს უსვამს დ. ლემენკოს წერილის ამ ადგილს, სადაც ლაპარაკია იმაზე, თუ განყოფილება, რომელსაც მზად აქვს სცენარი და შეუძლია შეუდგეს კიდევ მის გადაღებას, რატომ ვერ დგამს პირველ პრაქტიკულ ნაბიჯებს. წერილში სახვამულოა, რომ განყოფილებას შეუძლია დაუყოვნებლივ შეუდგეს ამ ფილმის გადაღებას და ორ-სამ კვირაში დაამთავროს კინო-

\* დასაწესი იხ. „საბჭოთა ხელოვნება“ № 12, 19/2 წ.



დევ, მაგრამ, ამჟამად, ფირის აბსოლუტური უქონლობის გამო არაფრის გავეყვება არ შეიძლება.

როგორც ვხედავთ, კინოგაწყობებმა აშკარად იდგა იმ საშიშროების წინაშე, რომ ფერ შეასრულებდა ვ. ი. ოლნინის სასწრაფო დაავლებას. მას შემდეგ, რაც 1920 წლის განახლებულ გაიხსნა ფორმტი პოლითექთან, განყოფილებამ სასწრაფოდ (ისიც კონკურსის გადაცხადების) მოამზადა ასაღო სერია ავტოფილმების. ესენია: „წითელ ფრონტზე“, „ურბი და ნაბიალი“, „ომი—ომს“ და სხვ. კინოგაწყობებმა მთელი თავისი მარაგი ამ ავტოფილმების შევალა. როგორც დ. ლუმენჯოს წერილიდან ირკვევა, ამასთანავე სერიის მერვე დადგენილი ფილმის გადაღება უნდა კი დაიწყეს სანეგატეო ფირის უქონლობის გამო. ანაზ იყო შესაძლებლობა, განყოფილებამ სპეკულანტებისა თუ შემთხვევითი ადამიანებისაგან გაუჩინარა ფაისტიმი იძენ—და მიერადმუნ ფირის, მაგრამ მალე სპეკულანტებსაც ათე—ეწურათ გადასაღული მარაგი. ამდენად, განყოფილება იძულებული გახდა სრულიად შეეწყვიტა კინოფილმების დაღება.

ვლადიმერ ილიას ძეს განსაკუთრებული ყურადღება მიუძღევია იმ გულგრილობისათვის, რომელსაც ზოგიერთი ამანაგი იჩენდა კინემატოგრაფიის, მასობრივი ავიაციის ამ უმდაბრესი სახეობების მიმართ. დ. ლუმენჯო კვლავ მოაზრებს ვ. ი. ოლნინს, რა უწყუო და უხერხულ მდგომარეობაში იმყოფება განყოფილება, რომელსაც დიდი სურვილია და ენთუზიაზმის მიუხედავად, ფინიჭურად, სათანადო მასალების უქონლობის გამო, არ შეუძლია დაკე—მაყოფილოს წითელარმიელებისა და პარტიული ორგანიზაციების მოხორციელები საავტოგეო მინიფილმების ფილმების შექმნაზე. ამასთან დ. ლუმენჯო ვლადიმერ ილიას ძის ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ზოგიერთ და—უწყებლებს (ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს და სხვ.) ჯერ კიდევ გამოუყენებელი ჰქონდა კინოფირების ადრე შექმნილი მარაგი. ცხადია, კინოგაწყობებისა და მუშელო ასეთი დაწესებულებისთვის უბრალოდ წყერთმია შემორჩენილი ფირები, მაგრამ, რაკი ასე სასწრაფოდ უნდა შექმნიან მეტად მნიშვნელოვანი საავტოგეო ფილმები, დ. ლუმენჯო ითხოვდა, რომ კინოგაწყობებისათვის დროებით გადაეცათ სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შემორჩენილი ფირები; ამასთან კინოგაწყობებმა პირბაზს იძლეოდა, რომ მათ უკანვე დაბრუნება დასლ—გარაგაჩინება კინოფირების მიღებისათვის. წერილის და—სასწრულს გამოთქმულია აზრი, რომ განყოფილება უმოკლეს ვადაში გადაიღებს ფილმს კოლჩაკოშინაზე, თუკი კინო—ფირი განდებდა („კრებული“, გვ. 26—28).

ვლადიმერ ილიას ძე ჩვეულ დულისსმიერებით გაეცნო ზემოთხსენებულ წერილს. იმავე ვლეს 1920 წლის 8 ივლისს, იგი საპეიალურ წერილს უგზავნის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს და სთხოვს, რომ მნიშვნელოვანი და სასწრაფო საავტოგეო საბუთების ჩასაჭარბებლად კინოგაწყობებისათვის გადაეცა თუნდაც ნაწილი კინო—ფირის მარაგისა („კრებული“, გვ. 29). ანალოგიური ში—ხარისის წერილები გაუგზავნათ სხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომელთა ხელმძღვანელობამ ყველაფერი გააკეთა ამ საპატიო და სახასუნისმეგობო დავალების შესასრულებლად. ივლისის დასასრულს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარის მზადდევს ა. ლუგავას მოახსენება, რომ დამატებით 70 000 მეტრ კინოფორზე შეგვიან მიცემულია და საქონელი ნაწილობრივ უკვე მივიღეთ. ამ მხრივ არც შემდგომში შესუტებულა ყურადღება. 6 აგვისტოს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა წერილობით აც—ნობა სრულიად რუსეთის ფიტო—კინოგაწყობებებსა, რომ კინოგაწყობების სახელზე ესტოჩიეთანდ მიღებულია

კინოაპარატებისა და აღჭურვილობის სამი ყუთი, ხოლო 10 ოქტომბერს ა. ლუგავა ატყობინებდა ა. ვ. ლუხარასკის რომ მხედველობაში მივიდა რა თქვენი აზარტოზის მუ—მართვა და ის მნიშვნელობა, რასაც ასწ. ლენინი ანიჭებს ამ საქმეს, განკარგულება გავეყი სასწრაფოდ, რიგგარეშე შეიძინოს აუცილებელი მასალა კინოგაწყობებისთვის („კრებული“, გვ. 70).

ამ მხრივ განსაკუთრებით ეფექტური გამოდგა მუშობა მის შემდეგ, რაც 1920 წლის 12 ოქტომბერს სახალხო კომისარია საბჭომ დაადგინა, რომ დამტკიცებულიყო ა. ლუგავას წინადადება და კინოგაწყობებისათვის გამო—ეყუთ ერთი მილიონი მანეთი ოქროთი. სამი დღის შემდეგ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ერთ—ერთ დო—კუმენტზე აღინიშნა, რომ წლის განმავლობაში ბერილინთან მიიღეს ფირმა „პატეს“ 5 კინოაპარატი თავისი მოწყობილობით, ამას განა და მითითებო იყო, რომ ყველა სათა—ნადო ორგანიზაციას მიღებული ჰქონდა 68.372 მეტრი კინოფირი. ერთი თვის შემდეგ, 15 ნოემბერს, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი უკვე ატყობინებდა კინო—კომიტეტს, რომ რეიგანდ კომიტეტის სახელზე გამოიჭა—ვანა ერთი ყუთი, რომელშიც 3.300 მეტრი სანეგატეო ფირი („ავგუს“) იყო, ამასთან დამატებით იგზავნიოდა ყიდვი 1.700 მეტრად.

მიუხედავად ამისა, როგორც ირკვევა, ფილმი „კოლჩაკის მინისტრების გასამართლება“ მაინც არ დადგმულა. ჯერჯერობით ჩვენივე უცნობია ამის კონკრეტული მიზეზი. შეკე—ნობა მხოლოდ ვივარაუდობ, რომ სამოქალაქო ომისაგან განათავისუფლებული ქვეყნისთვის დაღდა გაცილებით მეტე—ვე და საჭიროებოტ პრობლემები, რომელთა გადაჭრა უპირველეს ამოცანად იქცა ასაღვარდა საბჭოთა არს—პუბლიკის სახალხო მეურნეობის აღსადგენად და ნორმა—ლიზაციისათვის. ეს ვარაუდი კიდევ უფრო საკულისსმოდ გვეჩვენება, თუ გავიხსენებთ ვლადიმერ ილიას ძის თეზი—სებს „სამრეწველო პროპაგანდის თაობაზე“, რომლის პირ—ველსავე უპყველი ნათქვამია:

„ასაღადლო მომენტში, რსფრ—ის სამხედრო გამარჯვე—ნებთან და საერთოდ მის საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებით, საწარმოო პროპაგანდა კვლავ პირველ რიგში უნდა იქნეს წა—მოწყული (ხაზი ჩვენია — გ. დ.). გამოიწერებოდა და ორგანიზაციულად განმტკიცებულა“.

ყოველივე აქედან შეიძლება დადგკნათ, რომ იმ დროისათვის, როცა ქვეყანა გადავიდა ახალ ეკონომიურ პო—ლიტიკაზე და უპირველესი ყურადღება დაეძიო სამრე—ველო პროპაგანდას, კოლჩაკოშინის არსის მნიშვნელებზე გაცილებით მნიშვნელოვანი იქნებოდა ძირითადი კაპიტლის გადატანა ქვეყნის აღმშენებლობაზე. მისი ეკონომიურ—სამრეწველო სილიერის განმტკიცებაზე. ამიტომ, როგორც კი საბჭოთა მეცნიერებმა შეიმუშავეს ტორფის მოპოვების ახალი მინერალიურები მეოდი, ვ. ი. ოლნინმა იგი „პირ—ველხარისისთვის სახელმწიფო მნიშვნელობის საქმედ“ მიიჩ—ნინა და დაუფინებოტ მოითხოვა განმეტატორფით მისი ფართო პროპაგანდა.

როგორ უნდა გავიგოთ ამ საკითხით ვლადიმერ ილიას ძის ასეთი დანტერესება, სა ისტორიულ—კონკრეტულმა მიზეზებმა ვანაპირობა იგი?

პარტიის IX ყრილობამ (1920 წლის მარტი—აპრილი) განიხილა საკითხი ერთიანი სამეურნეო გეგმის შესახებ. ამ გეგმაში მთავარი ადგილი ეჭირა სახალხო მეურნეობის ელექტრიფიკაციას. სწორედ ამ დროს დაიბადა ვ. ი. ოლ—ნინის ცნობილი ლოზუნგი: „კომუნინში ეს არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტრიფიკაცია“.



როგორც ცნობილია, ბმ/მ/რ-ს მიხედვით, უპირველეს ყოვლისა უნდა აშენებულიყო ტორფზე მომუშავე რამდენიმე მძლავრი ელექტროსადგური. ამდენად, გადავიბოძა, რატომ უკმაყოფილო ვა. ი. ლენინი ტორფის, როგორც საბოლოო, გამოყენების საკითხს ელექტროფიკაციის პრობლემებს, რატომ მიანდა, რომ სწორედ ტორფის მოპოვების მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების წიერ გზაზე დაყენება იყო ბმ/მ/რ-ს დროული და ნაყოფიერი განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობა.

იმ დროს ჩვენი ქვეყანა განიცდიდა ე. წ. საბოთბის შიმშილობას. კრიზისი უშთაურესად იმან გამოიწვია, რომ საბოთბის ძირითადი ცენტრები (დონბასი, ბაქო, გროსნო) ან განაპირა რაიონებში მდებარეობდნენ, ან თეთრკარადიელების მიერ იყენენ მოწყვეტილი. ამიტომაც, რუსეთ-ს ცენტრალური ნაწილი, მაშინდელი საბჭოთა ქვეყნის სამრეწველო ბირთვი, საბოთბის კრიზისში ჩაყარდა. საქმე იქამდეც იკ მივიდა, რომ 1919 წელს თათქმის ერთი თვით შეწყდა სამგზავრო მატარებლების მოძრაობა მთელს რუსეთში. ამის შედეგად განხორციელდა 220 ორთქლური რევი, რომელთა შემწეობითაც 3,5 მილიონი ფული პური უნდა გადაეტანათ ქვეყნის ცენტრში. 1919 წლის 17 ნოემბერს სახალხო კომისართა მიერ საბჭოთ. ვ. ი. ლენინის ხელმოწერით, დადგინა საბოთბის კრიზისის გამო დაეუბრათ მოსკოვის საბჭოთბები.

ცხადია, საბოთბის კრიზისმა თავისი დიდი დასავა კონემატორავიული ცხოვრებასაც, რადგან საგრძნობლად შემცირდა კინოთვატრებისადმი ელექტროენერგიის მიწოდება. ზოგჯერ, როგორც ეს თვატრების მიმართ მოხდა, ხელმძღვანელი ორგანოები იძულებული იყენენ ან სულ დაეუბრათ კინოთვატრები, ან საგაზებო წესები თუ ლინოტები შემოიღონ ელექტროენერგიის დასაზოგად და იგი უპირველეს ყოვლისა ახალგაზრდა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ფეხზე დასაყენებლად რეკომენდა. ასე, მაგალითად, 1919 წლის 13 იანვარს მოსკოვის საქალქო საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო სატყეალური დადგენილება კინოთვატრებისთვის ელექტროენერგიის მიწოდების შემცირებაზე.<sup>4</sup>

მიმივე მდგომარეობის გამო შეიქმნა „მოსკოვის ელექტროენერგითი მომარგების საგანგებო კომისია“, რომელმაც 25 თებერვალს დაადგინა, რომ დროებით შეწყვეტილიყო ყველა კინოთვატრის მუშაობა, თუმცა იმავე დღეს ხელოწმების მუშაობა პროდუკციონის დროებითმა გამგებამ კომისიის წევრზე აღძრა შუამდგომლობა ამ დადგენილების გაუქმებაზე.

ცხადია, ქვეყნის დედაქალაქი ვერ დარჩებოდა უკინო-თვატროდ. არადა, მდგომარეობა კატასტროფულად ხასიათის ლეულობდა. ბოლოს გადაწყდა, რომ კინოთვატრებისთვის პერიოდულად შეეწყვიტათ ელექტროენერგიის მიწოდება.

როგორც ვხედავთ, საბოთბის კრიზისი, რომელთანაც ბრძოლის იმხანად უდიდეს ყურადღებას უთმობდა ვ. ი. ლენინი, მიიღო მიიღო ქვეყანას და საგრძნობლად ხიზან აყენებდა მის ყოველდღიურ ცხოვრებას. ერთადერთი გამოსავალი იყო საბოთბის ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური და დროული გამოყენება. იმ დროს ეს ყველაზე რეალური და ყველაზე ხელმისაქადი გახდა ტორფი, რომლის გამოუღვეული მარაცა გააჩნდა რუსეთის ვ. ი. ლენინი პირდაპირ წერდა, რომ ტორფის მხრივ ჩვენისთანა მდღარი არც ერთი ქვეყანა არ არის.<sup>5</sup> მაგრამ ტორფის მოპოვების არსებულ კუბატორულ მეთოდში, რაოდენ ძლიერიც არ უნდა ყოფილიყო შრომითი ენთუზიაზმი, მაინც არ იძილვოა იმის განარტბას, რომ უახლოეს 10-15 წელიწადში ტორფის მოპოვება 10-ჯერ გაზრდებოდა, როგორც ეს ბმ/მ/რ-ს გეგმით იყო გათვალისწინებული. ამი-

ტომ დაწყო დიდი პრაქტიკულ-თეორიული სამუშაოები. ტორფის საბადოთა მასივების შესწავლა-გამოკვლევის მიზნით, 1918 წელს შატურში (მოსკოვის ოლქი) საფუძველი ჩაეყარა ტორფის პირველ ქარხანას და ა. შ.

სამბუთა კინემატოგრაფის სასახელი უნდა იქცეს, რომ მიხედვლად სიმეწილისა, მან შეტად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამ საერთო-სახალხო საქმეში და ამით თავიდანვე განსაზღვრა თავისი ადგილი სოციალისტურ მშენებლობაში.

უშუალოდ ვლადიმერ ილიას ძის მითითებითა და დავლებით შეიქმნა ფილმი ტორფის პირდავლიკური წესით მოპოვებაზე. ამ ფილმის, შესახებ გვიამბობს მისი ავტორი, რეჟისორი და ოპერატორი ი. ელიაბუტსკი. ამ უკანასკნელს ვ. ი. ლენინი იცნობდა ჯერ კიდევ 1907 წლიდან, როცა კენჭდა კიპრზე ერთად იყენენ მაქსიმ გორკისთან.<sup>6</sup>

ვ. ი. ლენინის მითითებითა საფუძველს სასწრაფოდ დაწყო რამდენიმე ელექტროსადგურის მშენებლობა. ი. ელიაბუტსკი იგონებდა, რომ 1920 წლის გასაფხულულ მასთან მივიდა მშურის ელექტროსადგურის ერთ-ერთი მშენებელი რევიტი — გადავლი ელექტროსადგურის მშენებლობა და თვით ტორფის მოპოვების პროცესი.

როცა დაბერნდი გადაღებული მასლით, — იგონებდა ელიაბუტსკი 1955 წელს, — შემხვდა კინემატოგრაფიული საქმის მაშინდელი ხელმძღვანელი დ. ლემენკო. მან მაიმბო ვლადიმერ ილიას ძის სურათზე ელექტროსადგურის მშენებლობის გადაღების შესახებ და რედესაც შეიტყო, რომ მე უკვე მზად მქონდა კადრები, დ. ლემენკო დაუკონებოდა დაუკავშირდა ვლადიმერ ილიას ძეს ტელეფონით და აუწყა ყოველივე. ამის შემდეგ დ. ლემენკო იწამა, რომ მე ტორფის საქმის რაღაც გაუმკებობა და, როცა შემოხდებოდა ინტერვიუ კლასიკმა სიხოვა, პილდორფის მუშაობის გადაღება, ეს სამუშაო მე დამავალი ამჯერად ი. ელიაბუტსკის გადაუღია ტორფის მოპოვების როგორც ძველი, ისე ახალი, ვ. ი. პილდორფიერი მეთოდი.

იღია, რომ ი. ელიაბუტსკის მიერ გადაღებული კადრები ვ. ი. ლენინისთვის ეწეებინათ, მაქსიმ გორკის ეკუთვნის. მას დაწვრილებით გამოუკითხავს ი. ელიაბუტსკისთვის ყველაფერი, რაც შატურის ელექტროსადგურზე მის მუშაობას ეხებოდა. თანაც უთქვამს: „ტყეალურილოდ როდი გამოკითხე ასე დაწვრილებით ყოველივე ეს. მე ვიცი, რომ ვლადიმერ ილიჩი ძალიან ცუდად არის ინფორმირებული პილდორფის საკითხებზე და ლენინის (კრასინი) მიანია, რომ აუცილებელია სწორი ინფორმაციის მიწოდება. არ შეიძლება, რომ ილიჩს ვაჩვენო შენს მიერ გადაღებული კადრები და ისიც რაც შეიძლება ჩქარა?“<sup>7</sup>

ი. ელიაბუტსკის თავი შუუკავებია, ვინაიდან, ჯერ კადრებისთვის წარწერები არ მქონდა გაკეთებული.

„არა უშუაზე, თავად ილაპარაკე“ — უთქვამს მაქსიმ გორკის. დიმიტრ შურევა ვ. ი. ლენინისთვის სატყეალური სეანსის მოსაწყობად.

ეს სეანსი ჩატარდა 1920 წლის 27 ოქტომბერს, კრემლიში. ვ. ი. ლენინის გარდა მას დასწრენ: სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. ს. ენუქიძე, „მთავარტორფის“ ხელმძღვანელები: ი. ი. რაბინედი და ვ. შ. მორხოვი, აგრეთვე მაქსიმ გორკი, მარია ანდრეივა, დ. ლემენკო, ვ. ბოლტანსკი, გ. კრეტივა-ნოსკი, ვლ. ბონჩ-ბრუველი, თვით ი. ელიაბუტსკი და რ. კლასინი, აქვე იყენენ პრესის წარმომადგენლები, მეიცი საჭომატების მთელი აპარატი, კრემლის სამთავრო კურსების მშენებლები, ძველი ბოლშევიკი, იმხანად სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტე-



ტის თანამშრომელი ე. ი. დრახანა, რომელმაც საინტერესო მოგონებები შემოგვინახა.<sup>3</sup>

ამ სპეციალურ ხესანს მხოლოდ საინფორმაციო ხასიათი როლი ჰქონდა. ეს იყო ნამდვილი დისკუსია, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა საკითხი: მიეცემოდა თუ არა მოქალაქეობრივი უფლება ტორფის მოპოვების ახალ ჰიდრაულიკურ, გაკლდებით მექანიზებულ მეთოდს, რომლის ავტორები იყვნენ საბჭოთა მეცნიერები ბ. ე. კლასონი<sup>4</sup> (1868-1926) ვ. ე. დ. კირაჩინიკოვი. თავდაპირველად ამ ასაკი მეთოდი დიდი უზიანდევადობა გადასახედა მიუხედავად ძველი მეთოდის მიმხრეები, მათ შორის ტორფის მრეწველობის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელებიც ი. ი. რაღინჯი და მ. ვ. მოროზოვი, ანსებითად უარყოფდნენ ასაკი მეთოდის სამეურნეო და ტექნიკურ მნიშვნელობას.

საბოლოო აზრის გამოსატანად, სხანსზე დემონსტრირებული იყო ტორფის მოპოვების ძველი და ასაკი მეთოდის ამსახველი კადრები, რომელთაც ვლადიმერ ილიას ძის განსაკუთრებული ყურადღება დაუმსახურებიათ.

„მასთვის, თუ როგორი ჩქარი ნაბიჯით, თითქმის სირბილით შემოვიდა ილიაი, — ივრინება ი. ჟელაბუჟსკი 1933 წელს, — გულბითად მივყვალამ ყველა, მივგონა ჩემთან ძველი შეხვედრები კაპრზე, მერე გვერდით ჩამოვიჯდა და მისხვა, პირდაპირ დაევიწყეთო. ვინაიდან სურათი უარსწერად იყო, მე ვიდრედი ახსნა-განმარტებულს, ვლადიმერ ილიამ მისხვა, რაც შეიძლება ხმამალა ილიაპარაკი, რომ ყველამ გაავიწყინოს.“

სხანსზე მოსვლისას ვ. ი. ლენინის ძალთან დაღლილი ჩანდა, მაგრამ იგი უცებ გამოიქცვლა. აღარ კმაყოფილებოდა ჩემი ახსნა-განმარტებით და შევიკნინეს გვაძლევდა, როგორც მე, ისე იქვე, შორისავე მჯდომ ბ. ე. კლასონს. ცხად იყო, რომ ყოველივე იმან, რაც ვერანსზე ხდებოდა, ლენინის ძლიერ დაინტერესა.<sup>5</sup>

სხანსის დამთავრებისასაც იქვე, დარბაზში, გაიმართა დისკუსია ძველი და ასაკი მეთოდის მიმხრეები შორის. აღსანიშნავია, რომ ვლადიმერ ილიას ძე, როგორც ი. ჟელაბუჟსკი ივრინებს, არა თუ აჩერებდა მოკამათების, არამედ, პირიქით „აქუჩებდა“ და კამათს ამწყვებდა, რადგან ბოლოს და ბოლოს უნდა გადაწყვეტილიყო მეტად საგულისმომ და სასველმწიფო მნიშვნელობის საქმე.

როცა ძველი მეთოდის ერთმა მომხრემ განაცხადა, ყველაფერი ეს კარგია თორიულად, მაგრამ პრაქტიკულად ტორფი არ გავაწინაო, ვ. ი. ლენინი მიუბრუნდა ი. ჟელაბუჟსკის და ჰკითხა: სად გადაიღო ეს კადრებიო? „ჰიდროტორფზე“ — მიუგო მან. მაშინ ვ. ი. ლენინმა ყველას მადლობა გადასცა, მერე სწრაფად შებრუნდა და გაიქცა.

კინემატოგრაფიის თვალსაჩინოების წყალობით ასე გადაეცა ტორფის მოპოვების ასაკი ჰიდრაულიკური მეთოდის პრაქტიკაში დანერგვა. ვ. ი. ლენინისთვის ნათელი იყო ხანდა ამ სახალის ფეფქტურობა და ამიტომაც გამოაცხადა იგი „სპრეველბარისხვან სახელმწიფო“ საქმედ. „კინემატეკნიკის სამსახურში — დიდებულ საქმე“ — განაცხადა ვლადიმერ ილიას ძემ. ი. ჟელაბუჟსკით აღვრთოვანებულმ ბარია ანდრეევას გადაუღაპარაკა: ხედავ, როგორა ჩვენი ენა?<sup>6</sup>

როგორც ირკვევა, ვლადიმერ ილიას ძეზე ისე იმოქმედა ი. ჟელაბუჟსკის მიერ გადაღებულმა კადრებმა და სხანსის შემდეგ ჩატარებულმა დისკუსიამ, რომ მოსულმა საბჭოების გავრცელება მაქსიმ გორკისთან, მარია ანდრეევასთან და ფოლმის გასინჯვის სხვა მონაწილეობთან ერთად. იგი წავიდა რკ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ე. დ. სტასოვას ბინაზე, სადაც მთელი საღამო საუბ-

რობდნენ ასაკი გამოგონების პერსპექტივებზე, გომტორს-ვეგმაზე, რუსეთის ელექტროფიკაციის მომავალზე.

მეორე დღესვე ვ. ი. ლენინმა, როგორც სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ, წერილი გაუგზავნა „მთავარტორფის“ მმართველს ი. ი. რაღინჯის, წერილის ასლები კი — რამდენიმე პასუხისმგებელ მუშაკს, მათ შორის სამხედრო და სასლავო საქმეთა სახალხო კომისარს და რესპუბლიკის რევოლუციური სახმედრო საბჭოს თავმჯდომარის მიაღივებს ე. შ. სლიანისს, ა. შ. ლევაკის, პროფ. ი. ვ. ლომინოსის, თ. შ. კლასონს. ვლადიმერ ილიას ძე თავის საღიერქტივო წერილში ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ქვეყნის სახელის მურქობისა და ელექტროფიკაციის დასადგენად ტორფის მოპოვების მექანიზაცია იძლევა შესაძლებლობას წინ წავიხდო გაკლდებით ჩქარი, მტკიცე და უფრო ფართო მოხმობით. ამიტომაც, ვ. ი. ლენინი მოითხოვდა, რომ სასწრაფო ზომები მიეღო, რათა ამ საქმისათვის სასველმწიფო მასშტაბი მიეცათ. ვ. ი. ლენინის წერილი ამავე დროს შეიცავდა რამდენიმე განკარგულებას შესაბამისი უწყებებისა და ორგანიზაციების მიმართ, რაც შეეხებოდა კონფინიციულობებს, ვ. ი. ლენინს მოითხოვდა, რომ კინოს სასუველმით ფართო პროპაგანდა გაეწევა ჰიდრაულიკურ მეთოდს, ამავე დროს ფოლმების ჩვენებას აუცილებლად წამმდარებოდა მოკლე განმარტებითი ლექცია ტორფის მოპოვებისა და ელექტროფიკაციის მექანიზების გიგანტურ მნიშვნელობაზე.

ამ მითითების საფუძველზე ვ. ი. ლენინის მიერ ნანახი და მოწინებული კადრებისაგან ი. ჟელაბუჟსკიმ დაამონტაჟა სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „უნდა შეგვედლოს საკუთარი სიმდიერის გამოყენება“, რომელიც ოთხი ნაწილისაგან შედგებოდა. ამ ნაწილების სახელწოდებანიც კი საკმაო წარმოდგენას გვაძლევს ფილმის ნათელ თემატიკაზე და იდგურ მიზანდასახულებებს: 1. რა არის ტორფი და როგორ ხდება მისი მოპოვება; 2. ტორფის მოპოვების მექანიზაცია; 3. რისთვის არის საჭირო ტორფი და რა სარგებლობა მოაქვს მის გადაქცევას ელექტროენერჯიად. 4. საბჭოთა ხელისუფლების მიერ ძლიერი რაიონური სადგურების აგება.

ამდენად, გასაგები უნდა იყოს ის ცხოველი ინტერესი, რომელიც ამ ფოლმმა გამოიწვია. იმდენად დიდი იყო მასზე მოთხოვნობა, რომ ავტორმა გამრავლებაზე ვერ მოასწრო, ისე დაიწყეს ამ ერთადერთი გენუმლარის დემონსტრირება სხვადასხვა საბაუსისმეგელო შეხვედრაზე. ასე, მაგალითად, იგი უჩვენებს საბჭოების სასოის სვეტებიან დარბაზში საბჭოების VIII ყრილობის დღეუვატებს, რკ(ბ) მოსკოვის კომიტეტის წევრებს, ასაკულმწიფობის კომინისტური კავშირის კრების დღეუვატებს და ა. შ. მხოლოდ 1921 წლის ანგარის მიწურულში გახდა შესაძლებელი შეექმნათ ფილმის ოთხი გენუმლარი, ერთი ცალი გადაეცა პეტროგრადის კომიტეტს, მეორე — სრულად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ავტოტემატის და მატარებლების სამმართველოს, მესამე — მიწათმოქმედების სახალხო კომისარატს.

ამას გარდა, გაკეთდა კიდევ ორი ცალი ფილმის იმ ნაწილებისა, რომლებიც უშუალოდ ჰიდროტორფს ენებოდა. ერთი კომინისტრის გადაცემა, მეორე კი — საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენელს იტალიაში ვ. ი. ვორგესის (1871-1923), რომელსაც იმ ხანებში დავიდა რუსეთის კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციის გენერალური მდივნობაც, მაგრამ უჩვენებს თუ არა ეს კადრები იტალიაში, არ არის ცნობილი. დაბეჭდაც აგრეთვე სპეციალური გენუმლარიც, რომელიც თვით რ. კლასონმა წაიღო გერმანიაში.

1920 წლის 22 დეკემბერს, თავის მოხსენებაში სახალხო კომისართა საბჭოს მუშაობის შესახებ საბჭოების VIII სრულიად რუსეთის ყრილობაზე, ვ. ი. ლენინი სპეციალურად შეეხო, თუ რა მნიშვნელობა ენიჭებოდა ტორფის მოპოვების ახალ, ძირდავლიერ წესს და ბოლის ყრილობის დელეგატებს ურჩია ეხანათ ზემოხსენებული ფილმი.

...სათობის დარგში, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — ჩვენ გვაქვს ერთ-ერთი უდიდესი წარმატება ტორფის მოპოვების ძირდავლიერ წესის სახით... ჩვენ ისეთი დიდი პროდუქციის წინ ვიმყოფებით, რომელიც სამეურნეო შრომად დასაყრდენს მოგვცემს... ტორფის ძირდავლიერ წესით მოპოვება, რაც ასეთი წარმატებით დასძრა წინ სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ, შესაძლებელს ხდის დიდძალი რაოდენობით მივიპოვოთ სათობი... ჩვენ ეს მანქანები დაგამზადეთ, მე პირადად ვურჩევდი ამხანაგ დელეგატებს ეხანათ ტორფის მოპოვების სამუშაოთა კინემატოგრაფიული ასახვა, რაც მოსკოვში უჩვენეს და შეიძლება დემონსტრირებული იქნას ყრილობის დელეგატებისათვის. ის მოგვცემს იმის კონკრეტულ წარმოდგენას, თუ სად არის სათობის შიმშლობაზე გამარჯვების ერთ-ერთი საფუძველი.<sup>11</sup>

ესაღია, ვ. ი. ლენინის გამოსვლის შემდეგ მართლაც გაიმართა ასეთი სეანსი ყრილობის დელეგატებისთვის. მაგრამ მისი თარიღი ჯერჯერობით ზუსტად დადგენილი არ არის. გ. ბოლტიანსკი ჯერ კიდევ 1925 წელს წერდა, რომ ეს იყო 1920 წლის 23 დეკემბერს,<sup>12</sup> ვ. ი. ლენინის მოხსენების მეორე დღესვე; ვენ. ვიმეცკი კი იგი წლის შემდეგ, რატომღაც, ჩვენთვის უცნობ საბუთზე დაყრდნობით, ეს თარიღი 26 დეკემბრისთვის გადაიტანა.<sup>13</sup> აღსანიშნავია, რომ ამ სეანსს დაესწრო აგრეთვე ზემოხსენებული ვ. ი. დრაბკინა, რომლის მოგონების ერთი თავი (მისი მომავალი წიგნის ნაწყვეტი) 1965 წელს გამოვეყენა ჟურნალ „ისკუსსტო კინოში“.<sup>14</sup> ისტორიკოსი ა. გაკი ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით იმყოფებს ჟურნალში გამოქვეყნებულ მასალას და ასკვნის,<sup>15</sup> რომ თითქოს ამ მოგონების მიხედვით ზუსტად მტკიცდება დელეგატებისათვის ჩატარებული სეანსის თარიღი 23 დეკემბერი, მაშინ როცა სინამდვილეში 1965 წლის ჟურნალ „ისკუსსტო კინოში“ გამოვეყენებულ ვ. დრაბკინას მოგონებაში არაფერია ნათქვამი თარიღზე.

ჩვენი აზრით, არაფერი სადავო არ უნდა იყოს იმაში, რომ ი. ჟელიაბუჟსკის ფილმი „უნდა შეგვეძლოს საკუთარი სიმდიდრის გამოყენება“ სწორედ ვ. ი. ლენინის მოხსენების მეორე დღესვე უჩვენეს ყრილობის დელეგატებს — ვ. ი. 23 დეკემბერს. სხვა თუ არაფერი, ამას წერს თვით ავტორი ფილმისა ი. ჟელიაბუჟსკი.<sup>16</sup>

როგორც შემდეგ დაერწმუნდით, ი. ჟელიაბუჟსკი ფილმის ჩვენების წინ ყოველთვის გამოდიოდა შესავალი სიტყვით, რომელსაც ცოტა ჰქვემოთ ჩვენც ვავეყვებით. ასე მოხდა ამ დღესაც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სეანსის ამაყებაზე აღუდგირიის წინამე მოხსენებები გამოვიდა ძირდავლიერ წესით თანაავტორი ინჟინერი ვ. დ. კირპიჩნიკოვი.


იგივეს მოუთითებს გ. ბოლტიანსკიც, რომელიც სხვა საინტერესო ცნობასაც გვაწვდის. კერძოდ, იგი წერს, რომ ამაყებაზე აღუდგირიის წინამე მოკლემეტრებიანი მულტიპლიკაციური ფილმი<sup>17</sup> ბოლშევიკ-ს გვემის შესახებ.

ვ. დრაბკინას მოგონება კი გვამცნობს, რომ დელეგატებისათვის მოწყობილ კინოსეანსს ვლადიმერ ილიას ძეც დასწრები. ლენინს ეს ფილმი, უფრო სწორად, მისი მასალა, ნანახი ჰქონდა 27 ოქტომბერს, მაგრამ სეანსზე ხელახლა დასწრებით მან ეროსელ კიდევ გაუსვა ხაზი ფილმის მნიშვნელობას.

სსრკ 50 წლისთავისადმი  
მიმდევნილი გამომგონებელი

ა. მანძელაძე.

ლენინის გავრცელება (ფრაგმენტი).



ვ. ი. ლენინმა მოითხოვა, რაც შეიძლება ფართოდ და ეფექტურად გაეშალათ ტორფის მოპოვების ძირდავლიერ წესის პროპაგანდა, ფილმი ეჩვენებინათ ყველგან, სადაც კი ამის ტექნიკური შესაძლებლობა იქნებოდა და, როგორც წესი, ყოველ სეანსს თან ხლებოდა შესაბამისი დელეგატი. სწორედ ამ მიზნით „ძირდავლიერ წესზე“ სამეურნეო პროპაგანდის განყოფილება, რომელსაც განაგებდა ი. ჟელიაბუჟსკი.

ვ. ი. ლენინი ყოველთვის მოითხოვდა იმის უზუსტეს შემომწებას, როგორი ოპერატიულობითა და ეფექტურობით სრულდებოდა მცდეული დადგენილებანი, თუ სადინრეტქტივო მიზნითიანი. 1920 წლის დეკემბერში სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მწარმოებელმა ნ. პ. გორბუნივმა სპეციალური რეგულიაც კი შემიძლია, რომელშიც

ყოველდღიურად, შექმნიდა ვლადიმერ ილიას ძის ახალ-ახალი დავალებანი.<sup>18</sup> ამ თავისებური დღიურიდან ირკვევა, რომ სხვა უაღრესად მნიშვნელოვანი სახელმწიფო საკითხებთან ერთად, ვლადიმერ ილიას ძე სისტემატურად აღვიწყნდა თვალ-ყურის ტო რეორგანიზაციული მითითებანი კინემატოგრაფიის საკითხებზე. მაგალითად, 1921 წლის 20 იანვარს ვ. ი. ლენინს გაუცია შემდეგი განკარგულება — შეემუშავებინათ, კინოფილმ „ჰიდროტორფის“ ჩვენებას თუ ახლად პოპულარული სახაითის საუბარი ამ თემაზე. ერთი კვირის შემდეგ ვლადიმერ ილიას ძეს კვლავ მოუხიზარა შემოქმედა. ამ მიზნით ნ. გორბუნიძის „ჰიდროტორფში“ ვ. კირპინიკოვის სახელზე გაგზავნა სპეციალური ტელეფონოგრამა.

რეჟისორი ნ. განავა მუშაობს გ. ფანჯიკიძის განსაკუთრებული ნაწარმოების „თვალი პატიოსნის“ დადგმაზე. მ. ქუჭუხიძე დგამს მ. გორკის პიესას „მოაგარაკენი“. თეატრის ხელმძღვანელი და ალექსიძე განახორციელებს არისტოვანეს „ფრინველების“ დადგმას. უნდა ითქვას, რომ არის გაუმჯობესებული კომედიები არასდროს დადგმული ქართულ სცენაზე.

გამოჩენილი მსახიობი ვ. გიძიაშვილი დადგამს ი. გედევანიშვილის „სინათლეს“.

ამას გარდა თეატრი იმუშავენ სხვა ნაწარმოებებზეც. რათა უფრო სრულად წარმოდგეს მისი კოლექტივის შესაძლებლობანი.

შუამავლის სახელობის სომხური თეატრის რეპერტუარშია ა. შირვინაშვილის „შორანის ნათლობა“, ა. შაპინიანის „დაე დარეკოს ზარმა“, მ. შამხალავის „შენ ჩემი

დღდა ხარ“, ნ. დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა“, ა. გე-  
წაძის „პაემანი ცაში“. სომხური თეატრისათვის მნიშვე-  
ლოვანი უნდა იყოს ახალი სეზონი. თეატრმა ყველაფერი  
უნდა გააკეთოს მხატვრული დონის ასამაღლებლად.

საინტერესო სარეპერტუარო განაცხადით ხედვებთან  
ახალ სეზონს საბავშვო თეატრები. მოზარდ მაყურებელთა  
ქართული თეატრის სცენაზე დაიდგმება გ. ხახუცარიძის  
„ჭინჭრაქა“ (რეჟ. თ. მაღალაშვილი), შილერის „ჟანა  
დარკი“, ციფერაის „ანდერსენის ზღაპრები“. რუსული  
მოზარდ მაყურებელთა თეატრი სეზონის პირველ ნახევარ-  
ში წარმოადგენს მოლიერის „სკაპენის თიხებს“ (რეჟ  
ნ. ჯანდიერი), კურგატინკოვის „შენ რას აიარევიდი“,  
ვ. სმირნოვის „შფოთიან თვეს“.

თბილისის თოჯინების თეატრი დადგამს ს. პროკოფიე-  
ვის პიესას „ჩემებიანი მგელი“, აგრეთვე კომპოზიტორ  
ჩორგოლაშვილის საინტერესო მუსიკალურ ნაწარმოებს  
„ნახევარი წიწილა“.

სეზონის მნიშვნელოვან მოვლენად უნდა იქცეს რუსთა-  
ვის თეატრის „მეფე ლირი“ (რეჟ. გ. ლორთქიფანიძე).  
ლირის როლს შეასრულებს აკ. ვასაძე. დიდი ინტერესით  
ველით შეესაბამება ახალ შეხვედრას. ქართული საზოგა-  
დებისთვის მეტად საინტერესო იქნება ცნობილი რუსი  
დრამატურგის კარასტილოვის „ფიროსმანის“ დადგმა.  
რუსთავის თეატრში კარასტილოვის პიესას „ასი წლის შემ-  
დგ“ დიდი წარმატება ხვდა და ახალი ნაწარმოებიც ალ-  
ბათ ახალ სიხარულს მოგვიტანს.

თეატრი დადგამს აკ. გეწაძის გონებამახვილურსა და  
ხალისიან ნაწარმოებს „გზა მიცით ყარამანს“ (რეჟ.  
ი. კაკულია).

სეზონს ახალი გეგმებით ხედვებთან თბილისის გრიბოე-  
დოვის სახელობის, ქუთაისის, სოსუმის, ბათუმის ცხინვა-  
ლის, გორის, თელავის, მესხეთის, მახარაძის, ზუგდიდის,  
ჭიათურის, ფოთის, ქუთაისის თოჯინების თეატრები.

ახალმა სეზონმა უნდა გვეგარბინოს, რომ ჩვენს თე-  
ატრალურ ცხოვრებაშიც ხდება გარდატეხა. უნდა შეიქმნას  
თანამედროვეობის თანახმიერი, იდეურად და მხატვრულად  
მაღალხარისხისთვის წარმოდგენები.

გასაკუთრებული ზეგნა. თეატრების შემოქმედებითი და  
ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესება, მთელი ძალე-  
ბის კონსოლიდაცია, სინთეზი მათი ნაფიქრისა და გახც-  
დილის, ნიჭისა და უნარის, რომელიც თეატრის კოლექტი-  
ურ შემოქმედებაში ხვდავდება — მიმართული უნდა იყოს  
საბჭოთა ხალხის საგმირო საქმეების სადიდებლად.

თეატრი უნდა დაეხმაროს ხალხს ჩვენი საზოგადოების-  
თვის უცხო მოვლენების მხილვაში. ხაკლოვანებათა და-  
უნდობელი კრიტიკა, უკომპრომისო ბრძოლა წვრილბურ-  
ჟუაზიული, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის წინააღმ-  
დეგ თეატრის გადადუმებელ ამოცანას.

თეატრი ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის ავანგარდში  
უნდა ჩადგეს. მის სცენაზე მთელი სიღრმითა და სიმართ-  
ლით უნდა ახასის მშვიდობისმოყვარე საბჭოთა ხალხის  
ცხოვრება.

**სალხუარ ზემოვადონა**  
**ნამუშავერების გამოვანიდან**



გამოვანის ერთ-ერთი  
კუთხე.



გალაკტიონი კურორტ შოგვი. 1947 წ.

# გალაკტიონი ლოკუენტურ კინოში

კარლო გოგოძე

ძარბაზულ დოკუმენტურ კინემატოგრაფიაში დღემდე საინტერესო რჩება პირველი ქართველი კინოოპერატორის — ვასილ ამაშუელის მიერ 1912 წელს გადაღებული სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“. მიუხედავად ასეთი კარგი დასაწყისისა, ჩვენში ტრადიციად ვერ იქცა ამ ჯანრის ფილმების შექმნა ლიტერატურისა და ხელოვნების კორიფეა ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ.

ამ თვალსაზრისით ძალზე ცოტა გაკეთდა ჩვენი ეპოქის უდიდესი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის მიმართაც. და აი, როცა ფართო მასშტაბით აღინიშნება ჩვენი სასიქადული მგონის იუბილე, სამწუხაროდ, სახეზე გვაქვს ქართველი კინოდოკუმენტალისტების მხოლოდ თითო-ორილი ნამუშევარი.

ჯერჯერობით მიკვლეული და ცნობილი მასალების მიხედვით, პირველი დოკუმენტური ფილმი, რომელშიც გალაკტიონი გამოჩნდა, იყო 1929 წელს გადაღებული კინოსიუჟეტი „კომინტერნის მეექვსე კონგრესის მინაწილური თბილისში“. ეს სიუჟეტი შევიდა სახკინმრეწვის კინოჟურნალის მეორე ნომერში, რომელსაც უშვებდა 1928 წელს სახკინმრეწვიან ჩამოყალიბებული ქრინიკალურ-დოკუმენტური ფილმების სექტორი რეჟისორ სიკო დლიძის ხელმძღვანელობით.

კომინტერნის მეექვსე კონგრესზე საქართველოდან დელეგატად გაიგზავნა სახელმწიფოებრივი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე. აქ პოეტი შესვდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის გენერალურ მდივანს ანტონინ ზაპოტოცკის. კონგრესის შემდეგ ანტონინ ზაპოტოცკიმ, გალაკტიონ ტაბიძემ და სხვა დელეგატებმა იმოგზაურეს რუსეთში და საქართველოშიც ჩამოვიდნენ.

ამ მოგზაურობას თავის დროზე ვრცელი წერილით გამოემყურა გაზეთი „ზარია ვოსტოკა“, სადაც ვკითხულობთ: „ანტონინ ზაპოტოცკი მეუღლითურთ ჩვენში

გალაკტიონ ტაბიძის მოწვევით ჩამოვიდა. მას ყველგან დაყვება ჩვენი დიდად ნაჭიფერი მგონანი, უდიდესი პატრიოტი გალაკტიონ ტაბიძე და აცნობს ჩვენს დედაქალაქსა და მის ღირსშესანიშნაობებს, კულტურის ძეგლებს...“ ანტონინ ზაპოტოცკის მოგზაურობა საქართველოში, კერძოდ თბილისში, გადაიღო სახკინმრეწვის კინოჟურნალის სექტორმა. უტყვევლია, ამ კინოდოკუმენტში გალაკტიონიც არის, მაგრამ ეს კინოჟურნალი ჯერჯერობით ვერ ვიპოვეთ. ალბათ იგი ახლო მომავალში მოიძიებება და მაყურებელს საშუალება ექნება ეკრანზე ნახოს 38 წლის პოეტი ანტონინ ზაპოტოცკისთან ერთად.

ცნობილია გალაკტიონ ტაბიძის უსაზღვრო სიყვარული ხალხისა და განსაკუთრებით ახალგაზრდობისადმი. პოეტს არა მარტო მგზნებარე ლექსები აბსლობდა მიკითხვლა ფართო მასებთან, არამედ პრაქტიკული ცხოვრებაც. ნას შემოქმედებით სტიმულს მატებდა უბრალო ადამიანებთან, მშრომლებთან ურთიერთობა, ამიტომაც იყო, რომ გალაკტიონი თავისუფალ დროს ხალხთან ატარებდა.

ქართულ დოკუმენტურ კინოჟურნალებში ძუნწად, მაგრამ მაინც შემონახულია დიდი პოეტისა და მოქალაქის ურთიერთობა მშრომლებთან.

„გალაკტიონი მუშებთან“, ასეთია თემა კინოსიუჟეტისა, რომელიც რეჟისორ თორა ჭიაურელის კინოჟურნალ „საბჭოთა საქართველოს“ 1957 წლის მეოცე ნომერში შევიდა.

კინოსიუჟეტში ნაჩვენებია პოეტის შესხვიდა თბილისის ორთქლმავალ-ვაგონმეკეთებელი ქარხნის მუშებთან იმავე წლის ივნისში. ფილმი გადაიღეს კინოოპერატორებმა შაქრო მაჩაიძემ და ნიკოლოზ ნავოინომ, რომლებმაც ფირზე აღებდნენ პოეტისადმი პატივისცემის გამოხატვული, მხატვრულად გამართული არა ერთი მომენტი. კარგმა მონტაჟმა კიდევ უფრო სრულყო სიუჟეტის აზრობრივი ჩანაფიქრი, მისი მხატვრულობა.



ასეთივე კინოსიუვეტი „სასახლო პოეტთან შეხვედრა“ კინოჟურნალში „საბჭოთა საქართველო“ (1946 წ., № 3, რეჟისორი ვლადიმერ ალავეძე, ოპერატორი ალექსანდრე აჯიბეცაშვილი), რომელშიც ასახულია გალაკტიონი ტაბიძის შეხვედრა ტ. თბილისის პირველი მაისის სახელობის რაიონის მუშა-მოსამსახურებთან სანკულტურის თეატრში.

გალაკტიონ ტაბიძე არაერთხელ შეხვედრია თავის მსოფლივს დედქალაქის ბიბლიოთეკებში. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა მოეწყო ტ. თბილისის ჯაფარიძის სახელობის ბიბლიოთეკაში 1946 წლის 25 მარტს. ეს მომენტიც აღბეჭდა კინოფორზე და შევიდა კინოჟურნალში „საბჭოთა საქართველო“ 1946 წლის მეთორმეტე ნომერში (რეჟისორი ვლადიმერ ალავეძე, ოპერატორი ლევან არზუმაზი).

პიტლერული გერმანიის დამარცხებამ და დიდი სამამულო ომის მოვლამოსილად დამთავრებამ საზეიმოდ განაწყო საბჭოთა ხალხი. მუშები, კომუნერები, ინტელიგენცია სახელდახელოდ მოწყობილ მიტინგებსა და დემონსტრაციებზე შეიმობილდნენ გმირულ გამარჯვებას.

1945 წლის 9 მაისს თბილისში მიტინგი გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირშიც, რომელსაც ესწრებოდნენ ქართული მხატვრული სიტყვის გამორჩეული ოსტატები. მათ შორის იყო გალაკტიონ ტაბიძეც, რომელმაც ამ მდინიერ დღეს ფორიალი ლექსით მიმართა საზოგადოებას. ეს მიმინტი შევიდა რეჟისორ ირაკლი კანდელაკის კინონარკვევში „გამარჯვების დღესასწაული“.

გალაკტიონი არა მარტო პოეზიით ეხმარებოდა საბჭოთა აღმშენებლის დიდ აღმშენებლობით შრომას, არამედ ძალზე ხშირად პირადად მონაწილეობდა ამა თუ იმ თვალსაჩინო ღონისძიებაში. ამავე მეტყველებს ქართულ დოკუმენტურ ფილმებში შემორჩენილი რამდენიმე კინოსიუვეტი.

1947 წლის 1 დეკემბერს რუსეთის სახელობის სახელმწიფო-აკადემიურ თეატრში გაიმართა დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 110 და გარდაცვალებიდან 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო, რომელზედაც ლექსით გამოვიდა გალაკტიონი; ამ დროს იგი გადაიღეს კინო-ოპერატორებმა ლევან არზუმაზმა და ნიკოლოზ ნავრონიძემ. შემდეგ კი ეს სიუვეტი შევიდა ოთარ ჭიაურელის კინოჟურნალში „საბჭოთა საქართველო“ (1947 წ., № 38).

1949 წლის 21 დეკემბერს კინოოპერატორებმა შალვა გველაშვილმა, არჩილ ფილიპოვიმ და ლევან არზუმაზმა, ალექსანდრე სემინოვმა და სხვებმა გადაიღეს ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო გორში, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართველი, რუსი, უკრაინელი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვა მომხრე რესპუბლიკების მხატვრული სიტყვის ოსტატები.

კინოფორებში, რომლებიც გადაღებულია ი. სტალინის სახლ-მუზეუმში, არიან ნიკოლოზ შაბოლოვიც, მიკოლა ბაგინი და სხვები. ამ კინოფორებში ასახულია აგრეთვე გორის სახელმწიფო თეატრში გამართული მწერალთა და კომპოზიტორთა კავშირების გამგებობათა საზეიმო პლენუმი. რომელსაც სხნის მწერალთა კავშირის მდივანი ტიანო ჩიქოვანი. პლენუმზე ლექსები წაიკითხეს გალაკტიონ ტაბიძემ, სომეხმა პოეტმა ვილამ სარაიანმა, აფხაზმა პოეტმა ივანე თარამი, კარლო კალაქიშ და სხვებმა. აღსანიშნავია, რომ ეს საღამო ჩაწერილია სინქრონულად. სიუვეტი შევიდა კინონარკვევში „21 დეკემბერი გორში“ (რეჟისორი ირაკლი კანდელაკი).

1950 წლის 17 დეკემბერს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს, ქალაქ თბილისის პოლიტექნიკურ

ინსტიტუტში, სადაც მოთავსებული იყო ოცდაერთი სარჩევო უბანი, ამომრჩეველთა შორის ერთ-ერთი პირველთაგანი გალაკტიონი მივიდა. კინოოპერატორმა რამდენიმე კადრით ფორზე აღბეჭდა დიდი პოეტის მონაწილეობა არჩევნებში.

აღნიშნული კადრები შესულია კინოჟურნალ „საბჭოთა საქართველო“ 1950 წლის ოცდამეთერთმეტე ნომერში (რეჟისორი შალვა ჩავჭავაძე).

მომდევნო წელს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დებუტატობის კანდიდატების წამოყენებისას, ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში გამართულ საზეიმო ცერემონიაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსმა ნიკოლოზ მუსხელიშვილმა და პოეტმა-აკადემიკოსმა გალაკტიონ ტაბიძემ. გალაკტიონმა მხარი დაუჭირა წამოყენებულ კანდიდატს და სიტყვა ლექსით დაასრულა. ეს სიუვეტი შესულია რეჟისორ გიორგი გუნის კინოჟურნალში „საბჭოთა საქართველო“ (1951 წ., № 2).

გალაკტიონი სიცნობდა ვიწვნის დიდი მეგობარი იყო, ამიტომ მისი ნახვა ხშირად შეიძლებოდა წიგნების მაღაზიაში. ამდენად ვაგაკირი არ არის, რომ ქართველმა კინომოღვაწეებმა სწორედ მაშინ გადაიღეს პოეტი, როცა იგი 1957 წელს თბილისში გამართულ წიგნის ბაზრობაზე ერთ-ერთ მაღაზიაში საგულდაგულოდ არჩევდა მისთვის სასრულად გამოცემას, ოპერატორს მარჯვედ დაუჭერია მგოსნისთვის დამახასიათებელი შტრიხი — სათითო დამოკიდებულება წიგნისადმი. ეს სიუვეტი შევიდა სიკო დოლიძის კინონარკვევში „აყვავებულ საქართველო“ (რეჟისორ-ოპერატორი გიორგი ასათიანი), რომელიც 1957 წელს გამოვიდა ვერანგზე.

1958 წელს მოსკოვში ჩატარდა ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართული კულტურის გამორჩეულმა მოღვაწეებმა, რომელთა შორის მწერლებიც იყვნენ და, რასაკვირვლია, გალაკტიონიც. ამ თვალსაჩინო მოვლენას მიეძღვნა შალვა ჩაჩუხავას და შალვა ხშირევის კინონარკვევი „მგობროთა ზეიმი მოსკოვში“ (მთავარი ოპერატორი გიორგი ასათიანი).

საიაკოვის მშრომლებმა ქართველ მწერლებს კავშირების სახლის სვეტებში დარბაზში მოუწყვეს შეხვედრა, რომელიც განსაზღვრულა ლეონი სომბოლემ. მისსენით გამოვიდა ირაკლი აბაშიძე, ტრობაძე ერთმანეთს ცვლიდნენ შალვა დადიანი, სიმონ ჩიქოვანი, გალაკტიონ ტაბიძე და სხვები. სხვათა შორის, აქ გალაკტიონმა წაიკითხა ლექსი „დროშები მაღლა“.

გალაკტიონის ეს გამოსვლა გადართო ფილისში, რომელსაც ოპერატორმა გიორგი ასათიანმა. აღასანიშნავია, მისი გადაღებმა მიიღო და სინქრონულად.

ქართველმა დოკუმენტალისტებმა მგოსანი გადაიღეს ჩვეულებრივ ყოველდღიურობაში: დასვენების დროს, აკარაკზე, საშუალო ოთახში (თბილისსა და დასახელებულ სახლში). ასეთია კურორტ ზოგში შექმნილი კინოსიუვეტები: კინოოპერატორმა ბორის კრეჟსმა რამდენიმე მეტყველი კადრით აღბეჭდა პოეტი თავის სამშულო ოთახში. სიუვეტი შევიდა ოთარ ჭიაურელის კინოჟურნალ „საბჭოთა საქართველო“ 1947 წლის ოცდამეცხრე ნომერში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ოპერატორმა გალაკტიონი „დაიჭირა“ შოვის თვალწარმტაცი ბუნების წიაღშიც; მგოსანი თბიბით იყო გართული.

ეს რამდენიმეგვრადია სიუვეტი, ნათლად გვიხატავს პოეტს, როგორც სოფლის მურწრობისა და მინდვრის საშემშობების მცოდნეს.

კინოსიუვეტი შესულია სრულმეტრეაიან კინონარკვევში „საბჭოთა საქართველო“, რომელიც რესპუბლიკის 30

წლისთვის აღსანიშნავად გამოვიდა 1947 წელს (რევისორი აღუქსანდრე ჯალაღბილი).

გალაქტიონის მუშაობას ლექსების ახალ ციკლზე ასახავს კინოსიუჟეტი, რომელიც რეჟისორ შალვა ჩაგუნავას კინორეჟისორულ „საბჭოთა საქართველოში“ შევიდა (1949 წ., № 32).

გალაქტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილი კინოფიგურებიდან ბოლოსთვის საგანგებოდ შემოვიტოვეთ კინოსიუჟეტები: „პოეტის იუბილე“, „მოგზაურობა მშობლიურ მხარეში“ და ორნაწილიანი კინონარკვევი „გალაქტიონ ტაბიძე“, რადგან ბევრი რამ გვაქვს სასაყვედურო ქართული დოკუმენტური კინემატოგრაფიის ხელმძღვანელებისა და კინოლოგ-მენტალისტებისადმი.

1938 წლის 23 დეკემბერს საქართველოს საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 30 წლისთავი. დოკუმენტური კინემატოგრაფის მუშაუბებს, მათ ხელმძღვანელებს საშუალება ეძლეოდათ სრულყოფილად და მრავალფეროვნად აეხასიათ ეს საზეიმო დღეები. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა.

ნაცვალად იმისა, რომ ამ მოვლენისადმი მიძღვნილ სპეციალური გამოშვება, ორი-სამი, თუნდაც ერთნაწილიანი კინონარკვევი, მათი თავიანთი მოვალეობა ჩვეულფორმით, სტანდარტული კინოსიუჟეტით განსაზღვრული რამდენიმე პლანითა და სინქრონული ჩანაწერით ამოწურეს.

კინოსიუჟეტი ვერ გადმოგვიცემს იუბილეს აზრსა და მნიშვნელობას, მის ხასიათს, იმ დიდ სიყვარულსა და პატივისცემას, რომელსაც მეოხნის მიმართ იჩენდნენ როგორც ქართველი, ისე მოძმე რესპუბლიკების მშრომელები, საერთოდ, და, განსაკუთრებით, საიუბილეო დღეებში.

რასაკვირველია, რამდენიმე პლანისაგან შემდგარ პატარა კინოსიუჟეტში შეუძლებელი იყო ამის გადმოცემა, მაგრამ რა უშლიდა ხელს მოზრდილი ფილმის შექმნას? ამის გამო კი ჩვენს ახალგაზრდა თაობას ბევრი რამ საინტერესო და საჭირო დავეკარგა ამ საიუბილეო დღეებიდან. ერთადერთი, რაც გავკეთდა ამ საღამოზე, ის არის, რომ შეიქმნა გალაქტიონის ხმის სინქრონული ჩანაწერი. დასა-

ნანია ისიც, რომ სათანადოდ არ აისახა გალაქტიონ ტაბიძის მოგზაურობა ვანში, შუამთასა და ჭყვიშში.

ჩვენს სასიქადლო პოეტს კარგად ვიცნობდი პირადად და ხშირადაც ვხვდებოდი. მამაჩემი — იოსებ გოგოძე და პოეტის მშობლები, ახლობლები იყვნენ, მეგობრობაც კარგი ჰქონდათ. ჩვენთან საუბარში გალაქტიონი ხშირად ახსენებდა თავის სოფელს და მუდამ ჰქონდა წყურვილი მშობლიური მხარის ნახვისა.

დიდმა პოეტმა ეს სურვილი 1955 წლის ივლისში აისრულა. მგოსანს მოგზაურობისას თან ახლდნენ კინოოპერატორები ვართან კურიანი და არტურ პოლოსოვი.

სამწუხაროდ, თბილისში არყოფნის გამო, ამ მოგზაურობის დროს ვერ ვეახლე გალაქტიონს, რის გამოც იძულებული ვარ სხვათა ჩანაწერებსა და ნათქვამს დავეყრდნო.

აღნიშნულ მოგზაურობას გულთბილი სტრიქონები უძღვნეს ლავროსი კალანდაძემ და ფატი ნიშნიანიძემ. ისინი დაწერილებით აგვიწერენ იმ ზეიშს, რომლის მსგავსი ვანის რაიონს მანამდე არ ენახა.

ქართული დოკუმენტური კინემატოგრაფიის მუშაუბებმა მოკლებულ პირობებში ძალოვნე არ დაიმურეს, რომ ეს მოგზაურობა აეხასიათ. მათ დიდად აღმასალა გადაადღეს, მაგრამ მათგან, სამწუხაროდ, ძალზე ცოტა იქნა გამოყენებული. ამ შემთხვევაშიც საზეიმო ვითარების ამსახველი მეტრადი ჩვეულებრივი სტანდარტით განისაზღვრება. ფირზე ფიქსირებულია და ბევრი რამ არ შევიდა კინოკურსალში, რომელიც აწ განსვენებულმა რეჟისორმა ვლადიმერ ალავიძემ გააკეთა. იგი მუდამ წუნდა, რომ ორნაწილიანი ფილმის გაკეთების საშუალება არ მიეცა.

კინოფერხალ „საბჭოთა საქართველოში“ (1956 წ., № 25) გამოყენებული მასალა 40-50 მეტრს არ აღემატება (სიუჟეტში სულ 19 პლანია), მაგრამ ზოგად წარმოდგენას მაინც იძლევა პოეტის მოგზაურობაზე მშობლიურ მხარეში.

საწყენია, რომ ამ მოგზაურობიდან კინემატოგრაფისტებს სინქრონულად არაფერი ჩაუწერიათ. მართალი იყო ლავროსი კალანდაძე, როცა აღნიშნავდა: „...კინო და ფოტოაპარატების ნაცვლად საქართველოს კინომუშაუბებს ერთი



გალაქტიონი თბილისის ორთქლშავალ-ვაგონ-სემიკეთებელ ქარხანაში. 1957 წ.

მაგნიტოფონი რომ წამოეღოთ და პოეტის... სიტყვები ჩა-  
წერათ, შთამომავლობას პოეტის ბრწყინვალე ნააზრევს  
შეუნახავდნენ“.

დასაბანი სხვაც არის: ამ მოგზაურობიდან ბევრი რამ  
ძვირფასი და საინტერესო დაიკარგა შთამომავლობისათვის,  
რომლის აღდგენა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხერხდება,  
თუ დამონტაჟების შემდეგ გადაღებული მასალიდან რა-  
იმე გადარჩა.

ქართველმა დოკუმენტალისტებმა ვერც პოეტის მესხეთ-  
ჯავახეთში მოგზაურობა ასახეს სათანადოდ: ფირზე აღბეჭ-  
დილი არ არის გ. ტაბიძის მნიშვნელოვანი შესვდრები და  
საკმიანი ურთიერთობა ფარბაკა-ქარხნების მუშა-მისაქ-  
სახურებთან, მოსწავლე ახალგაზრდობასთან, მისი ჩასვლა:  
ცხინვალში, ტყიბულში და სხვა.

ასეთ ვითარებაში მაღლიერების გრძნობით იმსჯელები  
ვასილ ამაშუკელის მიმართ, რომელმაც 60 წლის წინ მძი-  
მე პირობებში მარტკაემ შესძლო 1200 მეტრი ფირის  
გადაღება და სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის  
შექმნა აკ. წერეთლის მოგზაურობაზე რატა-ლეჩხუმში.  
ამით მან აკაკის უკედვე სახე ცოცხლად შეგონება შთა-  
მომავლობას. სამწუხაროდ, გალაკტიონისადმი მიძღვ-  
ნილი, ამჟამად ცნობილი კინოდოკუმენტური მასალა მეტ-  
რადის მხრივ ძალზე ცოტაა და 300 მეტრსაც არ აღემა-  
ტება.

გადაღებულ მასალათა სიმცირემ უთუოდ თავისებური  
გეული დაჩნია ორნაწილიან კინონარკვევს „გალაკტიონ  
ტაბიძე“, რომელიც საქართველოს სსრ განთლების საში-  
ნისტროს დაკვეთით (მწერთა კლავდია დვედარიანის  
სტენარის მიხედვით) რეჟისორმა შალვა ჩაგუნავამ, სა-  
ქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური  
ფილმების სტუდიაში 1971 წელს დაღვა (კონსულტანტი  
აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე).

მიუხედავად ამისა, ფილმი ერთ-ერთ საუკეთესო კინემა-  
ტოგრაფიულ ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს. იგი გაკე-  
თებულია გალაკტიონის შემოქმედებით სტილში. კარგი  
სცენარის საფუძველზე რეჟისორის ინტაქტად იყენებს უკ-  
ვე არსებულ დოკუმენტურ კინოვადების გალაკტიონის ცხოვ-  
რებებთან (გალაკტიონი თავის სამუშაო ოთახში, ბალახის  
თიბიძისა შოგში, ორთქლბავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხ-  
ნაში, არჩევნებზე, მოგზაურობისას შობილიერ მხარეში...  
და ავსებს მას სათანადოდ შერჩეული, ინსცენირებული სა-  
სიათის დეტალებით, რომლებიც მხატვრულ სიღრმეს მა-  
ტებენ ფილმს; მკურნებელს ნათლად წარმოუდგენენ  
გალაკტიონის ხასიათს, მისი ლექსების მგზნებარებასა.  
ასეთი დეტალებია მოჩირაღდ ვერხვები, დათოვლილი მიგე-  
ბი, აღუღლებული ზღვა, ადამიანური რიონი და მცხი ატე-  
ხილი ჭალები, მიმავალი ურის ჩრდილი ტალახთან გზა-  
ზე, ავირობს ბათვი, მუხღვაურები ჯავშნოსანზე, ამხანაგ  
ლენინის გამოსვლა და სხვა.

ფილმის სიტყვიერი მასალა წარმოდგენილია კარგად  
დაწყობილი სადოქტორო ტექსტით, რომელშიც უხვად არის  
გამოყენებული გალაკტიონის ლექსები, მათს მხატვრულ  
და აზრობრივ გახსნას ემსახურება ზემოაღნიშნული ინს-  
ცენირების მიზნებზე.

ყურადღებას იპყრობს ფილმის გამომსახველობითი მხა-  
რე, ოპერატორ გიორგი ლევკვიციანის მიერ გადაღებული  
მასალა სტილისტურ მთლიანობაშია ადრე გადაღებული  
მიმენტებთან.

გალაკტიონისადმი მიძღვნილი უკანასკნელი კადრები  
შეიქმნა მისი დაკრძალვის დღეს, როცა მთელმა საქართველ-  
მში დაიბრუნა საყვარელი მგოსანი და მისი შემეტი მთაქ-  
მინდის მდინარე მიწას მიბარა; მაგრამ ქართველი კინო-  
დოკუმენტალისტები ამჟერადაც ვალში დარჩნენ დიდებუ-



გალაკტიონი შობილიერ ვანაში. 1956 წ.

ლი მამულიშვილის წინაშე. ამიტომ მომავალში მაინც  
უნდა შეიქმნას სრულმეტრაჟიანი მაღალმხატვრული დო-  
კუმენტური კინოფილმი ჩვენი ეპოქის ამ მგზნებარე პოეტ-  
ზე. სანამ გვიან არ არის, ამ მიზნით უნდა მოინახოს  
გალაკტიონის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნი-  
ლი სხვადასხვა დროს გადაღებული დოკუმენტური ფი-  
რები, აგრეთვე დამონტაჟების შემდეგ დარჩენილი ნაჭრები.  
რასაკვირველია, ვითავლისწინებ იმ სინქლელებს, რომლე-  
ბიც ამ ხასიათის ფილმზე მომუშავე კინემატოგრაფისტს  
შეხვდება, მაგრამ დაძლეველი არაფერია და ტექნიკადად  
ერთგული სასტიკ გაკეთდა.

ამჟამად არსებულ კინოდოკუმენტური მასალა, რომე-  
ლიც გალაკტიონის ეხება, საკმაოდ დაზიანებულია. საქარ-  
თველოს სსრ კინო-ფოტო-ფონო სახელმწიფო არქივმა ეს  
მასალა შელახული სახით მიიღო და თუ ჩვენს მკვლევარ-  
ებს რისიმე პოვნა შეუძლიათ, თუ რამ გადარჩა და შემო-  
ნახსნულა, მხოლოდ არქივის მუშაკთა დიდ გულმოდგინე-  
ბას უნდა ვუმალოდეთ.

კინოდოკუმენტების მრავალ პოზიტივში ამოჭრილია  
გალაკტიონის ეპიზოდები, ზოგჯერ იგი არც ნეგატივებშია  
დაცული. მკვლევარი იძულებულია მხოლოდ სამონტაჟო  
ფურცლებით ისარგებლოს, მაგრამ სრულ წარმოდგენას  
ესეც არ გვიძინებს. მიზეზი კი არის, რომ სამონტაჟო  
ფურცლების ჩაწერა დაბალ ტექნიკურ დონეზეა შესრულე-  
ბული.

ეს მდგომარეობა უნდა გათვალისწინონ კინოდოკუმენ-  
ტალისტებმაც და არქივის მუშაკებმაც. მკაცრი კონტრაქ-  
ტის დაწესება საჭირო ფილმების მიღება-გაცემისას, ხოლო  
სურათის დამზიანებლები უნდა დაისაჯონ, როგორც ერის  
საგანძურისადმი ხელმყოფი დანაშაულები.

გალაკტიონთან დაკავშირებით ერთხელ კიდევ უნდა შე-  
ვასხნით ქართული დოკუმენტური კინემატოგრაფიის მოღ-  
ვაწრებს, რომ ამ სფეროში ძალიან ცოტაა გაკეთებული.  
მეტი ინიციატივა, ორიგინალობა და მხურვალე დამოკი-  
ლებულების გამოჩენა გვამოწინებს ასეთი ხასიათის ფილმე-  
ბის შესაქმნელად. საჭიროა გამოჩინილი მწერლობისა და  
სტილოვნების მუშაკთა ცხოვრება-შემოქმედებაზე უფრო  
მეტად და სრულყოფილია დოკუმენტური ფილმები შეიქ-  
მნას, ვიდრე დღეს გვაქვს.



პოლონური პლაკატის გამოფენის გახსნა გამომცემლობა „მერანის“ საგამოფენო დარბაზში.

## პოლონური პლაკატის გამოფენა თბილისში

მშობრული შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებთ საქართველოსა და სოციალისტური ქვეყნების გამომცემლობებს. ისინი ხშირად ხვდებიან სოლემ ერთმანეთს და გამოცდილებას უზიარებენ, რაც აღრმავებს ხალხების თანამშრომლობასა და მეგობრობას. სწორედ ეს მიზანი დაედო საფუძვლად გამომცემლობა „ხელოვნებისა“ და პოლონეთის გამომცემლობა „პრასას“ ურთიერთობას.

ახლახან, პოლონეთიდან თბილისში ჩამოვიდნენ გამომცემლობა „პრასას“ წარმომადგენლები, რომლებმაც თან ჩამოიტანეს სხვადასხვა სახის პლაკატები; მათი ექსპოზიცია მოეწყო გამომცემლობა „მერანის“ საგამოფენო დარბაზში. პოლონეთის სახვითი ხელოვნება, განსაკუთრებით გრაფიკა საკმაოდ მაღალ დონეზე დგას. ეს დაადასტურეს ექსპოზიციაში წარმოდგენილმა საინტერესო ნამუ-

შვებებმა. მათ შორის ყურადღება მიიქცევს მშვიდობის, საპირველამისო, საფესტივალო და თეატრალურმა პლაკატებმა.

გამოფენა გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მიადგილემ შ. ნემსაძემ.

გამოფენის დანიშნულებაზე, მის მრავალფეროვნებაზე ილაპარაკა გამომცემლობა „ხელოვნების“ დირექტორმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ოთ. ევაძემ.

ექსპოზიციაზე აზრი გამოთქეეს: საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა რ. თარხან-მოურავმა, თბილისის სახელმწიფო უნი-

ვერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანმა, დოცენტმა გ. ხარატიშვილმა, გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მთავარმა მხატვარმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა ვ. იონიანმა, გამომცემლობა „ხელოვნების“ უფროსმა მხატვრულმა რედაქტორმა ლ. ლვინჯილიამ, გამოფენის გახსნას დაესწრნენ ხელოვნებათმცოდნეები, ჟურნალისტები, მწერლები, მხატვრები.

მაღლ გამოცემლობა „ხელოვნების“ წარმომადგენლები გაემგზავრებიან პოლონეთში და ესტუმრებიან გამომცემლობა „პრასას“, სადაც ისინი მოილაპარაკებენ გამომცემლობების სპეციალისტთა და გამოფენათა ურთიერთგაქვლავზე, ერთობლივ გამომცემებზე. ამავე დროს იქ მოეწყობა ქართველ მხატვართა პლაკატების გამოფენა.

# ქ ა რ ა ვ ა ჯ ო

თამაზ სანიკიძე



კარავაჯო.

ავტოპორტრეტი.

1603 წელს რომში ვინმე ბოლიონეს ერთ-ერთ ფერწერულ ნაწარმოებზე დაიწერა ანთონიური პასკვილი. აღმოფთვებულმა ბოლიონემ სასამართლოს მიმართა. დასასჯელად მამდენიმე ეკვემიტანილი პირი და მათ შორის იმ დროისათვის უკვე სახელგანთქმული მხატვარი მიქელანჯელო კარავაჯო. თავისი უკომპრომისობის გამო კარავაჯო მანამდეც და მას შემდეგაც არაერთხელ წარმდგარა მართლმსაჯულების წინაშე, მაგრამ მისი ცხოვრების ეს ეპიზოდი განსაკუთრებით საყურადღებოა. კარავაჯო დაკითხეს. შედგა ოქმი. ეს ფრიალ მნიშვნელოვანი დოკუმენტი არის ერთადერთი წყარო, რომელშიაც ფიქსირებულია კარავაჯოს შეხედულებები მის თანამედროვე მხატვრულ ჯემშიარტი მხატვარი არის ის, — ამბობს კარავაჯო, — „ვისაც კარგად შეუძლია გადმოსცეს ნატურა“. ყველაფერი, რაც კარავაჯომ შექმნა თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე, ამ სიტყვების ცხადზე უცხადესი ილუსტრაციაა. მკვეთრი, ცხოვრებისეული რეალიზმი უდევს საფუძვლად მხატვრის მიერ შემკვიდრებულს. ამის გამო კარავაჯოს შემოქმედება უმნიშვნელოვანეს მოვლულად იქცა იტალიის მხატვრულ ცხოვრებაში XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე.

ამ პერიოდში იტალია მიმეფე ეკონომიურ და პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა. ჩიხში მოექცა რენესანსული კულტურა. გამარჯვებული ფეოდალურ-კათოლიკური რეაქცია სასტიკად სდევნიდა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებს. ბოიოქრობდა ინკვიზიცია. შესაბამისად გაძლიერდა საზოგადოების მოწინავე წარმომადგენელთა პროტესტი ამ ისტორიული უკუღმართობის წინააღმდეგ. კარავაჯოს მიერ შემოქმედება ამ პროტესტის თავისებურ გამოხატულებებს წარმოადგენდა. ჯორდანო ბრუნოსა და ტომასო კამპანელის სოციალური ბოროტებისა და ძალმომრების წინააღმდეგ მიმართულმა იდეებმა მხატვრული გარდასახვა გამოვეს კარავაჯოს ბუნტარულ, საზგასსულად დემოკრატიულ ხელოვნებაში.

XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან იტალიის ხელოვნებაში ირღვევა მხატვრული აზროვნების რენესანსული მთლიანობა. მანიერისტიზმი და აკადემისტიზმი მხოლოდ აღორძინების ხანის დიდი ისტაბების გარეგნული მიზაპიით კამაფოფილდებიან. ბაროკოს სტილის გადამეტებული მოუხმენტურობა, დეკორაციულობა, ჭარბი დინამიზმი ადგილს ადარ ტოვებს ხელოვნებაში ამაღლებული ჭეშმარიტური იდეალებისათვის. ეპიკონური არისტოკრატიული ხელოვნება კარავაჯს სამყაროს ასახვისა და შემეცნების ფუნქციას; იმ საფუძველს, რომელზედაც აღმოცენდა რენესანსული კულტურა. ამ თვალსაზრისით კარავაჯოს ყველაზე მეტად შეფერება რენესანსული ტრადიციების შემკვიდრის სახელი.

მიქელანჯელო მერიზი და კარავაჯო დაიბადა 1573 წელს ლომბარდიის ერთ-ერთ პატარა ქალაქში (კარავაჯო მას დაბადების ადგილის სახელწოდების მიხედვით შეწოქა). ფერწერის ხელოვნება იგი მიღწაში ეზარდა — წლების განმავლობაში სწავლობდა მილანელი მანიერისტი მხატვრის, სიმონე პატერცანოს სახელოსნოში, მაგრამ მასწავლებელს აღსაზრდელზე გასაკუთრებულ ზეგავლენა ვერ მოუხდენია. კარავაჯოს მხატვრული მეთოდის ჩამოყალიბებაში არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ჩრდილოიტალიელ რეალისტ მხატვართა შემოქმედებს.

ჩვიდმეტი წლის კარავაჯო, უკვე საკმაოდ ხელგაწაფული ისტატი, რომში გადასახლდა. რომი — მხატვართაგის ალოქმული ქალაქი, ანტიკური და რენესანსული შედევრების ჯემშიარტიად ცოცხალი მუზეუმი, კვლავაც მხატვრული ცხოვრების უმთავრეს კერას წარმოადგენდა იტალიაში. იქვე კარავაჯო კლასიკურ მეკვიდრებობას განსაკუთრებული კრძალვითა და ინტერესით არასოდეს ეციდებოდა.

რომში კარავაჯომ დამოუკიდებელი სამუშაო კარგა ხანს ვერ იშოვა და თანამომე მხატვართა დახმარებით გაქონდა თავი. შემდეგ მდიდარი მეცნატიც იპოვა და შეკვეთე-



კარავაჯო.

ბახუსი.

ბიც მიიღო, მაგრამ მისი ნოვატორული ხელოვნების ნამდვილი გამგებნი და შემფასებელი თანამედროვეთა შორის მისცე არავინ აღმოჩნდა.

კარავაჯომ თავისი ნაწარმოებების პერსონაჟებად იმთავითვე უბრალო, რეალური ადამიანები იჩინა შეულამაზებელი, ცხოვრებისეული წარმადებითა და ვნებებით. მისთვის მხოლოდ ნატურა ნაწარმადგენდა შთაბეჭდილის წყაროსა და სტიმულს. ევროპული ფერწერის ისტორიაში კარავაჯომ პირველმა მიმართა ყოფით თემატიკას. იგი ერთ-ერთი პირველი ნატურმორტიცტია, თავისებური სიახლე შეიტანა ტრადიციულ რელიგიურ და მითოლოგიურ სიუჟეტებშიც (ყოფითი სახაითი მიანიჭა მათ).

ეს პრინციპები ასაზრდოებდა კარავაჯოს მთელ შემოქმედებას და ბუნებრივია, რომ იგი ვერ შეივსა იტალიის იბიდრონდლამა ოფიციალურმა საზოგადოებამ. მართალია, მან იმთავითვე მიექცია ყურადღება, მაგრამ მხატვრის პოპულარობა უფრო სკანდალური იყო, ვიდრე მისი შემოქმედების ჭეშმარიტი აღიარება.

საზოგადოებას აღოზიანებდა კარავაჯოს, ერთი შეხედვით, უღადრდლო, მოუსვენარი, ბოქმური ცხოვრებაც, მაგრამ სწორედ ამგვარი ცხოვრება იყო მხატვრის შემოქმედებითი სტიქია. იგი თემებდა და პერსონაჟებს თავის თანამოსაქმეთა შორის, ქუჩებში, ტავერნებში, მხიარულ ბოქმურ საყაროში პოულობდა.

კარავაჯოს ბიოგრაფი ბელორი მოგვითხრობს: მხატვრისთვის რომელიღაც ანტიკური ქანდაკება უჩვენებიათ. იგი გულგრილი დარჩენილა ნაწახისადმი და უთქვამს — ბუნებაზე უკეთესი მასწავლებელი არ შეკლებულაო. თავისი სიტყვების დასადატურებლად სახელოსნოში ბოშა ქალი შემოუყვანა და დაუხატავს იქ მიყვ ერთ ყმაწვილთან ერთად. ბელორი გულისხმობს კარავაჯოს ცნობილ სურათს, რომელსაც „მკითხავი“ ეწოდება. კოსტად გამოწყო-

ბილ ბოშა ქალს ყმაწვილის ხელი უჭირავს, ბედს უწინასწარმეტყველებს მას და თან ემშაქური ღიმილი დასთამაშებს სახეზე. ყმაწვილი არც უსმენს, ქალის სილამაზით მოჯადოებული თვალებში შესტყობის მას. აქ, რა თქმაუნდა, არაფერი განსაკუთრებული და ამაღლებული არ იგულისხმება. მხატვარი თვითონ არის მოხიბლული ამ ჩვეულებრივი სცენით, სურს საკუთარი განწყობილება გადასცეს მაყურებელს და აღწევს კიდევ მიზანს.

ადრეულ ნამუშევრებში კარავაჯო ცდილობს რაც შეიძლება ზუსტად ასახოს რეალური სინამდვილე — ადამიანები, საგნები, გარემო. მათში სასურათო სიერცეს თითქმის მილიანად ავსებს წინა პლანზე წამოწეული ერთი ან ორი ნახევარფიგურა. ამით მხატვარი ცდილობს მჭიდრო კონტაქტი დაამყაროს გამოსახულებასა და მაყურებელს შორის. ამასვე უწყობს ხელს კომპოზიციების სიმარტივე და განწყობილების უშუალობა. დამახასიათებელია აგრეთვე მკვეთრი კონტრები, რელიეფურად გამოკვეთილი ფორმები, ინტენსიური ფერების კონტრასტული დაპირისპირება. დეტალების ზედმიწევნით ზუსტი დამუშავება. მხატვარს მხოლოდ ლამაზი და ნატიფი საგნები არ აინტერესებს. იგი აღწესასვს ყველაფერს, რასაც ადამიანის შიშვარს დაიჭერს. ამიტომ არის, რომ მის ერთ-ერთ ადრეულ ნატურმორტი („ხილით სახე კალთა“) ყურძნის ხასხასა ჩტვენების გვერდით დაფეხვლ ვაშლებსაც ვხვდეთ.

ამ დროის ფიგურულ კომპოზიციებში შეიმჩნევა ტიპათა ერთ-ერთი ტილოზე ვხვდეთ ყმაწვილს, რომელიც მაყურებელს სთავაზობს ბუნების უხვ ნიბაბს — ხილს. მეორე — „ავადმყოფი ბიჭი“, მკვლევართა ვარაუდით, მხატვრის ავტობიოგრაფია. ავადმყოფის მისუსტებული, ფიზიკურადაც სახე, ტანჯული ღიმილი, მოთვნილი, მიწველი სხეული დიდი დამაჯერებლობითა გადმომცნული შესრულების სახაითი ანალიტიკურია „ბახუსის“ ღვინისა და თრბის მითოლოგიური ღვთაება, რომელიც კონკრეტული მოდელიდან დაიწერა.

კარავაჯო ახალგაზრდობაშივე გატაცებულია ერთი, მეტად მნიშვნელოვანი თემით, რომელიც შემდეგ მთელს მის შემოქმედებას გასდევს. იგი ესწრაფვის ადამიანის ფიზიკური ტკივილით გამოწვეული მდგომარეობის, მოძრაობის, წუთიერი ეფექტის („გორგონა“, „ბიჭი, რომელსაც თითხვ სვლიე კბენს“) გადმოცემა.

მხატვრის წინაშე დასმული ამოცანები თანდათან რთულდება. ისეთ კომპოზიციებში, როგორცაა „მარბაბის მიერ ისაების მსხვერპლად შეწირვა“, „ივლითი“, მოქმედების დრამატისა კლამინაციურ წერტილამდე აყვანილი. მიუხედავად ამ ნაწარმოებთა რელიგიური და მითოლოგიური სიუჟეტებისა, მხატვარი ცდილობს ისე გადმოცეცს ამაგი, როგორც ცხოვრებაში შეიძლებოდა მომხდარიყო. „ივლითი“ მხატვარს ამავე საფერის იმურებს იმისთვის, რათა მთელი სისასტიკით გვიჩვენოს სიკვდილის შემზარავი სურათი. ჭრილობაში ჩაჭადარი ხმალი, სისხლი, მომაკვდავი ოლოფერის განწირული სახე საშინელ სანაბაბას ქმნის, რასაც ავტორი უფრო მეტად ამძაფრებს მხატვრული ხერხებით — ნახი, მომხიბვლელი ივლითის სახეს უპოთისპირებს მისსავე მოქმედებას. ამასთან მხატვარს ამავე დღელაბობის ზომიერების კარბობა და ტაქტი. ცსოვრებისეული სისასტიკის დაუფარავი ჩვენება მას თვითმინება ვაჟებია.

მხატვრის ამგვარი მისწრაფება რამდენადაც გამართ-

ლებული იქნება, თუ ამ ნაწარმოებებს ისტორიული თვალსაზრისით განვიხილავთ. კარავაჯო იბრძოდა სიმარიალისთვის ხელოვნებაში, იბრძოდა მანიერისტებისა და აკადემისტების თეატრალური პირობითობის წინააღმდეგ. მოქმედების ხელოვნურად გამძაფრება, მკვეთრი პოლემისტური ტონი მას მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალებად მიიჩნდა.

კარავაჯოსათვის არც ლირიკული განწყობილებებია უცხო. იგი პოეტური შთაგონებით გადმოსცემს ადამიანის უფატიზეს გრძობებსა და განცდებს. ამ ტიპის ნამუშევარში მისი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „ლუტისტი“ და „კონცერტი“, რომლებიც უმრტიესი ინახება. „ლუტისტი“ მხატვარს თავის საუკეთესო ნაწარმოებად მიიჩნდა. ნეიტრალურ ფონზე გამოსახული რომაელი გოგონა საოცრად ნაზ მელოდიას უკრავს და მღერის. მის წინ, მაგიდაზე დევს ვითლინო, ნოტების გაშლილი რვეული, გვერდზე — ხილი და ვაზა ყვავილებით. ამ ყველაფერი მუხიკალურ ბერძნულ ემორჩილება. მაყურებელი, როგორც მთლიან კომპოზიციას, ისე მის ცალკეულ დეტალებს აღიქვამს არა მარტო თვალში, არამედ სმენითაც. ვიოლინა მათგანგებული სახე, რიტმულად დენადი ხაზები, ტანსაცმლის რბილი დრაპირება, თანაბრი ოქროსფერი გაბაჟება, ფერები — თეთრი, ყვითელი, მთავისფერი, მოწვანო — თითქოს გარკვეული მელოდიის ხატოვან აკომპანემენტს წარმოადგენენ.

ამ თემის ვარიაცია — „კონცერტი“, რიტმული და მელოდიური მუსიკალური საწყისის სივრცობრივ ფორმებად გარდასახვის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს. ფარის ტილოზე გამოსახული ოთხი ნახევარფიგურა, ოთხი მომღერალი ახალგაზრდა, რომელთა სხეულები მთლიანად ავსებენ სურათს. მათი სახეები ინდივიდუალურებულია, მაგრამ ტიპი ერთია — კარავაჯოსეული. თითოეული მათგანი, ისიც კი, რომელიც შურებით დგას ჩვენთან, სხეულისა და სახის ნაკვეთების მოძრაობით თვალნათლივ გვაგრძნობინებს სიმღერის ხასიათს, მის ერთიან, დენად რიტმს.

ამ კომპოზიციებში კარავაჯო სრულიად ახლებურად იყენებს კონტრასტულ შუქ-ჩრდილს (ე. წ. „ტენეროზო“). იგი შუქისა და ჩრდილის მეკეთრი დაპირისპირებით ძერ-

ვავს სხეულებს, აძლიერებს სახეების ემოციურ მეტაფორებს და ტონალურ ერთანობებს.

მიუხედავად იმისა, რომ კარავაჯოს დემოკრატიული ტენდენციები და დაუფრავი რეალიზმი, უპირველეს ყოვლისა, ეკლესიისთვის იყო მიუღებელი, მაინც პირველი დიდი ნეკეთა მხატვარმა ეკლესიის მსგეურთაგან მიიღო, კარავაჯოს რომის სან ლუიჯი დეი ფრანჩეზის ტაძრისთვის უნდა შექმნილებინა მიწელი სერია წმინდა მათეს ცხოვრებიდან.

მხატვარს არც რელიგიურ თემატიკაში უღალატნია თავისი მრწამსისთვის. წმინდანთა სახეებს, მათ სამოქმედო გარემოს მან ცხოვრებისეული ხასიათი მიანიჭა და შედეგიც მწარედ იწვინა. მოწინააღმდეგეებმა გააკვირეს კარავაჯო უხეში, „მდაბირო“ ფერწერისთვის, ხოლო დამკვეთმა ციკლის პირველი მონუმენტური კომპოზიცია — „მათე მახარებელი ანგელოზთან ერთად“ — დაიწუნა. კარავაჯო იძულებული იყო ზოგი რამ დაეთმო, მაგრამ არც ამ ციკლის მომდგენი კომპოზიციებში გამოირჩევა განსაკუთრებული ღვთისმოსაობით.

„წმ. მათეს აღიარება“ ამაყად ქანრული სცენაა. მასში სრული ძალთ არის გამოყენებული კონტრასტული შუქ-ჩრდილის ეფექტი. გამოღებულ კარდან შემოსული სინათლის ნაკადი მეკეთრო ანათებს ნახევრად ბნელ ოთახში, მაგიდასთან მსხლმ ადამიანთა სახეებს, ხელებს, ხაზს უსვამს კომპოზიციის უმთავრეს ელემენტებს: ყოველივე მეორესხარისხიანი მუქ ფერებშია ჩაძირული. ამ აღარაფერია დეტალები და მისტიკური. ინდივიდუალურად დახასიათებული პერსონაჟები სასითაც და ჩაცმულობითაც მხატვარის თანამედროვენი არიან. მხოლოდ ქრისტესა და წმ. პეტრეს აცეთა ანტიკური სამოსი.

„წმ. მათეს მარტილობა“ რამდენადმე ტრადიციულ პლანშია გადაწყვეტილი. აქაც განათების კონტრასტები უდიდეს როლს ასრულებენ. მოქმედება უაღრესად დამაბული და დრამატულია, რაც ესოდენ დამახასიათებელია კარავაჯოს შემოქმედებისთვის.

!509 წელს უნდა იყოს შექმნილი კარავაჯოს კიდევ ერთი თვალსაჩინო ნაწარმოები — „ტრაპეზა ემაუსში“.

კარავაჯო კონცერტი



სურათზე გამოსახულია მხარეების ერთი ეპიზოდი. ორმა მოციქულმა სუფრასთან მიწვია უცნობი მოგზაური, რომელშიაც შემდეგ ქრისტე შეიცხდა. კარავაჯოს მოქმედი გზინები აქვს უბრალო, დარიბოვდა ჩამცული დაძაბიანები აიანი. კომპოზიცია მარტვი და ლაკინურია. იგი ისეა აგებული, რომ მაგიდასთან თითქოს მაყურებლისთვისაც არის ადგილი დატოვებული, რათა იგი წარმოსახული სცენის უშუალო მონაწილე გახდეს. ასეთ ხერხს მხატვარი სხვა-სხვაგვარად იმეორებს, რითაც ახვევს რელიგიური სიმეტრიის საბოლოო გათანაბრებულზე.

მინომენტური დაზგური ფერწერის შესანიშნავი ნიმუშია „წმ. პეტრეს ჯვარცმა“. მიუღო ტილო უზარმაზარი ფიგურებით არის შევსებული. პლასტიკურად მოდელირებული, დაკუნთული სხეულები, რომლებიც ვერც კი ეტყვიან სურათის ჩარჩოებში, კომპოზიციის დიაგონალური წყობა, ცხვი, მიწმწვანი-ნაცრისფერი ფერადიფანი გამა, მძაფრ ემოციურ განწყობილებას ქმნის.

კომპოზიციური თვალსაზრისით უფრო უჩვეულო და ორიგინალურია „სავლეს აღიარება“, რომელშიაც ვირტუოზულად არის შესრულებული ურთულესი რაკურსები და წარმოდგენილი ფიგურები.

რომის არისტოკრატია უკვე კარგად გრძობდა კარავაჯოს გენის ძალს და ცდილობდა მის გამაყენებას. მხატვარს საკუთარი პორტრეტები დაუკუეფეს კარდინალმა მათეო ბარბერინიმ და პაპმა პავლე მეხუთემ. განსაკუთრებით სანტერგესია „პავლე მეხუთის პორტრეტი“, რომელიც, ავტორის კრიტიკული დამოკიდებულებით ნატურისადმი, ტიციანისა და ველასკესის პორტრეტებს მოგვაგონებს.

კარავაჯოს მანამდეც და მას შემდეგაც აქვს შესრულებული რამდენიმე პორტრეტი, მაგრამ პირველთაში ინდივიდუალური თავისებურებათა წარმოჩენას, სახის უნიკალური დანახათებებს ის ვერცერთ მათგანში სრულყოფილად ვერ ახერხებს. ეს ამბავმა მხატვრისთვის ბოლომდე დაუფრეული დარჩა და ამიტომაც პორტრეტული განხი მას განსაკუთრებით არასოდეს იზიდავდა.

სუ ადრე კარავაჯო ხილული სამყაროს, რეალური სინამდვილის უშუალო და ზოგჯერ გულუბრყვილო ასახვის ექსპოზიციონერობა, მოწინააღმდეგეობის პერიოდში მას უფრო ფართო, მასშტაბური პრობლემები აინტერესებს და პოულობს კიდევ ამ პრობლემების გადაწყვეტის ინდივიდუალურ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ საშუალებებს.

კარავაჯოს შემოქმედებამ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სიკვდილის ზოგადსაკაცობრივ თემს. 1604 წელს მან დაასრულა თავისი ერთ-ერთი უნიშვნელოვანესი ნაწარმოები „ქრისტეს საფლავი დაღება“. შავად ჩაბნელებული საფლავის პირას, შუამრახვი ქვაზე დღვარ ორ მამაკაცს ხელში დიდი სასოებით უჭირავს ადამიანის უსიცოცხლო სხეული. მათ უკან გამოსახულია სამი დამწუხრებული ქალი. ფონი მუქი და ნეიტრალურია. სურათის კონტრასტული დაპირისპირება, ინტენსიური წითელი, ლურჯი, თეთრი ტონები აძლიერებენ სცენის ემოციურ დაძაბულობას.

ამ ნაწარმოებმა მამნივე მიიქცია საზოგადოების ყურადღება. შემდგომიც იგი დიდი პოპულარობით სარგებლობდა (ახალგაზრდა რუბენსმა რომში ყოფნის დროს მისი ასლი გადაიღო. ქრისტეს უსიცოცხლო ჩამოვარდნილი

ხელის მეტად ფევეტური მოტივი უფრო დათიბა თავის ცნობილ „მარტოის სიკვდილში“ გამოიყენა).

კარავაჯოს შემოქმედების გვირგვინია „მარიამის მიძინება“. ეს არის მონუმენტური ეპიკური დრამა, ფერწერული ერთ ავლერებელი რეკვიემი, სახლის გოლფანა თავისი კომპიგი და მფარველი ადამიანის დაღუპვის გამო. მარიამმა მათივე წილიანაა, უბრალოდ ჩამცობი, ფეხშიშველი, მიწზე ირბინა. მის ცხედარს გარსემოსხვევანი პირისფერი. ყველა თავისებურად გამოსატყას ამ საყვივლოთა მწუხარებას და არა პათეტური ფსტიკულაციით, როგორც ეს წინა ნაწარმოებშია, არამედ ყოველგვარი გარეგნული ფევეტების გარეშე — შეტყვევლი დუმილით, თავმჯავებულად.

კომპოზიცია აქაც კონტრასტულად არის აგებული. ცენტრალური ფიგურა — მარიამი, მათი ყოველიონა სინათლის უხეი ნაკადით, რომელიც ცხცხლოვან ფიფერს ანიჭებს მის მიწოდ ტანსაცმელს. თთახი კი მთლიანად ბნელით არის მოქცეული. სხვა პერსონაჟებიც უკვე ფერებში არიან ჩაბნელებული. მათი დაძაბული გარინდება დაპირისპირებულია მარიამის ღიფეხში სიმშვიდესთან.

კარავაჯოს ეს ნაწარმოები, სახეების უდიდესი შინაგანი ემოციური ძალით და დრმა სოციალური შინაარსით, ამ თემზე შექმნილი მსოფლიო ხელოვნების უთვალსაზრისო ნიმუშთა შორის დგას. და მისეც მასაც ისეთივე ბედი სხვა წილად, როგორც კარავაჯოს ბევრ სხვა ნამუშევარს. რელიგიური სიუჟეტის ასეთმა „გაურბალოებამ“ ეკლესიის მსუვეურთა პროტესტს გამოიწვია. სურათი არ მიიღო დაშვებულა. იგი რუბენსმა შეიძინა მანტუის პირცივის კოლექციისთვის, რითაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი არტავტია კარავაჯოს შემოქმედებით.

მიუხედავად ამისა, კარავაჯოს იგნორირება უკვე შეუძლებელი იყო. მან ფართო საზოგადოების ყურადღება მიიქცია. ზოგი მისი მოწინააღმდეგეც იძულებული შეიქნა გლიარებმა მხატვრის ზეგარდმო ნიჭიერებას. მაგრამ ფიქსსა და გულზვიად მხატვარს მოწონებ მიიწევს არ გამოილევიან. თეთრობაც არ ეპუებოდა არავის და, არც თუ იშვიათად, დაშნით იცავდა საკუთარ პატიმყოფაგრობას.

1608 წელს მასში კარავაჯოს ბურთის თამაშის დროს მოწინააღმდეგე შემოაკვდა, ხოლო თეთრობი მძიმედ აღიჭრა. ამ დღიდან კვლავ უკუდგებოდა დატრიალდა მისი ბედი. იგი იძულებული იყო რომს გასცლიდა და ნეაპოლში გაიქცა. შემდეგ კუნძულ მალტაზე გადასახლდა, სადაც მალტის ორდენის გროსმასტერის პორტრეტი დახატა და მისი წყალობა დაიმსახურა, მაგრამ ვერც აქ მოიღვა ფეხი. უკანსახეული წლები მუდმივ ხეტიალში გაატარა. არსად უდგებოდა გული, ვერავის ეგუებოდა. მიუხედავად ცხოვრების ყოფიერ მძიმე პირობებისა, მუშაობა მაინც არ შეუწყვეტია. უსუსტიერმა სიმარტოეფმ და ბედკუდმართობამ მხატვრის განატრავა უფრო გამამაფრა. უკიდურესი დრამატისმი და ექსპრესიულობა ახასიათებთ კარავაჯოს ბიოლორიონდელ ნამუშევრებს, მაგრამ ცხოვრებისეული სიმართლე მათშიც მხატვრის მალა კუმანისტურ იდეალად დარჩა.

კარავაჯოს ბოთბოტი ცხოვრება ტრაგიკულად დასრულდა 1610 წლის 18 ივნისს.

კარავაჯოს შემოქმედებით უდიდესი გავლენა მოახდინდა ასაკვეფიერებელი ხელოვნების განვითარებაზე. მას უზარატი მიმდევარი გაუჩნდა არა მარტო იტალიაში, არამედ სხვა ქვეყნებშიც (მათ შორის იყო ახალგაზრდა რუბენსიც). XVII საუკუნის ვერტოვანი ხელოვნებაში ამ რეალისტურ მიმდინარეობას მისი სახელის მიხედვით კარავაჯოზში ეწოდა.

# სოციალისტური

## რეალიზების უსასრულო

### ქართულ სხვებით

#### სელოვნებაში

გივი ბარამიძე

ქირიტილი ესთეტიკური კატეგორიის—მშვენიერების არსის გარკვევის რთულ საკმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებას.

რეალიზმის განვითარების ისტორიულმა კანონზომიერებამ, რევოლუციური ეპოქის შესაბამისმა მხატვრულმა პრაქტიკა-თეორიამ, არსებითად კი სოციალისტური იდეების ძლევამოსილებამ განაპირობა სოციალისტური რეალიზმის მეთოდის აუცილებლობა.

სოციალისტური რეალიზმი შემოქმედებით მეთოდა და არა მსოფლმხედველობა, მაგრამ, უკვე თეთი ამ მეთოდის არსებობა სოციალისტურ იდეოლოგიასთან მისი მჭიდრო კავშირის დამადასტურებელია. სინამდვილის შექმნებისა და ასახვის ეს განსაკუთრებული საშუალება, რეალისტური ხელოვნების მიერ მარქსისტული მსოფლმხედველობით შემუშავებულ იდეურ-მხატვრულ თავისებურებათა განზოგადების საფუძველზეა შექმნილი. და, თუმცა ჩვენს ხელოვნებათმცოდნეებსა და კრიტიკოსებში კვლავაც განსხვავებული შეხედულებები არსებობს ამ მეთოდის შესახებ და თითქოს ჯერ კიდევ ვერ იქნა დ ჯერ დადგინდა ერთიანი განსაზღვრება, მაინც დარწმუნებით შეიძლება თთქვას, რომ მარქსისტული ესთეტიკისათვის კარგაბანია, რაც გადასაწყვეტ ამოცანას აღარ წარმოადგენს სოციალისტური რეალიზმის ჩასახვის, აღმოცენებისა და განვითარების გზების კვლევა-ძიება. ამის შესახებ უკვე ღრმად და მეცნიერულად დასაბუთებული უამრავი შრომაც კი ისტორიად იქცა.

თითქოს ისიც დიდი ხანია ცნობილია, თუ რა დანიშ-

ნულებიას სოციალისტური რეალიზმი, მაგრამ იმ საბაბით, რომ იგი მუდმივ განვითარებაში მყოფი შემოქმედებითი მეთოდია და არა ერთ წერტილზე გაყინული წესებისა და კანონების დოგმა, ზოგი ბურჟუაზიული მკვლევარი (რა დასამალია და, ჩვენიც), უკვე მოძველებულად მიიჩნევს სოციალისტური რეალიზმის განსაზღვრებებს, ზოგი კი საერთოდ უარყოფს სოციალისტური რეალიზმის არსებობას.

ადრე, პროგრესული გზით მიმავალმა ფრანგმა თეორეტიკოსმა ანრი ლეფერვმა (ჩვენში იგი ცნობილია 1954 წელს რუსულად გამოცემული წიგნით „შესავალი ესთეტიკაში“) შემდგომ რეაქციული იდეოლოგიის ზეგავლებით დაბეჭდა წერილი „რევოლუციური რომანტიზმისაკენ“ (1957 წ.), რომელშიც ცდილობს დაამტკიცოს, რომ თითქოს სოციალისტური რეალიზმის მეთოდი არ ამართლებს თავის დანიშნულებას, რომ იგი საერთოდაც მოძველებულია და საჭიროა მისი ახალი შემოქმედებითი მეთოდით— „რევოლუციური რომანტიზმით“ შეცვლა. ამრიგად, ანრი ლეფერვს მის მიერ შემოთავაზებულ სიახლედ მიანია ის, რაც უკვე სამი ათეული წლის წინ საყოველთაოდ ცნობილი გახადა მაქსიმ გორკიმ, როცა სოციალისტური რეალიზმი კრიტიკული რეალიზმისა და რევოლუციური რომანტიზმის ლოკიურ ერთიანობად აღიარა. ბუნებრივია, ამ მეთოდის კიდევ უფრო სასტიკი მოწინააღმდეგე იქნებოდა ბურჟუაზიული კულტურის ისეთი ცნობილი წარმომადგენელი, როგორც იყო მწერალი ალბერ კამუ, რომელმაც ჯერ სტოპოლში (1957 წელს), ნიშების პრემიის ლაურეატობის მიღების დროს, წარმოთქმულ სიტყვაში უარყო სოციალისტური რეალიზმი, როგორც მეთოდი, ხოლო შემდეგ თავის წიგნში „სიტყვები შევივაში“ შეეცადა კიდევ უფრო ჩამოეყალიბებინა დასკვნა და სოციალისტური რეალიზმის დანიშნულება განუზოგადებულ იდეალად დასახა.

შორს წავიყვანადა ყველა ამ მოწინააღმდეგისა და კიდევ უფრო მეტი დამცველის რეზიუმე რომ წარმოავადგინა. ამის შესახებაც უღვა მასალა არსებობს. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვსურს, რომ დავა სოციალისტური რეალიზმის მეთოდის განუსაზღვრლობისა და საერთოდ მისი საჭეკონიზმის შესახებ კვლავაც კრძეღდება, მხოლოდ აღმტკონიზმურად განწყობილი იმ თეორეტიკოსებში, რომლებსაც სოციალისტური რეალიზმი სრულიადც არ აწყობს ისეთად, როგორც ის არსად და როგორც დანიშნულებაც მას გაანია. მისი დანიშნულება კი შექპირი-სეული ცნობილი განსაზღვრების თანამედროვე გაგებით რომ გამოვხატოთ, „ადრეც ეს ყოფილა და ახლაც ის არის“, რომ სინამდვილე მართლად ასახის მის განუწყვეტელ წინა-სვლაში, რევოლუციური განვითარებაში და ცხოვრების ამ მართალი, ისტორიულ-კონკრეტული ასახვით, მოვლენათა სირრმისა და განვითარების პერსპექტივაში წვდომით, „სათნოვებს მისი სახის სოციალისტური რეალიზმის, ბიჭიერებას მისი უმსაქესობა, დროებასა და ხალხს მისი ვითარება და ნაკადობები. თუ ეს განუხლებლად ვერ შეასრულა, ან თუ გადაამეტა, ეგრე რეკვენი გააცინოს, მაგრამ გაგებულ ადა-მიანს კი შეაწუხებს“.

აქედან ადვილი გასაგები უნდა იყოს, რომ ბურჟუაზიული სამყაროს ხელოვნათათვის რთულად გადასაწყვეტ ამოცანას ახლა სოციალისტური რეალიზმის დანიშნულებით თეორიული ფორმულირება კი არ წარმოადგენს, არამედ თეთი ამ უკვე გარკვეულად ფორმულირებული დანიშნულების პრაქტიკული განხორციელება.

აღსანიშნავია, რომ ახლანან საქართველოს მხატვართა კავშირის კორტიკოსთა სექციის თაოსნობით გამართულ თეორიულ კონფერენციაზე ბევრი აზღებური და საინტერესო მოსაზრება გამოითქვა სოციალისტური რეალიზმის საკითხებთან დაკავშირებით. ამავე დროს გამოირკვა ისიც, რომ ზოგიერთ ახალგაზრდა მხატვარს თურმე თრეგვარად „აწინებს“ კიდევ აღნიშნული შემოქმედებით მეთოდის ფორმულირებას, რამდენადაც იგი თითქმის ქვეშ აყენებს მხატვრის შემოქმედებით თავისებურებას და სხვ. ამგვარი ტყვი ახალი არ არის და უთუოდ არც მისი ამჟამინდელი გამოვლენაა შემთხვევითი. შესაძლოა ეს გარემოება ჩვენს სპეციალურ თეორიულ სახელმძღვანელოებში არსებული ერთი დაუზუსტებელი დებულებითაც იყოს გამოწვეული.

ასე მაგალითად: 1972 წელს ქართულ ენაზე გამოცემულ კოლექტიურ ნაშრომში „ლიტერატურის თეორიის საფუძვლები“ ნათქვამია, რომ „ტერმინი „სოციალისტური რეალიზმი“ ორი მნიშვნელობით იხმარება: 1. როგორც შემოქმედებით მეთოდის აღნიშვნული ტერმინი და 2. როგორც ამ მეთოდით შექმნილი მხატვრული ლიტერატურის საერთო სახელწოდება.“ საქვე იმისა, რომ მხატვრული ნაწარმოები ვერ შეიქმნება ვერავითარი მეთოდისა. ჭეშმარიტი სოციალისტური რეალიზმი ხელთეწურად შედგენილი რეცეპტი ან მაკადამე დასადგმელი ბარიტატური რილია, რომლითაც შეიძლებაღეს, ვთქვათ, ისეთი მნიშვნელოვანი ნაწარმოების „დამზადება“, როგორცაა კოკი მანარაძის ცნობილი ფერტილი „მეფე ქართული“, ან ალიოვ გორგაძის ჭედურფლები „კოსმოსური სერები“. ცხადია, კოკი მანარაძემ თავის რამდენადმე ალტერირიულ, მინუშენტურ-რეალისტური მანერით ვადაწვევებულ სურათში სულ ასახა ახალი საინტელის გავრცელება და ბარაკი, რომელი ალიოვ გორგაძემ თავის ბრმა დაპარებულ, ოსტატურად დამუშავებულ ჭედურფლებში ჩვენს მეტყობინებას და კომპონენტების სასწავლოდერი მიღწევები, რომ მათ ეკონდაზე რეცეპტივით არ აქონდათ დაღებულ სოციალისტური რეალიზმის მეთოდის ფორმულირება. მაგრამ, ჩანს, ამ მეთოდის არსი, მისი დაინშულება იმდენად ღრმად ჰქონდათ შემეცნებულ, რომ იგი ნაწარმოებში თავისთავად გამოვლინდა თავისი ძირითადი მოთხოვნით, რაკი თითოეულმა შესანიშნავად შესძლო სინამდვილის მართალი, ისტორიულ-კონკრეტული ასახვით, მოთელის სიღრმესა და განვითარების პერსპექტივაში წყდობისა და სხვა „დროებისა და ხალხისათვის მისი ვითარება და ნაკვლევე ეჩვენებინა“.

მაშასადამე, ხელოვნების ჭეშმარიტი ნაწარმოები შეიძლება შეიქმნას ამა თუ იმ მეთოდის შემეცნების, მისი არჩების, დაინშულებისა თუ სახელმძღვანელო პრინციპების შემოქმედებითი ათვისების საფუძველზე და არა თვით მეთოდის საშუალებით.

სოციალისტური რეალიზმის რაობის შესახებ ჯერ კიდევ ცსარედ კამათობდნენ თეორეტიკოსები, როცა მხატვრები და მწერლები მათგან დამოუკიდებლად უკვე პრაქტიკულად ქმნიდნენ სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებას და ლიტერატურას. ასე რომ, მართალია, განსაკუთრებით 1934 წლიდან, მწერალთა სააკემიური ყრილობის შემდეგ, სოციალისტურ რეალიზმს აქვს თავისი არსი და დაინშულება, იგი მაინც არ შეიძლება წარმოიდგინოთ დღემად ქცეული წესებისა და კანონების იმ შუა ფორმულად, რომლის ბრმა გამოყენებითაც ხელისაშეშელებული თავისი შემოქმედებითი პროცესის წარმართვა, ყოველ ამგვარ შემთხვევას პრაქტიკულად ყოველთვის სავალლო შედეგამდე მიუყვანია ხელოვნება. ერთი ასეთი სავალლო შედეგის დამახასიათებლად ჩვენი სინამდვილიდან შეიძლება

დავასახელოთ თბილისში, მთავრობის სასახლის წინ დადგმული ორი ორდიგურაინი მინუშენტურ-დეკორატიული-ის პრეტენზიების მქონე ქანდაკება.

შთაბეჭდილება რჩება, თითქმის სხნებელი ქანდაკების ავტორს (შოთა მიქატაძესა და ვალერიან თფურაძეს) წინასწარ შეთავაზებული მზა რეცეპტით უმოქმედნობა უსხდად და განსაზღვრულად. მათს ნამუშევარში თითქმის სოციალისტური რეალიზმის დაინშულების ყველა მოთხოვნაა შესრულებული. ძირითადი კი: 1. განსოვადებულად მოცემული ჩვენი მშრომელი მასების წარმომადგენელთა გამოსახულება, 2. ისტორიულ-კონკრეტული მთელწელი სოციალისტური შინაარსისა და ნაციონალური ფორმის ერთობლიობა, 3. რვეულეკურ განვითარებაში ნაშეღისხმევი ჩირაღდნით განათებული მომავლისაკენ მიმსწრაფი ახალი „პარმინიული“ ადამიანის შემართება და სხვა, მაგრამ ყოველივე ეს ხომ თვით სოციალისტური რეალიზმის დებულებათა გათვალისწინებით გამოქანდაკება და არა ამ დებულებების შესაბამისი იდეური ჩანაფიქრის ქოცხალი დებულებული სახეებით წარმოსახვა. აქ ყველაფერი მართლაც „თითქოსაა“. თითქმის „სიმართლეს“, თითქმის „კონკრეტულსა“, თითქმის „რომანტული მემორიება“, თითქმის „დინამიურობა“ და ა. შ. ერთადერთი, რაც, თითქმის არ არის, ეს ჯერ კიდევ პრიულეტარული მასების ერთიდან შემორჩენილი იმ ტრადიციული შაბლონების ერთგულებაა, რომელთა საფუძველზედაც ზოგჯერ ჩვენი მხატვრების მიერ შექმნილ და მუშეუმებას და ჩაღერებში გამოფენილი მემხატვების, მეტალურგების, მეჩაფე ქალეებისა თუ შრომის პროცესის მასხველ ფერტილობებს, ქანდაკებებსა და ბარელეფებს ვერაფრით ვერ განასხვავებთ ჯერ კიდევ ბელადელი მოქანდაკის კონსტანტინ მენეს მიერ გასული საუკუნის მიწურულში შექმნილი მუშა, მკვირთები, მეთოქსე თუ მეშახტე მამაკაცებისა და ქალების იერსახეებისაგან. თითქმის ამაოდ ჩაუვლიათ რვეულეკობისა და სა-ზოვადებელი ცვლილებების. იგივე ნაწარმოი იარაღები, იგივე ტანსაცმელი, იგივე ნახევრად შინევილი სხეულის დაძაბული მუსკულატურა და, რაც მთავარია, იგივე ფსიქოლოგია...

როცა ხელოვანი მართლად და ნათლად აზროვნებს, შეუძლებლია მართალი იმ ნათლად არ გამოვლინდეს მის მიერ შექმნილი ნაწარმოებიც, როცა ხელოვანს ღრმად და გულწრფელად აქვს შესისხლმორცნული არსი და დაინშულება შემოქმედებითი მეთოდისა, მაშინ მისი ნაწარმოებიც თავად იტყვევებს დროისა და ეპოქის განსაზღვრელ ბარიტეტრად, რაკი შესწევს უნარი ისე დამაჯერებლად განეჭვრიტოს მოვლენის არსი, რომ „რეგენი არ გააციოს და გაგებული ადამიანიც არ შეაწუქოს“.

სოციალისტური რეალიზმი ცოცხალი შემოქმედებითი მეთოდია, რომლისთვისაც უცხოა მკვედარი კანონები და წერილობანი რველამენტებიც. იგი შემოქმედებითი მეთოდად წარმოდება იმ ნოვატორული თავისებურებებით, როგორც სინამდვილის საერთო პრინციპებს თვითონ მიბეჭტური მინამდვილის განვითარება და მარქსიზმის შენაძენმა — ადამიანის არსის ახალმა გაგებამ, გარე სამყაროსთან ადამიანის აქტიურმა, შემოქმედებითად გარდაქმნილმა კავშირმა. საზოვადებოური განვითარების ანონ-ზომიერებამ, სინამდვილისადმი ახალმა ესთეტიკურმა დამოკიდებულებამ.

მეთოდის სტილისა და ინდივიდუალური მანერების კარგე არ არსებობს ისევე, როგორც თვით სტილიცა და მანერაც ჰაერში გამოკიდებული დარჩნობდა წარკვეული მეთოდის გარეშე.

მხატვრულ მეთოდს ვუწოდებთ სინამდვილის შემეცნებისა და ასახვის იმ განსაკუთრებულ საშუალებას, რომე-

ლიც შემოქმედს უნარჩუნებს მნიშვნელოვანი მოვლენების სერიევს, ასახვისა და შეფასების ობიექტურ პრინციპებს. სტილი კი მეთოდთან დამოკიდებულებაში ზოგადის გამოყენება განსაკუთრებული, „ოთხი ინდივიდუალური გაზომვების მეთოდისა“ (ლ. ტიშინაძე). კიდევ უფრო სრულყოფილად რომ ვთქვათ, „სტილი სინამდვილის მხატვრულ-სახეობრივი შემქნების შედეგია, რომელიც თინათისა და მხატვრული ფორმის მთლიანობაშია მოქმედი, ხოლო შემოქმედებითი მეთოდი თვით მხატვრული შემოქმედების პროცესია. შემოქმედების რეალური პროცესში ისინი განუყოფელი არიან ერთმანეთისაგან...“ (ა. ეგოროვი).

სახეობით სამართლიანად აღნიშნავს ა. სოკოლოვი თავის მინორგანიზაციას „სტილის თეორია“, რომ „სოციალისტური რეალობის იდეურ-სახეობრივი სისტემა და მხატვრული მეთოდი არ მითითებენ ერთიან სტილისტურ კანონზომიერებას, მაგრამ არც ყოველგვარ სტილს ურიადგენიან“. ამ ყოველგვარ სტილში, ცხადია, ავტორი დეკლარირებული ხელოვნების ფორმებს გულისხმობს, რაკი მიიხსნება, რომ საქართველოს ერამანეთისაგან განსხვავებულებს „ამათი იმ მხატვრული მიმართულებების სტილის მრავალფეროვნება“ და „სტილთა სირთველი“.

პერინი ცილობდა, ღრმად ჩასწავლობდა მოწაფეულთა შემოქმედებით ბუნებას და, ამ მიზნით, იგი ქორეოგრაფიული ხელოვნების ყოველ ჟანრში სცდიდა მათ შესაძლებლობებს. „დასანიშნავია, რომ მ. პერინის სკოლის სასწავლო კურსი ფართო დიაპაზონი ახასიათებდა. იგი ასწავლიდა კლასიკურსა და ხალხურ ცეკვებს. მ. პერინის სკოლაში აღზარდა როგორც კლასიკური, ისე სახასიათო ცეკვიზის მრეწველად შემსრულებლები. თავისუფალი საზოგადოების აღნიშნულ ე. ჩიკაიძესა და მ. ბაუერი. მ. პერინის სკოლის წარმომადგენელთა უმრავლესობა ფლობდა საბალეტო ხელოვნების ყველა ჟანრს“. ასეთია ი. ალექსიძის აზრი.

მ. პერინი დიდ ყურადღებას აქცევდა კოლევგობას. მისი სკოლა მტკიცე და ერთსულოვანი კოლექტივი იყო. სხვადასხვა ასაკის მოწაფეებიც კი შეგობობდნენ ერთმანეთთან. სკოლაში შემოქმედებითი ატმოსფერო სუფევდა. „მ. პერინი დაინტერესებული იყო მოკლე დროში სრულად გაემდიანებინა მოწაფელთა მიზანდასახულებით. უფროს მოწაფეები პატარებს ესმარებოდნენ, ამით ისინი სწავლების გამოცდილებასაც იძენდნენ. მართლაც, შემდეგში მრავალი მათგანი პედაგოგიურ მოღვაწეობას გაჰყვა, მათ შორის: ვ. ჭაბუკიანი, მ. ბაუერი, მ. კაზნიევი, ე. გვარამაძე, ი. ალექსიძე, ს. ვეჯვა და სხვები. გარდა ამისა, მ. პერინი მოწაფეებში ბალეტმეისტრულ ჩვეულებას აწივებდა. მეცადინეობის პირველსავე წლებში გვაჯავლებდა საკონცერტო იმპრების დადგმას, ამით მან ხელი შეუწყო მრავალი ბალეტმეისტრის აღზრდას — ვ. ჭაბუკიანი, ი. არბატოვი, ს. სერგევი, ვ. ვრონსკი (ნადირაძე) და სხვები“. — იგონებს მ. კაზნიევი.

მ. პერინის ერთ-ერთი საყვარელი მოწაფე იყო სომხეთის სახალხო არტისტი ილია არბატოვი. მას ნიჭიერ ბა-

ლეტმეისტრად სთვლიდა და სასკოლო სემქტაკლების დადგმას ანდობდა, მანვე აღმოაჩინა ვ. ჭაბუკიანის ბალეტმეისტრული მონაცემები. აი რას წერს ამის შესახებ ი. არბატოვი: „მ. პერინი უმაღლეს შეამჩნია ვ. ჭაბუკიანის ბალეტმეისტრული ნიჭი და დაავალა ერთაქტიანი ესპანური ბალეტის „დღესასწაული სვილიაში“ დადგმა. ამ ბალეტის ლირიკისტი და შემოქმედებითი თვით ვ. ჭაბუკიანი იყო თავის პარტიზონთან ელ. ჩიკაიძესთან ერთად“.

უადრესად საყურადღებოა პერინის პედაგოგიური მოღვაწეობის ეს მხარე, რადგან იმ ხანად ამ ამოცანას არც ერთი სკოლა არ ისახავდა მიზნად. პერინის სკოლაში კი მოსწავლეები თავიდანვე ენერგობდნენ ვ. წ. „ბალეტმეისტრული სამუარეულოს“ საქმიანობას.

მ. პერინი თვითონაც დაგმდა ცეკვებს და თბილისში მოღვაწე გამოჩენილ ბალეტმეისტრებსაც იწვევდა. გარდა ამისა, თითოეული მოწაფე ვალდებული იყო ერთი დადგმა მაინც მიემსახურებინა. ვანსაკუთრებული პირობები ექმნებოდა სპეციალური საბალეტმეისტრო დადგმად დაკომპოზირებული მოწაფეებსაც. მ. პერინის ხელმძღვანელობით აიღვეს ფეხი იმ ცნობილმა ბალეტმეისტრებმა, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს საბჭოთა ქორეოგრაფიული კოლექტივის ჩამოყალიბება-განვითარებაში. მათ შორის აღსანიშნავია: ი. არბატოვი, ვ. ჭაბუკიანი, ს. სერგევი, ვ. ვრონსკი და სხვები.

კლასიკურ ცეკვებს მ. პერინი დღემდე 2 საათს უთმობდა, კვირაში ორჯერ სასასიათო ცეკვებს ასწავლიდა. ბავშვები სწავლობდნენ აგრეთვე სხვადასხვა ხალხთა ცეკვებს, განსაკუთრებით — ქართულ ხალხურ ცეკვებს. ამ მიზნით მ. პერინი იწვევდა სპეციალისტებს — კავკასიური ქორეოგრაფიული ფოლკლორის მცოდნე პედაგოგებს — ა. ალექსიძესა და მ. სულხანიშვილს.

მიუხედავად ამისა, მ. პერინი მაინც ვერ შეძლო სწავლების მყარი სისტემების და მეთოდების ჩამოყალიბება, მაგრამ საქართველოში შექმნა ბაზა კლასიკური ბალეტის დასაფუძნებლად. მ. პერინი აღზარდა წამყვანი მოცეკვავეების მთელი პლავა, რომელიც თბილისის საბალეტო დასის ბირთვს წარმოადგენდა. ამაშია მ. პერინის დიდი დამსახურება არა მარტო ქართული, არამედ საბჭოთა საბალეტო ხელოვნების განვითარებაში. მისი მოწაფეები ნაყოფიერად მოღვაწეობენ არა მარტო საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებშიც. მაგალითად,

**საბალეტო თეატრი**

შაბათი 21 ივნისი 1919 წელი

**ბ ა ლ ე ტ ი**

საბალეტო თეატრი პერინის სახელს უკავშირებს

პერინის მოწაფეები: ვ. ჭაბუკიანი, მ. ბაუერი, მ. კაზნიევი, ე. გვარამაძე, ი. ალექსიძე, ს. ვეჯვა და სხვები.

საბალეტო თეატრი პერინის სახელს უკავშირებს

საბალეტო თეატრი პერინის სახელს უკავშირებს

საბალეტო თეატრი პერინის სახელს უკავშირებს

---

**ГОСУДАРСТВЕННЫЙ ТЕАТРЪ**

Въ Субботу, 21-го Іюня

**БАЛЕТЪ**

ИЗЪ РЕПУБЛИКАНСКИХЪ БАЛЕТОВЪ ПЕРИНА

Съ 8-ми часами

**THEATRE DE L'ETAT**

Samedi 21 Juin à 8 h. soir

**BALET**

D'après les Ballets de M. PERINA

8 heures

1) БРОДЫ АЛЛЕСКИЕСЕ И ПАТРИСТИЕСЕ  
2) ТИЛЫ АЛЛЕСКИЕСЕ  
3) ТИЛЫ ПАТРИСТИЕСЕ

მ. პერინის სტუდიის საბალეტო სალაშოს აფიში (1919 წ.).

სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ვრონსკი (ნადირაძე) წლების მანძილზე მთავარ ბალეტებისტრად მუშაობდა საბჭოთა კავშირის თეატრებში; უკრაინის სახალხო არტისტი ს. სერგევი ათ წელზე მეტ ხანს იყო კიევის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი ბალეტმეისტერი; სომხეთის სახალხო არტისტი ი. არბატოვი სომხური კლასიკური ბალეტის ერთ-ერთი ფუძემდებელია, იგი წლების მანძილზე ნუშაობდა მთავარ ბალეტმეისტრად საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა თეატრში და ა. შ.

მ. პერინის მოსწავლეთა უმრავლესობა სრულყოფილად თავის ხელოვნებას ლენინგრადსა და მოსკოვში. ეს სრულიადეა არ ამიერებს მ. პერინის სკოლის დირსებს. ისევე, როგორც პიანისტისათვის გადაწყვეტია ხელების სწორად დაყვების ამოცანა, ქორეოგრაფიაშიც არტისტის შემოქმედებით ცხოვრებას პირველი ნაბიჯები განსაზღვრავს. ლენინგრადისა და მოსკოვის სასწავლებლებში პერინის მოსწავლეს კი არ უსწორებდნენ რაიმეს, არამედ სრულყოფილად მათ ოსტატობას. უფრო მეტიც, ყოველთვის აღნიშნავდნენ მათ კარგ მომზადებას. ამიტომაც პერინი შწირად იღებდა მადლობებს მოსკოვისა და ლენინგრადის ქორეოგრაფიული სასწავლებლების დირექციისაგან.

პერინის პედაგოგიური მოღვაწეობის დირსებებზე მეტყველებენ იმ მოწავეთა სახელებიც, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზების გამო ვეღარ განაგრძეს სწავლა მოსკოვსა თუ ლენინგრადში. მათ შორის არიან რუსეთის დამსახურებული არტისტები მ. კასინევი, ი. მეტრეველი, ნ. ახისინსკაია, გ. სემიონოვა, სსრკ სახალხო არტისტი ნ. რაინი-შვილი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი თ. ჭაბუკიანი, სსრკ სახალხო არტისტი ვ. ვრონსკი, უკრაინის სსრ სახალხო არტისტი ს. სერგევი, სომხეთის სსრ სახალხო არტისტი ი. არბატოვი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ჯ. მარსუღარი, ვ. ვროსკი და სხვები.

მ. პერინის პედაგოგიური მოღვაწეობის შედეგები მუდამ განსაკუთრებულ ყურადღებასა და სიმძაბრეს იმსახურებდნენ. კრიტიკა თვალყურს ადევნებდა მ. პერინის სკოლა-სტუდიას. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა საანგარიშო სპექტაკლი-გამოცდები, მათ თეატრალური ცხოვრების ნამდვილ მოვლენად მიიჩნეოდნენ.

საჩვენებელ სპექტაკლზე მუშაობა სასწავლო წლის დასასრულს იწყებოდა. სტუდიელთათვის ამ სახეიმო სამუადის დიდი სისარული მოჰქონდა. გაკეთილებს შემდეგ ინაშნებოდა რეპეტიციები. პერინი მილანიდან იწერდა სხვადასხვა ფერის ტარლატანს გოგონების საბალეტო კაბებისათვის. პრემიერამდე ორი-სამი კვირით ადრე მოსწავლეები სარეპეტიციოდ თეატრში მიავყავდა. საანგარიშო სპექტაკლები საოპერო თეატრის სცენაზე იმართებოდა.

პრემიერა დღესასწაული იყო. პატარა მისამართებს ახარებდათ ნამდვილი თეატრალური ატმოსფერო — გრიმი, კოსტიუმები, ორკესტრი, დიდი სცენა, მაყურებელი. სპექტაკლის შემდეგ მ. პერინი უკრებდა ყველას თავის ბინაზე პარტიებდა. იქ, მათ გულუხვად უმასპინძლებდნენ და ასაჩუქრებდნენ კიდევ.

საჩვენებელი სპექტაკლების პროგრამა ძირითადად ასე იყო შედგენილი: I განყოფილება — კლასიკური ეტრულები (უმაღრესად აჩვენებდნენ სხვადასხვა სირთულის სატრეპაქო ვარჯიშებს). პატარები დაზარალებულ მუშაობდნენ, მოზარდები დარბაზის ცენტრში ვარჯიშობდნენ. II განყოფილება — კლასიკური ცეკვები, III განყოფილება — სახასიათო ცეკვები.

პროგრამაში შეტანილი იყო საბალეტო დადგამები. მათ შორის აღსანიშნავია „მშვენიერი მარგალიტი“ (მუსიკა პუნისა, დადგმა ს. სერგევის), „იზიზინ ტაძარი“ (დადგმა ი. არბატოვისა), „თეატრალური იასამანი“ (დადგმა



*à ma chère  
maîtrese au bon  
soir très att-  
ché Héli  
Svaramadje  
14 7 26*

ლ. გვარამია (1926 წ.).

კავსაძისა); ორაქტანი ბალეტებიდან: „კოპელია“ (მუსიკა დელიბისა, დადგმა ი. ლიევერის), „სოლუჟკა“ (დადგმა ი. არბატოვისა), „ოთხიენების ფერია“ (დადგმა ი. ბექთაბეგოვისა), „ქველბერი გიბოლენი“ (დადგმა კარნინი-ზახაროვისა) და სხვა.

საჩვენებელ სპექტაკლებში სტუდიის ყველა მოსწავლე იღებდა მონაწილეობას. მ. პერინი ყველას უქმნიდა თავის გამოჩენის შესაძლებლობას. „ახლა უკვე მწელია ყველა შემსრულებლისა თუ საკონცერტო ნომრის გასსენება“ იგონებს ი. არბატოვი, მაგრამ ზოგიერთი სამუდამოდ აღიბეჭდა მსწავლეებში. ეს არის „ზურიალა“ ლილი გვარამიის ვირტუოზული შესრულებით, „მელერი მარში“ მ. ბაუერისა და ვ. ვროსკის მონაწილეობით. თითქმის ყოველ საანგარიშო სპექტაკლში შეტანილი იყო „სათის ცეკვა“ ოპერინდა, „ჯოკონდა“ (მ. პერინის დადგმა). მას ელვარედ ასრულებდა „პატარა“ ლილი ბექთაბეგოვა. იგი ყველას ანცვიფრებდა თავისი ვირტუოზული ტექნიკით. „ერთ-ერთ ასეთ საღამოზე გამოვიხინდა ვახტანგ ჭაბუკიანის მრწავილადე ნიჭიერება, — იგონებს ირინე ბლექსიძე, — იგი ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როცა შესარულა „ცეცხლის ცეკვა“, რომელიც თვითონვე დადგა. მ. პერინი უმაღლე შეიზნა ვ. ჭაბუკიანის განსაკვირვებელი მონაცემები, რომელნიც პასუხობდნენ საბჭოთა საბალეტო ხე-

ლოკუნების მაღალ არსს. მისი ცეკვა გამსჭვალული იყო დი-  
ონის ნინარსით, გასოცარი პეტურობითა და პერიოტით.

საქართველოს განსაკომის სახელმწიფო ქორეოგრაფი-  
ლი სტუდიისა (ხელმძღვანელი დ. ჯაჭიშვილი) და პე-  
რინის სკოლის გაერთიანების შემდეგ მოსწავლეთა ძალებით  
წარმოდგინო იქნა ჩაიოკოსის ბალეტი „შეღლაქნიჩიკი“  
(1935-36 წლების სეზონი). ეს იყო სტუდიელთა პირველი  
„სრულმეტრაჟიანი“ ბალეტი. მისი განხორციელებისთვის  
დიდი მუშაობა ჩატარდა. ამ სპექტაკლის შექმნაში მონა-  
წილობობდა სტუდიის ყველა პედაგოგი, ყველა მოსწავლე,  
მათელი ტექნიკური პერსონალი. იმსახრა კი სტუდიისა და  
ფილიალში სწავლობდა 18-22 წლის 240 მოსწავლე.

„დამდგემლა ვ. ივაშინმა პედაგოგებთან ერთად (მ. პე-  
რინი, მ. ბაუერი, ა. გულოვი და ნ. ორლოვსკაია) წარმა-  
ტებით გადატარა ეს ურთულესი ამოცანა. მათ შექმნეს ცო-  
ცხალი, მხატვრულად გამართული, შთაბეჭდილად საშუაო  
სპექტაკლი. იგი კარგად იყო ჩაფიქრებული. მასობრივი  
სცენები გამოირჩეოდა ორგანიზაციითა და ხატოვანებით.  
დიდი წარმატება ხვდით სოლო ნომრებს: — წერდა გაჯეი  
„ზარია ვოსტოკა“ (1936 წელი, № 119). სანტრესთა  
თვით სპექტაკლის მონაწილეთა შთაბეჭდილებანი. მათ  
უშუალო და წრფელ სიტყვებში ახლავ იგრძნობა ნორჩი  
მსახიობების მღელვარება, პირველი წარმატების სიხარუ-  
ლი, პასუხისმგებლობის გრძნობა.

თეატრალურმა სასოგადოებამ იმდენად მაღალი შეფა-  
სება მისცა ამ წარმოდგენას, რომ სტუდიელთა „შრელკუნ-  
ჩიკი“, თეატრის რეპერტუარში შეიტანეს.

1927 წელს საქართველოს თეატრალურმა სასოგადოე-  
ბამ ზვიმით აღნიშნა მარია პერინის მოღვაწეობის 31  
წლისთავი. საიუბილეო კომისიის შემადგენლობაში იყვნენ  
ქართული ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწენი: კ. მარჯანი-  
შვილი, ს. ასბეტელი, დ. არაყიშვილი, ი. ფალიაშვილი,  
ს. ინაშვილი, ა. ვუწუნავა, დ. შვავრდნაძე, ტ. ტაბიძე და  
სხვები. ამ თარიღის გამო თბილისის საოპერო თეატრის  
სცენაზე გამართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწი-  
ლობდა ქორეოგრაფიული სტუდიის ყველა მოსწავლე.  
თეატრის მთელი საბალეტო დასი. თითქმის ყველა მ. პერი-  
ნის აღზრდილი იყო. ამ საღამოზე განსაკუთრებული წარ-  
მატება ხვდათ პერინის ოპერეტებს — ნ. რამიშვილს, ს. ვე-

კუსა, ი. ალექსიძეს, ელ. ჩიკვაძეს, დ. ალექსიძეს, მ. ბა-  
უერს, ვ. ჭაბუკიანს, მ. სულხანიშვილს და სხვებს.  
საიუბილეო სპექტაკლი ი. არბატიყვამ დადგა. მან ამით  
გამოხატა თავისი მადლიერება საყვარელი პედაგოგი-  
სადმი.

საიუბილეო კონცერტის I განყოფილებაში ნაჩვენები  
იყო „წმინდა ცეცხლის ცეკვა“ (გვიბტური ფრესკანი) რუ-  
ბინშტეინის მუსიკის მიხედვით და ბალეტი-ზღაპარი „კა-  
დოსნური ტატი“, მეორე განყოფილებას ეყოლებოდა „გა-  
ნური სურათები“.

მესამე განყოფილებაში ნაჩვენები იყო „ქორეოგრაფი-  
ული ეტიუდები“, რომელშიც შევიდა კლასიკური, სასასია-  
თო და ხალხური ცეკვები. განსაკუთრებით გამოირჩეოდა  
კლასიკური ეტიუდი მასნეს ოპერიდან „ტაის“ და სცე-  
ნები ი. სტრაინსკის ბალეტიდან „ფასკუნჯი“.

სადამის IV განყოფილება მ. პერინისადმი იყო მიძღუნი-  
ლი. გაიხსნა ფარდა. ყვავილებით მოფენილ სცენაზე იდგა  
მარია პერინი — ალექსევილი და ბედნიერი, თავისი მო-  
წაფებით გარშემორტყმული.

მიწყდა ხანგრძლივი და მუქხარე აპლოდისმენტები...  
მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ლილი გვარამაძე  
მან მოსწავლეთა სახელით მზურაველ მადლობა გადაუხა-  
და საყვარელ პედაგოგს. შემდეგ კი დღით აღსატყობი  
მღელვარედ წაიკითხა მ. პერინისადმი მიძღვნილი საყუ-  
თარი ლექსი.

მ. პერინის თბილისში 47 წელი იმოდღაწევა (გარდაიც-  
ვალა 1939 წელს, დაკრძალულია იტალიაში). მან სა-  
ფუფილი ჩაუყარა საბალეტო ხელოვნების კლასიკურ ტრა-  
დიციებს. 1936 წელს კი მოქსწრო პირველი ქართული სა-  
ბალეტო სპექტაკლის დაბადებას. ეს გასლდათ ანდრია ბა-  
ლანჩივაძის ბალეტი „მუჭბაუკი“ (შემდეგ „მთების გუ-  
ლი“ ეწოდა), რომლის დადგმაც განაპოროციელა მ. პერი-  
ნის საყვარელმა მოწაფემ, გამოჩენილმა მოცეკვავემ და ბა-  
ლეტმეისტერმა ვახტანგ ჭაბუკიანმა. სპექტაკლ მხატვ-  
რულად გააფორმა მ. პერინის ყოფილმა მოწაფემ, შუა-  
ნიშნაზე თეატრალურმა მხატვარმა, ლენინური პრემიის  
ლაურეატმა სოლოკო ვირსალაძემ, ამ სპექტაკლშიც მ. პე-  
რინის მოწაფეები მონაწილეობდნენ.

მ. პერინის სახელი სამუდამოდ ჩაიწერა ქართული და  
საბჭოთა საბალეტო ხელოვნების ისტორიაში.



მ. პ. პერინი თავისი სტუდიის  
ალსაზრდულებთან.

# სარეპეტიციო პროცესის შესახებ

ნათელა არგელაძე

სამქტაკლის შექმნის ერთ-ერთი საფეხურია რეპეტიცია, რომელიც ძალზე რთული წინააღმდეგობებით არის აღსავსე. მის ორგანულ მიმდინარეობაზე კი ბევრად არის დამოკიდებული მომავალი სამქტაკლის ბედ-იღბალი, თითოეული აქტიური ნამუშევარი და რეგისორული ჩანაფიქრის ხორცშესხმა.

ოეატრალურ ენციკლოპედიამო აინიშნულია, რომ რეპეტიცია (გამეორება) სამქტაკლის მზადების ძირითადი ფორმაა და თეატრალურ კოლექტივში რეგისორის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს.

ესე იგი რეპეტიცია გამეორებას ნიშნავს, მაგრამ სარეპეტიციო პროცესი და შემდგომ ყოველი სამქტაკლი თანვისთავად განუმეორებელიაო, აღნიშნავენ თეატრალური მოღვაწენი. მაშინ როგორღა ხდება განუმეორებლის გამეორება?

ენახთო, რა ხდება რეპეტიციის დროს.

როგორც ცნობილია, რეპეტიციებზე ხდება როლის ყველაზე მალული, რთული და ღრმა ფსიქოლოგიური ნიუანსების მიკვლევა, როლის ფიზიკური მოქმედებების ლოგიკური თანამიმდევრობის შექმნა. ყოველი მსახიობი თავისი ინდივიდუალური ხედვისა და რეგისორის „კარნახით“ ქმნის მსატრულ სახეს. შემდეგ კი რეგისორი ერთ პარონიულ მოლიანობაში „ჩამოასხამს“ მსატრულ სახეთა ერთობლიობას, შეუქმნის მათ მიზანსცენების მსატრულ სახიერებას, ავტორის იდეის, ზეამოცანის შესაბამისად „შემოსავს“ სამქტაკლს.

პირველ რეპეტიციავე კი, რეგისორის ჩანაფიქრის გაცნობის შემდეგ, ხდება ტექსტის ჩასწორება, შედარება...

ამრიგად, რეპეტიციებზე ხდება „აღამიანის სულის ცხოვრების“ შექმნა დრამატურგიაზე, ავტორისეულ სიტყვაზე დაყრდნობით.

რას წარმოადგენს ტექსტი სახის შექმნის პროცესში? იგი საშუალებას იძლევა ამოკითხო უპირაქი მოცემული პირობა, რომელსაც ავტორი აწვდის თეატრს. ამოკითხო საკუთარსა და პარტნიორის ტექსტში, რემაკაში, სათაურში, სცენების თანამიმდევრობაში... და ამ საძირკველზე შექმნა გმირის ცხოვრების სახიერი გამოვლინება.

რეპეტიციების დროს უცვლელია ავტორის მიერ მოცემული ძირითადი პირობები.

მაშინ რა იცვლება კონკრეტულად?

ცნობილია, რომ რეპეტიციების დროს ხდება ავტორის, რეგისორის, მსატრისა და სხვათა მიერ შექმნილ მოცე-

მულ პირობებთან შეგუება. და რაც უფრო ნიჭიერი მსახიობი, მით უფრო მრავალფეროვანი, მრავალგვარი და ამოუწურავი იქნება ეს ძიება.

ყოველ მომდევნო რეპეტიციაზე რეგისორი უნდა აღდგენდეს მოცემული პირობების გართულებას. ეს არ ნიშნავს, რომ შეცვლება ძირითადი პირობები. „გართულებაში“ ვგულისხმობთ ახალ-ახალი, მოულოდნელი და „წვრილმანი“ პირობების აღმოჩენას, რომლებიც შეეცვლებენ ძირითად მოცემულ პირობებს და არ გამოიწვევენ მის შეცვლას. როლის სცენური ცხოვრების შექმნა ერთი ხელის მოსმით შეუძლებელია. ამიტომ მსახიობი თანდათან მიმართავს შეგუებათა ძიებას. თანდათან ქმნის ფიზიკურ მოქმედებათა ყვებას და ახდენს მათ შორის ყველაზე სახიერისა და ზუსტის ფიქსირებას (წინააღმდეგ შემთხვევაში „გამეორება“ არასოდეს არ დასრულდება). მოცემული პირობების „გართულებასთან“ ერთად რეგისორი ხვევს ფიქსირებულ ფიზიკურ მოქმედებებს და კვლავ გრძელდება ძიება.

ამრიგად, რეპეტიციაზე უცვლელია და მეორდება მოცემული პირობები, ხოლო იცვლება მათთან შეგუება. თუ ეს პრინციპი დაირღვა, რეპეტიციის კლასიკური განმარტება თეატრალური ხელოვნებისთვის ორგანული ადარ იქნება, ვინაიდან სარეპეტიციო პროცესი და შემდგომ ყოველი სამქტაკლი, იმპროვიზაციული ხასიათისაა.

თეატრალური ხელოვნების განვითარებასთან ერთად შეიცვალა სამეპეტიციო პროცესიც, მისი ბუნება კი უცვლელი დარჩა.

განვიხილოთ ამ პროცესის ევოლუცია.

ვლ. ნემტოვიჩი-დანინჯი ასე აღწერს რეპეტიციების ძველ თეატრში: „...არავითარი წინასწარი საუბარი პივის შესახებ. დაკავებული აქტიორების შეხვედრა იწყება რომლის მეკანიკური შედარებით ტექსტთან... ამასთანავე ამ დროს რეპეტიციას მთავარი როლების შემსრულებლები იშვიათად ესწრებიან; მათ როლებს რეგისორის თანაშემწე ასწორებს; პირველივე რეპეტიცია მიმდინარეობს პირდაპირ სცენაზე. მსახიობები დადიან რვეულით ხელში, მოლოდინე აც კი იცაან რა ხდება ამ პიესაში, რეგისორი კი უკვე მიუთითებს: „ამ სიტყვების დროს თქვენ მარჯვნივ მოთავსდით მაგდასთან, თქვენ კი — მარცხნივ, სავარტელში, შენ კი, კოსტია, — სიღრმეში ფანჯარასთან“. მაგრამ რატომ მარჯვნივ, მაგდასთან და მარცხნივ, სავარტელში, — ეს ჯერჯერობით ესმის მხოლოდ რეგისორს; მი-

4. „საბუთა ხელოვნება“, № 10, 1973 წ.

სი რემარკები მსახიობებს გულმოდგინედ შეაქეთ რვეულში და არც არის დრო განმარტებისთვის, საჭიროა ყოველ რეპეტიციაზე მოლიანი პიესის გავლა, მთელი თონი, თუ ხუთი მოქმედების. ზეალ რეჟისორი ისევ გაიმეორებს: ვინ მარჯვნივ უნდა მოთავდეს მაგიდასთან, ვინ—მარცხნივ, სა-გარეოდ, შემდეგ კი ორ დღეს დაუთმობს „როლების შემწავლას“. შემდეგ დღითი დღე იზარმოებს რეპეტიციები სულ ასე, ყოველთვის მთლიანად, თანდათან აქტირებ-ბი შეწყვეტენ რვეული ყურებით და სულფორიც ხმამა-ღალი ყარაზით ადარ ჩაისლენ ხმას!.

3. ნემიროვიჩ-დანიჩევი, როგორც თვისობრივად ახალი სარეპეტიციო პროცესის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ირონიით აღწერს რეპეტიციების ძველ თეატრში, მაგრამ ზოგი რამ არც ისე დასაგონებია ამ პროცესში.

ასეთი რეპეტიციების უარყოფითი მხარე არის, რომ მსახიობები აბსოლუტურად მოუშვადებელი არიან, ზოგ შემთხვევაში მათ პიესაც კი არა აქვთ წაითხულები. რეჟისორი არ ცდილობს თავისი ჩანაფიქრის გაზარაზებას. მსახიობები მექანიკურად, მიზნის გარეშე მოქმედებენ (პირველ რეპეტიციას წამყვანი მსახიობები არც კი ესწრებიან). სარეპეტიციო პროცესს განაგებს შემოქმედთა ქვეყნობე-რება. მამონ მსახიობი-ოსტატია ქმნიდა სახეს და ეს განაპი-რობებდა სპექტაკლის წარმატებასაც.

რა დღებითი თვისებები გააჩნია ამ პროცესს? პირველი და გადაუმწყვეტია აქტიორი-ოსტატის და-მოუკიდებლობა; გადაწირული როლების ტექსტთან შედა-რების შემდეგ მსახიობები პირდაპირ იწყებენ მოქმედე-ბას.

მთელი პიესის რეპეტიცია თავიდან ბოლომდე მიდი-ნარობს. მამასადამე, მსახიობს შესაძლებლობა აქვს მიმოი-რინოთაში წარმოდგინის თავისი როლი და იქ შეასწიროს იგი.

მსახიობის ინიციატივა იწყებს მისი მთლიანი შემოქ-მედების აპარატის (კონობა, გრონობა, სხეული) მაქსიმალ-ურ დაბაზებას და პარალელურ მოქმედებას.

თეატრალურ ხელოვნებაში რეჟისორის როლის გამოკ-ვეთით შეიცვალა სარეპეტიციო პროცესიც. „მეინიგულე-ბისა“ და სამხატვრო თეატრების პრაქტიკის გაზარაზების შედეგად ეს პროცესი თანდათან დაიხვეწა და დღეს თეატ-რების უმეტესი ნაწილი სხვაგვარად მუშაობს.

სპექტაკლის მზადების პერიოდს აგვამად სამი ნაწი-ლისაგან შედგება: I — მაგიდასთან, II — ძვიდევში, III — სცენაზე. სარეპეტიციო პერიოდი უმეტესად ასე ნა-წილდება: ორი მესამედი მაგიდასთან, ხოლო დანარჩენი ეთმობა რეპეტიციებს ძვიდევსა და სცენაზე.

განვიხილოთ ეს ეტაპები. რეპეტიციების დაწყებამდე რეჟისორი ეცნობა დრამა-ტურგის სხვადასხვა ნაწარმოებს, რათა შეკეთდეს შე-ინჯის მისი ინიციტივალაბა. დაადგენს მომავალი სპექ-ტაკლის „ზეამოხანას“, „გამჭოლ მოქმედებას“, როლების განაწილებასთან ერთად დაწერული მთლიანი მათი. შემდეგ რეჟისორი გაეცნობა პიესაში აღწერილ ეპოქას და მასთან დაკავშირებულ ყოველგვარ მასალას (ისტორია, ეთნოგრაფია, ლიტერატურა). თავის წარმოდგენაში იგი შექმნის სპექტაკლის სახიერებას. რეჟისორის მზადა აქვს სპექტაკლი, მას მხოლოდ ხორცმუსხმა აკლია. რეჟისორის მის უმეტესობა ასე ემზადება რეპეტიციებისთვის და მხო-ლოდ ამის შემდეგ ხდება როლების განაწილება და მსახი-ობებისთვის სათანადო ტექსტის დარიცხვა. ასეთ შემოქ-მედ ე. სტანისლავსკი სერიოზულადა ლიტერატურული წყობის რეჟისორებს უწოდებს.

კ. სტანისლავსკი მთორე ტაბის რეჟისორებსაც ასახე-

ლებს, რომლებიც თავიანთი გამოცდილებისა და უნარის წყალობით უცებ, ერთი ხელის მოხმით, მაგრამ ფორმალუ-რად ქნანა როლის მონახავს. არიან განსაკუთრებული არტისტიზმით დაჯილდოებული რეჟისორებიც, რომლებიც მსახიობს უწყებებენ თუ როგორ უნდა შეასრულოს როლი.

ყოველი ზემოდასახელებული შემთხვევა მაქსიმალურად ზრდის რეჟისორის ავტორიტეტსა და შემოქმედებას რო-ლის შექმნის პროცესში, მსახიობი კი ამ დროს თითქმის „თოხანას“ გვაეს, რომელიც რეჟისორმა უნდა ააბოძრა-ოს. ასეთ შემთხვევაში მსახიობს თავისი „მამოძრავებელი ძალის“ (რეჟისორის) გარეშე თითქმის არ ძალუს როლის შექმნა.

ასე თუ ისე, რეჟისორი შემზადებულია რეპეტიციების-თვის, რომ მსახიობი მხოლოდ ტექსტით ხელში (იშვიათ-სადა, ხოლო დასაკვირვებელი ემზადდებოდნენ რეპეტიციების დაწყებამდე) იწყებს მუშაობას.

კითხვები ეტაპი — „მაგიდასთან“. პიე-სის კითხვის შემდეგ რეჟისორი დასს აცნობს მომავალი სპექტაკლის საერთო მიმართებას, ნაწარმოების იდეას. ხდება პიესის ლიტერატურული და როლების ფსიქოლოგი-ური ანალიზი, მოქმედ პირთა ურთიერთობის გარკვევა, აგ-რთვე შეამოცანის, გამჭოლი მოქმედების, ყოველ ნაკვეთი მსახიობების ამოცანების დადგენა. რეჟისორი ამჟამაზებს ჩანაფიქრს, გასცემს დაგროვლ ცოდნას. მსახიობები მზა „რეკვებების“ სახით იღებენ ლიტერატურულ ცოდნას პი-ესისა და საკუთარი როლის შესახებ. პარალელურად ხდე-ბა ტექსტის ნაწარმოება, შესწავლა, ლოგიკის დადგენა. რე-ჟისორი ცდილობს ბოლომდე გასცეს დაგროვილი „მარა-გი“, რათა მსახიობები ცოდნით შეიარაღდნენ. რეჟისორის მითითებით მსახიობები პიესას გულდასმით დაყვირებ ნაკ-ვეთებად, განსაზღვრავენ მოცემულ პირობებს, ჩაინიშნავენ საკუთარ ამოცანას ყოველ ნაკვეთში. მსახიობები ცდილო-ბენ მიიზიან „ინტონაციას“, რომელიც მათ მესხიერებაში ჩაუვლდებათ და შემდეგ მათი გეგმიდან „ამოვლება“ რთულდება. (ზოგჯერ რეჟისორი „დემომატორს“ მოლა-პარაკდება აწარმოებს დასთან მსახიობების პირადული ინტერესების „შემოტყვის“ გამო).

II ეტაპი — „ძვიდევში“. ლიტერატურული ცოდნითა და ფსიქოლოგიური სიღრმით „შეიარაღებული“ მსახიობი იწყებს მოქმედებას სცენაში — ძვიდევში. იწყ-ება მიზანსაცნების ე. წ. „დალაგება“. ამ დროს როლის შინაგანი ლოგიკური პარტიტურა უნდა შეერწყას ფიზიკურ პარტიტურას. მაგრამ „გონებრივად“ მომზადებული და ცოდნით აღჭურვილი მსახიობი, გ. ტოუსტონოვოვის თქმით, „...გაეეს რატიტური ბავსუს... რასაც იწყებს როლის შესახებ ათასგვითი ინფორმაციით გადატვირთვა. ამავე დროს მსა-ხიობი უსუსურია მთავარში — როლის ფიზიკურ რეალიზა-ციამში“.

ძვიდევში, ისევე როგორც მაგიდასთან, ხდება პიესის ცალკეული ნაკვეთების რეპეტიციები, შემდეგ პირველი მოქ-მედების მთლიანი რეპეტიცია. მერე II მოქმედების ნაკვე-თების ცალკეული რეპეტიციები, შემდეგ I და II მოქმე-დების რეპეტიციები ერთად, შემდეგ III, IV... მოქმედება-თა ნაკვეთების ცალკეული რეპეტიციები... და ბოლოს — მათი „აქინძია“ გამჭოლი მოქმედებით.

III ეტაპი — „სცენაზე“. ეს ყველაზე რთული პერი-ოდა, ვინაიდან მაგიდასთან მოქმედებითი ემოცია, აზრი სცენაზე გადასვლამდე გაცემის ასწორებს. უკვე აღარ არის დრო დასაშუალება, რომ შემოქმედებითი კოლექტივი კვლავ დაუბრუნდეს ფსიქოლოგიურ ანალიზს. ამ დროს ძალზე ხშირად იკარგება მოქმედებითი ემოციისა და დადევ-ნილი აზრის 75 პროცენტი. სცენაზე კვლავ დანაწევრებით

ხდება რეპეტიციები, ჯერ I მოქმედების I, II და ა. შ. სურათები, შემდეგ ემატება II მოქმედება და ა. შ. მსახიობი ირგებს გრძიმს, კოსტიუმს, ეგზერა საყურე დაანდვარს. მან უნდა აითვისოს რეკვიზიტი... რეჟისორი ამ დროს დაკავებულია სპექტაკლის „ორგანიზაციით“. უკვე აღარ არის ძალიერ ხელახალი ძიებისათვის. მით უფრო, თუ ეს უკვე 99-ე და 111-ე რეპეტიციანა, თუ ადმინისტრაციას უკვე დანიშნული არაა პრემიერის დღე და მისი გადადება აღარ შეიძლება. ზოგჯერ ერთ, ან ორ მთლიან რეპეტიციას („პრაგონს“) ძლივს ასრულებენ... და ასე იბადება სპექტაკლი.

თეატრების საზოგადოება ასეთი გზით მუშაობს და აღწევს კიდევ უსაზრველ შედეგს, მაგრამ ამ დროს შემოქმედებითი პროცესი სტიქიურ ხასიათს ატარებს.

ასეთი სარეპეტიციო პროცესი მაინც უსაფრთხოა და ძველთან შედარებით პროგრესულია, რადგან: შემოქმედებითი კოლექტივის ცნობიერი დამოკიდებულება თავისი ხელოვნებისადმი მნიშვნელოვნად ამაღლებს მათი ნაშუაყურის ხარისხს;

სპექტაკლის მუშაება კოლექტიური ხასიათისაა, თავიდანვე ვლინდება თეატრალური ხელოვნების სპეციფიკა, რაც განაპირობებს ანსამბლური სპექტაკლის შექმნას; შემოქმედებითი კოლექტივის გააჩნია ერთიანი მიზანი-ზეამოცანა; შედეგისკენ მისწრაფების გზა ერთიერია; შემოქმედებითი პროცესი ხელმძღვანელობს რეჟისორი და იგი ძალზე მომზადებული იწყებს რეპეტიციებს, რაც ნაწილობრივ მაინც განაპირობებს შედეგის ხარისხს.

მაგრამ ასეთ პრაქტიკას აქვს ძალზე სერიოზული ნაკლი:

მსახიობს არა აქვს თავისუფლება როლზე მუშაობის დროს, მაგიდადთან უმოქმედია მსახიობის უმნიშვნელოვანესი შემოქმედებითი აპარატი — სხეული; ურთიერთქმედება სიმძაფრეს კარგავს და სიტყვიერ მოქმედებას სიღრმე აკლდება სხეულის უმოქმედობის გამო;

მსახიობი უფრო მეტს მსჯალობს როლის შესახებ, ვიდრე მოქმედებს საკუთარი გმირის სახელით;

აქტიური სხეულის ჩანაფიქრის, აზრების, იდეების ხორც-შესხმას ისე აქლენს, რომ ზნირად ისინი შესისხლხორცებულიც კი არა აქვს.

სამივე ეტაპზე ხდება ცალკეული სცენების დამუშავება, მსახიობს გვიან ეძლევა საშუალება მილიანობაში წარმოიდგინოს როლი.

თეატრალური ხელოვნების შემდგომი განვითარების საფუძვლად სპექტაკლის მუშადება „ქმედითი ანალიზის მეთოდის“ გამოყენებით.

ეს მეთოდი ისეთ სარეპეტიციო პროცესს გულისხმობს, როდესაც ყოველმხრივი მიზნადების მიუხედავად რეჟისორი თავის ჩანაფიქრს მხოლოდ მაშინ გაუზიარებს კოლექტივს, როდესაც თითოეული მსახიობს უკვე გააჩნია როლის საკუთარი ხედვა. ამით რეჟისორის შემოქმედება „დემოკრატიული“ ხდება და არა „დესპოტიური“, რაც სახის შექმნის პროცესში მსახიობს დამოუკიდებლობას უნარჩუნებს.

როლზე მუშაობის პირველსავე ეტაპზე მსახიობის მიერ შემოქმედებითი აპარატი (გონება, გრძნობა, სხეული) პარალელურად არის ჩამოხორციელებული საქმიანობაში. ფსიქოფიზიკური ანალიზი რეპეტიციების პირველსავე ეტაპზე მსახიობის საქმიანობას და სიტყვიერ მოქმედებებს მეტ სიმძაფრეს, სიღრმეს, ბუნებრიობასა და სახიერებას შესძენს.

პავლოვის მეცნიერული აღმოჩენა (ადამიანის ფსიქიური და ფიზიკური შეგრძნებების ერთიანობა) თავიდანვე გათვალისწინებულია ასეთ სარეპეტიციო პრაქტიკაში,

რაც უფრო მეტად უწყობს ხელს სპექტაკლის, როლის მუშაების ორგანულ პროცესს.

ქ. სტანისლავსკი სწორედ ამ მეცნიერულ აღმოჩენას ეყრდნობოდა, როდესაც მიუთითებდა: „ის პროცესი, რომელზედაც მე ვუპასურობ, ერთდროულად სრულდება ჩვენი ბუნების, მთელი გონებრივი, ემოციური, სულიერი და ფიზიკური ძალებით. ეს არის რეალური მიზნის შესრულებისათვის პრაქტიკული და არა თეორიული ძიებები, რომლებსაც სცენაზე უნდა მივაღწიოთ ფიზიკური მოქმედებით.“

უასლოესი ფიზიკური მოქმედების შესრულების დროს ჩვენ ვერ წარმოვიდგინებთ და არც ვეფიქრობთ იმ ანალიზის რთულ პროცესზე, რომელიც ჩვენში მიმდინარეობს ბუნებრივად და შეუმჩნეველად. ამრიგად... ჩემი მიგნების ახალი თვისება, ადამიანის ხეულის ცხოვრების შექმნა, გამოიხატება იმაში, რომ ყველაზე უბრალო ფიზიკური მოქმედება, სცენაზე რეალურად წარმოდგენის დროს აიძულებს მსახიობს თავისი საკუთარი შეგრძნებებისა, წარმოსახვის ათავსებრი ჩანაფიქრის, შექმნას მოცემული პირობით „თუ რომს“.

ამიტომაც ვერ კიდევ „ოტელოს“ სარეჟისორო გეგმის შექმნის დროს ქ. სტანისლავსკი სამხატვრო თეატრის მსახიობებს ურჩევდა: „ფიზიკური მოქმედებით, რომელიც ფიქსირდება ასე კარგად შეიძლება და ამიტომაც ხელსაყრელია შექმნისათვის, მსახიობის ნებისყოფის გარდა, თავის თავში უკვე შეიძლება მოცემულ პირობასა და მაგიბურ „თუ რომს“. ისინი წარმოდგენენ ფიზიკური მოქმედებების ქვეშეშესტან. ამიტომაც, ფიზიკური მოქმედებათა გზით სიარულის დროს მსახიობი უნებურად იმავე მომენტში მიდის მოცემული პირობების მიხედვით.“

დაე, რეპეტიციებზე მსახიობმა არ დაივიწყოს, განამტკიცოს და მოახდინოს სწორედ ამ მონახაზის — ფიზიკური მოქმედების ფიქსირება. მხოლოდ ამ დროს შეუძლია მსახიობის დაუფლოდის როლის ტექნიკას“.

სარეპეტიციო პროცესის ასეთი ცვლა ბევრმა საკითხმა განაპირობა, ხოლო მათ შორის უმთავრესია მსახიობის პასიურობის ზრდა და ადამიანის ბუნების ფსიქოფიზიკური ერთიანობის დარღვევა.

მ. კნეპელი აღნიშნავდა, რომ: „სარეპეტიციო პრაქტიკის შეცვლის წინაპირობა იყო მსახიობის პასიურობა, რომელთანაც შემბრდება გადაწყვეტა სტანისლავსკის მიერ.“

მეორე, არანაკლებ მნიშვნელობისა იყო ის აზრი, რომ წინანდელი სარეპეტიციო წესი ამტკიცებს ხელოვნურსა და ცხოვრების საპირისპირო განხეთქილების არსებობას...

სცენაზე მნიშვნელოვანია სიმართლით უწყობა, თუ როგორ მოქმედებს პირობის პრესონაჟი. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ადამიანის ფსიქიური და ფიზიკური შეგრძნებების შერწყმით.“ (ხაზი ჩეხია — ნ. ა.).

სწორედ ადამიანის ცხოვრების ფიზიკური და ფსიქიური ერთიანობა თავიდანვე გათვალისწინებულია ახალ სარეპეტიციო პროცესში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მსახიობი თავიდანვე თავისუფალია გარეშე ძალის (რეჟისორის) შემოქმედებისაგან და იძულებულია მხოლოდ თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობებით — გონებით, სხეულით, გრძნობით — შეცვალოს როლის გარეგნულ სახიერებას; გრძნობათა სიწრფელებს, მის მსწრაფეობებს და მოქმედ პირობის ხასიათს. შექმნას ცოცხალი ადამიანი, ცოცხალი ადამიანური ენებები, ცხოველი აზრი, დაუზოგავად იმრძილოს თავისი გმირის ზეამოცანის მისაღწევად.

ასეთი სარეპეტიციო პროცესი პირობითად ორი ნაწილისაგან შედგება. I — „გონებრივი დაზვერვა“ და II — „სხეულებრივი დაზვერვა“ ან „მოქმედებითი დაზვერვა“.

„კონებრივი დასვერვა“ ნიშნავს, რომ მოცემულია პიესა, როლი — სიტყვებისა და რემარკების სახით. სიტყვათა მიღმა უნდა ამოვიკითხოთ მოცემული პირობები, აღმოვაჩინოთ კონფლიქტების წყება, დავადგინოთ საქციელი და ამოვხსნათ ფსიქოლოგია.

„სხელაბრივი დასვერვა“ ან „დასვერვა მოქმედებით“ — ამ შემთხვევაში ვადაგენთ ზუსტ ფიზიკურ მოქმედებებს, ვერგებთ მოცემულ პირობებს და ბუნებრივად ინაღდება სიტყვაც.

აზრი, რომელიც დაიბადა „კონებრივი დასვერვის“ დროს, იმავე წუთს უნდა შემოქმედდეს მოქმედებით. საქციელთა ლოგიკა და თანამიმდევრობა აუცილებლად დაადგინებენ აზრს, მოცემული პირობების, კონფლიქტისა და სხვ. ბუნებრიობას. და თუ აღმოჩნდა, რომ „კონებრივი დასვერვის“ დროს დაშვებულია შეცდომა, ან არ მოხდა პიესის მრავალმხრივი და ღრმა ანალიზი, საქციელთა ლოგიკაც დაირღვევა.

ამიტომაც „კონებრივი დასვერვის“ შედეგად მიკვლეული აზრი, ფსიქოლოგია, საქციელი მსახიობმა მაშინვე უნდა გადატანოს მოქმედებაში. შემდეგ კვლავ დაბრუნდებიან „კონებრივი დასვერვას“, კვლავ შეამოწმოს ისინი „სხელაბრივი დასვერვით“ და ა. შ.

ეს პროცესი მანამ გრძელდება, სანამ როლის სახიერება შეტყვევდეს ფორმას არ მიიღებს, სანამ არ დაიბადება გრძნობათა სიწრფელი, არ მოხდება გარდასახვა. ამ დროს, როგორც წინათ, უპირველეს ყოვლისა ნათლად უნდა გამოიკვეთოს სპექტაკლის, როლის ზეამოცანა. შემოქმედებითმა კოლექტივმა თავისი მოქალაქეობრივი პოზიციიდან გამომდინარე უნდა გადაწყვიტოს — რისთვის ვლავთ, რისთვის ვიამაშობ დღეს სწორედ ამ პიესას, ამ როლს. მხოლოდ შემდეგ მოხდება ფსიქოფიზიკური ანალიზი და დადგინდება — როგორ ვვება ამ სპექტაკლს, როგორ ვიამაშობ როლს. გ. ი. როგორ, რა საშუალებებით, რა მტკიცეული გამომსახველობითი ხერხით ვიზრძევი, ვალწევ სწორედ ამ ზეამოცანას.

ამრიგად, თეატრის მოქალაქეობრივი პოზიცია არის ყოველი სპექტაკლის ზეამოცანის განმსაზღვრელი, ხოლო ზეამოცანა, გამჭოლი მოქმედება კი ბრძოლის ხერხის (ფიზიკური მოქმედების) სასოხით ერთეული.

„კონებრივი ანალიზის“ დროს ხდება სპექტაკლის, როლის, მთლიანი გადაწყვეტიდან გამომდინარე ცალკეული მოვლენების ამოხსნა, გ. ი. სვლა ზოგადიდან კერძოსაკენ. რეჟისორი დასთან ერთად ეძიებს ამ ზოგადს და მისი დადგენის შემდეგ მსახიობები პირდაპირ გადადიან მოქმედების სახელაბრივობაში.

მსახიობები ვერ თავისი ბუნებიდან იწყებენ მოქმედებას და თანდათან, ხელოვნების კანონების გათვალისწინებით, აგებენ სწორედ ამ პიესისათვის, ამ გმირისათვის და მასხასათებულ საქციელსა და სიტყვიერ მოქმედებებს. მსახიობები თვითონ ადგენენ როლის „აპტიტურას“, ფიზიკურ მოქმედებათა „სქემას“, რომელსაც პარტიზნოვითან ერთად რეჟისორის რჩევით სცვლიან (თუ ამას საჭიროება მოითხოვს).

მეთოდის გამოყენების დროს, მართლაც, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ანალიზი თანახმიურია, მაგრამ საბუბრიკო პროცესის დასაწყისში „კონებრივი დასვერვას“ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ამ დროს ხდება ტექსტიდან ფაქტების შერჩევა, გამოყოფა, ხდება „ფაქტის შეფასება“. ამ პროცესშიც სასოხით ერთეული კვლავ ზეამოცანაა. სწორედ სპექტაკლის იდეა განაპნობს პიესიდან ამ ფაქტის შერჩევას, გამჭოლი მოქმედება კი — ამ ფაქტის სწორედ ანგვარ შეფასებას, რაც კიდევ უფრო ღრმად ავლენს მოქმედ პიესა აზროვნებისა და ბრძოლის პროცესის

სახიერებას. „ფაქტების შეფასებათა“ წყვილიდან კი გამოიკვეთება როლის ინდივიდუალური ინტერპრეტაცია.

„ფაქტის შეფასებას“ ვადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კლასიკური ანაწარმოების დადგმის დროს, როდესაც არსებობს ზღვა მასალა და ჭოროვი ტრადიცი ამა თუ იმ როლის ინტერპრეტაციისათვის. როგორც აღნიშნავს მ. კენებელი: „ეგრე მაგალითზე შექმარისა თუ გორაკზე მუშაობის დროს... მივსდები, რომ ეს მეთოდი საოცრად ანთავისუფლებს მსახიობის იმპროვიზაციულ ბუნებას, ემპირება მსახიობის ინდივიდუალურობის გახსნას, ქრესტომატიული ლიტერატურული ანაწარმოებიდან შესასინნავად წყნად დროის მტკიცეს“.

მოვლენათა რიგის შექმნა, საქციელთა ლოგიკისა და თანამიმდევრობის დადგენა, თავის მხრივ, ხსნის და ავლენს მოქმედ პიესა ფიზიკურ და სიტყვიერ მოქმედებათა მოტივობას. მინაგანი ბრძოლის პროცესების გათვალისწინებით კვლავ გამოვლინდება, რაც ამოიკითხება „ფაქტების შეფასებათა“ წყებაში.

პირველად სარეპეტიციო პროცესის ძირითადი ამოცანაა, რომ დადგინდეს ძირითადი მოვლენები, ამოიხსნას „რაში გამობნება კმედეგად და კონტრპედეგად“.

როგორც ცნობილია, კონფლიქტი სცენის ხელოვნების მამოძრავებელი ძალა იხვევ. როგორც საწვავი მასალა ეთიომფრანგებისა და რაკეტებისათვის. ამიტომაც უპირველესად უნდა ამოიხსნას „რატომ, რა მიზეზით, რისთვის“ წარმართვა გმირმა ესა თუ ის სიტყვა და რამ გამოიწვია მისი საქციელი — ამით კი თვალნათლივ გამოიკვეთება როგორც ძირითადი კონფლიქტი, ასევე კონფლიქტთა წყება.

ფსიქოფიზიკური ანალიზი ამჟებებს გარდასახვის პროცესს და ამ პროცესში რეჟისორის ჩარევა იდეალური მანერების რჩევას წარმოადგენს.

ქ. სტანილაუსკის სწავლა, რომ ფსიქოფიზიკურ ანალიზს დაუფლებდეს მსახიობებთან ერთად შექმდეს ორ კვირის მანერად ურთულებს პიესაც.

ახალი სარეპეტიციო პრაქტიკა აერთიანებს იმ დადებით თვისებებს, რაც წინადად რეპეტიციებს გააჩნიათ.

ამრიგად, ძველი თეატრიდან შეზარუნებულია: მსახიობი თვითონ არის როლის რეჟისორი, რაც მას დამოუკიდებლობას ანიჭებს შემოქმედებით პროცესში; ტექსტის ჩასწორების შემდეგ მსახიობები პირდაპირ გადადიან სცენაზე (ან სცენის მანერად სარეპეტიციო დარბაზში) და იწყებენ მოქმედებას.

როლის „სქემის“ შექმნის დროს თავიდან ბოლომდე გადიან მთელი პიესის რეპეტიციას (ყოველ შემთხვევაში ძირითადი მოვლენების რეპეტიციას).

მსახიობის შემოქმედებითი აპარატის ერთობლივი მუშაობა მაქსიმალურად ავლენს თეატრის სამეტყველო ენას — ქმედებას.

თავის მხრივ, რეჟისორი განთავისუფლებულია ყოველი როლის ურთულესი ხვედლების მიხედვით და მთელ თავის ენერჯიას, დროს ანდომებს სპექტაკლის ორგანიზაციას.

წინანდელი სარეპეტიციო წყვილიდან გამოყენებულ იქნა: ცნობილი და მამოკიდებულება შემოქმედებითი პროცესისადმი.

სპექტაკლის მშადების კოლექტიური ხასიათი, რაც მაქსიმალურად ავლენს ურთიერთქმედების სიმამფრეს.

სპექტაკლის საერთო ზეამოცანისა და გამჭოლი მოქმედების არსებობა ყოველი შემსრულებლისათვის, ამის მიხედვით კი საკუთარი როლის ზეამოცანისა და გამჭოლი მოქმედების ძიება და დადგენა.

რეჟისორის როლის გამოკვეთა ზეამოცანისა და გამჭოლი მოქმედების შერჩევა-აღმოჩენაში.

„ქმედითი ანალიზის მეთოდით“ წარმოებული რეპეტიციების დროს პიესის შემოცანისა და ძირითადი კონფლიქტის განსაზღვრის შემდეგ ხდება მოვლენათა რიგის ამქმნა. მსახიობები სინქროულად და ურთიერთგაკვირში ახდენენ გონებრივსა და სხეულმხრივ დაზვერვას, რაც მათ მაქსიმალურად ააქტიურებს სახის შექმნის პროცესში.

„ქმედითი ანალიზის მეთოდი“ დღისათვის ყველაზე პროგრესულია, რადგანაც მაქსიმალური სისუსტითა და ხატოვანებით ამქლავებს თანამედროვე თეატრალური ხელოვნების თვისებებს — განსაკუთრებით კი შემოქმედებითი კოლექტივის მოქალაქეობრივ, პარტიულ პოზიციას; ქმნის თანამართლად ანსამბლურ, პროფესიულ ხელოვნებას; როლზე აქტიურობისა და რეჟისორის მუშაობა სინქრონულ ხასიათს ატარებს და მაქსიმალურად ამცირებს სარეპეტიციო პროცესის ხანგრძლივობას.

პირიკად, განვითარების კანონების თანახმად, ახალი სარეპეტიციო პრაქტიკა თვისობრივად შეიცვალა და უფრო

მაღალ ხარისხში წყვეტს თეატრალური ხელოვნების ურთულეს საკითხს — აქტიურობის და რეჟისორის შემოქმედებით თანაბრებისას.

შენიშვნები:

- <sup>1</sup> Вл. Немирович-Данченко, Из прошлого, «Аkademia», М., 1936, стр. 99-100.
- <sup>2</sup> Г. Товстоногов, О профессии режиссера, ВТО, М., 1967, стр. 260.
- <sup>3</sup> К. С. Станиславский, Собрание сочинений, «Искусство», М., 1967, т. IV, стр. 340.
- <sup>4</sup> К. С. Станиславский, Режиссерский план «Отелло», «Искусство», М.-Л., 1945, стр. 231.
- <sup>5</sup> М. Кнебель, О действенном анализе пьесы и роли, «Искусство», М., 1961, стр. 10.
- <sup>6</sup> М. Кнебель, Вся жизнь, ВТО, М., 1967, стр. 485.

ჩვენს ქვეყანაში ფართოდაა დაწერული მუსიკის სწავლება. შენდება ახალი სასკოლო მენობები, იქმნება ახალი მუსიკალური კერები. ორმოცდაათიოდე წლის წინ საქართველოში ერთადერთი სამუსიკო სასწავლებელი არსებობდა. ამჟამად კი მარტო თბილისში 19 მუსიკალური სკოლა (ამას ემატება უამრავი მუსიკალური ჯგუფი), რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში კი მათი რიცხვი ერთობ გაიზარდა. რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოები ზრუნვასა და ყურადღებას არ აკლებენ ნორჩების მუსიკალურ განათლებას.

7-წლიანი მუსიკალური სკოლის პედაგოგები მოწოდებული არიან აღზარდონ საშუალო მუსიკალური განათლების მქონე ახალგაზრდები, რომელთაც წარმოდგენა ექნებათ მუსიკალური ხელოვნების ვლემენტარულ ჩვევებზე, გამოუმუშავდნათ მათ მუსიკის მოსმენა-გაგების უნარი.

ბავშვებში მუსიკისადმი სიყვარულის გაღვივება ბევრად არის დამოკიდებული პედაგოგიურ აზროვნებაზე, იმაზე, თუ როგორ შეიყვანა ახალგაზრდას ბგერათა დაუსრულებელი და მშვენიერ სამყაროში. გარდა აკადემიური ცოდნისა, აუცილებელია ის სითბო და გულისხმიერება, რომელიც პედაგოგთა მოღვაწეობის თანამგზავრია. ამ მოთხოვნებიებს საკმარისი პასუხობს თბილისის მე-9 მუსიკალური სკოლის მთელი კოლექტივი, რის გამოც ეს

# მუსიკალური სკოლის იუბილე

მედია ლაფაური

სკოლა რესპუბლიკის ერთ-ერთ წამყვან მუსიკალურ კერად ითვლება.

ამ ბოლო დროს მუსიკალური სკოლის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა: სკოლამ ოცნება არსებობის 50-ე წლისთავი; ეს ზემო იმი იმანაც გაახალისა, რომ აიგო ახალი შენობა, ახლანან კი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით თბილისის მე-9 მუსიკალურ სკოლას მიენიჭა დიდი ქართველი დირიჟორის ვეგენი მიქელაძის სახელი.

ამჟამად სკოლაში ყოფილგვარი პირობაა შექმნილი მოსწავლეთა სრულყოფილი ესთეტიკური აღზრდისათვის; სკოლას აქვს ნათელი, კომფორტაბელური საკლასო ოთახები, საკონცერტო დარბაზი, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი ფორტიანის კაბინეტი. მოსწავლეები საუკეთესო ძაღების შესრულებით ეცნობიან პროგრამით გათვალისწინებულ მუსიკალურ ლიტერატურას.

თბილისის ვეგენი მიქელაძის სახელობის მუსიკალური სკოლის კოლექტივი მგვრობობის, აზრთა გაცვლა-გამოცვლის, ცოდნისა და გამოცდილების განაირების, შრომის მაღალი დისციპლინის ატმოსფეროში მოღვაწეობს.

ორ ათეულ წელზე მეტია, რაც ამ სკოლას მზრუნველად უძღვება რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი ილია ხარაბაძე. იგი თავს უყურის ახალგაზრდა პედაგოგთა მზარდ კადრებს, ზრუნავს სასწავლო განყოფილებების გაფართოე-



ევგენი მიქელაძის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საბჭოთალო საღამო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში.

ბაზე, სკოლას ამარაგებს ინვესტირით, ინსტრუმენტებით, საბიბლიოთეკო ლიტერატურით, ფირებითა და გრამფირფიტებით. საკონცერტო დარბაზში სისტემატურად ტარდება დახურული და ღია აკადემიური კონცერტები, რაც სკოლის მუშაობის სარგებია.

სკოლაში ჩამოყალიბებულია პედაგოგთა კამერული და მოსწავლეთა სიმებიანი ორკესტრები, აგრეთვე მოსწავლეთა სიმებიანი ტრიო და კვარტეტი.

მიმდინარე სასწავლო წელს ამ სკოლაში პირველად ჩამოყალიბდა მოსწავლეთა სასულე ორკესტრი, რომელშიც, გარდა საორკესტრო განყოფილებების მოსწავლეებისა, გაერთიანებული არიან საფორტეპიანო განყოფილების მოსწავლე ვაჟები. სკოლაში ნაყოფიერად მოღვაწეობს მომღერალთა გაერთიანებული გუნდი და სხვა.

მიმდინარე წლის რესპუბლიკურ დაფილარებზე სკოლა ერთ-ერთ პირველ ადგილზე გავიდა ისევე, როგორც ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საკონკერტო ღონისძიების დროს. სკოლის ბევრი მოსწავლე და პედაგოგი დაჯილდოებულია საქართველოს სსრ

კულტურის სამინისტროს ქების სიგელებითა და დიპლომებით.

აღსანიშნავია, რომ გახსულ წელს მე-9 მუსიკალური სკოლის კურსდამთავრებულია უმრავლესობამ სწავლა განაგრძო მუსიკალურ სასწავლებლებში და თავი ისახელა ბეჯითობით. ამის გამო დირექტორმა ი. ხარაბაძემ და პედაგოგექცემა მაღლობმა დაიმსახურეს III მუსიკალური სასწავლებლის დირექციის, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციებისაგან. კურსდამთავრებული კავშირის არ წყვეტენ მშობლიურ სკოლასთან და აქ ხშირად მრთავენ კონცერტებს. ეს კი ერთგვარი ანგარიშგებაა აღმზრდელი პედაგოგების წინაშე. მე-9 მუსიკალურ სკოლას მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს მოძვე რესპუბლიკების სკოლებთან. საბჭოთა კავშირის 50 წლისთავთან დაკავშირებით სკოლის პედაგოგექცევი მეგობრული ვიზიტით ეწვია კიროვბაღის I მუსიკალურ სკოლას. დეკემბრის ბოლოს კი ევგენი მიქელაძის სახელობის მუსიკალური სკოლის წარმომადგენლები მიიწვიეს მოსკოვისა და რიგის მუსიკალურმა სკოლებმა მეგობრობის კონცერტში მინაწილეობის მისაღებად.

ამას წინათ თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე საკონცერტო დარბაზში, მუსიკალური სკოლის დირექციის თაოსნობით, გაიმართა შესანიშნავი საღამო-კონცერტი, მიძღვნილი ენობილო ქართული დირიჟორის ევგენი მიქელაძის დაბადების 70 წლისთავისადმი. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა სკოლის დირექტორმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა პედაგოგმა ილია ხარაბაძემ. დირიჟორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ვრცელად ილაპარაკა მუსიკისმცოდნე ანტონ წულუკიძემ. საღამოზე მოწვეული იყვნენ ვ. მიქელაძის ახლობლები და მეგობრები, რომლებიც საინტერესო მოკონცერტით გამოვიდნენ. მათ შორის იყვნენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, კომპოზიტორი ანდრია ბალანჩივაძე, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი, III მუსიკალური სასწავლებლის დირექტორი ქსენია ჯიქია, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, კონსერვატორიის პროფესორის მოვალეობის შემსრულებელი შოთა შანიძე და სხვები. თავისი სიტყვის დასასრულს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, ცნობილმა დირიჟორმა ოდესის დიმიტრიადიმ აღნიშნა: „ევგენი ენაზე რა დიდი კრძალვით ხიზინენ თავს ადამიანები მოცარტის სიმბოლოთა საფლავის წინაშე, რადგან მისი ნამდვილი საფლავი დაკარგულია, მუსრს მთაწმინდაზე თავი მოვიხარო გენიალური დირიჟორის ევგენი მიქელაძის სიმბოლური საფლავის წინაშე“.

საღამოს დასასრულს მიქელაძის სახელობის მუსიკალური სკოლის მოსწავლეთა მინაწილეობით გაიმართა სასუბი კონცერტი.

კონცერტის შემდეგ ჩვენთან საუბარში ი. ხარაბაძემ განაცხადა, რომ სკოლას, გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით, განზრახული აქვს მოსკოვის, ლენინგრადის, ესტონეთის, ლიტვის, კიევის, ბაქოსა და ერევნის მუსიკალური სკოლების წარმომადგენელთა მოწვევა.

ევგენი მიქელაძის სახელობის თბილისის მე-9 მუსიკალური სკოლის დირექციას, მის პედაგოგურ კოლექტივს ბევრი საინტერესო ღონისძიება აქვს დასახული, მათი ხორცმსხა კიდევ უფრო ამაღლებს ნორე მუსიკოსების აღზრდის ეთილშობილურ საქმეს.



თალია, ამბავს მაყურებელი მაშინვე ხედავს და, სრული ილუზიაა იმისა, რომ ინფორმაციას, ან ფაქტს მას არავინ უყვება, ის თვითონვე მომხდარი ფაქტის მოწმე და ტელევიზიას აღიქვამს, როგორც მომხდარი ფაქტის ტრანსპორტირებას, მაგრამ ეს ერთი შეხედვით, აქ მთავარი ის არის, რომ მაყურებელი ფაქტს კადრის საშუალებით იღებს და ამბავს სინამდვილეში ხედავს არა ისე, როგორც მას უნდა, არამედ როგორც აჩვენებენ. ტელეეკრანისტიკა „კადრურაა“ (იქნება ურიგო არ იყოს ამ ტერმინის დამკვიდრება!) და მისი ოსტატობაც სწორედ ის არის, რომ მაყურებელი მოვლენას ისე ხედავდეს, როგორც გადაცემის ავტორს უნდა!

ამ დროს გადაცემის ავტორს, ერთი შეხედვით, კორექტივი არ შეაქვს მომხდარ ფაქტში, იგი აზროვნებს ხედვით. სიტყვა, ანუ ტელეეკრანისტიკის ბგერითი კომენტირება ჯერ კიდევ გამოუყენებელ მარაგშია (ამჟრად წმინდა ხედვით აზროვნებაზე გვაქვს საუბარი, რადგან სიტყვისა და გამოსახულების ურთიერთობა ცალკე საუბარის თემაა).

როდესაც ერთ-ერთი კოსმონავტი მთავრობას პატაკს აბარებდა სამხედრო ყაიდაზე, ხელი ქუდთან ჰქონდა მიტანილი, ოპერატორმა „მსხვილი ხელით“ აიღო ხელი და გამოწნა, რომ... კოსმონავტს ხელი უკანკალებდა ამ მამაც, უშიშარ კაცს, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ კაბინიდან კოსმოსში ისე გავიდა, თითქოს არაფერიო, ხელი უკანკალებდა! შერე იქვე ჩანდა ვიღაც მიხუცი ქალი, ეს კადრი კოსმონავტის დედად იკითხებოდა, იქვე მდგარი ბავშვი და ქალი, მისი ცოლ-შვილი უნდა იყოს... თუმცა არავის არაფერი უთქვამს ამის შესახებ!

„კადრურა“ მოგვითხრობდა, რომ გმირიც ჩვეულებრივი ადამიანია, შვილია, მამაა, ამ „ხელის კადრმა“ უამრავი სწორი, სასარგებლო ემოცია გამოიწვია.

ყველაფერი ეს მოვიყვავა ის ტელეეკრანისტიკა, რომელიც იმ წუთში პულტთან იჯდა და აჩვენებდა, ანუ აზროვნებდა. სხვას, მის ადგილზე, შეიძლო მხოლოდ მხედრულად გატყეული ბრგე ახალგაზრდა შეენიშნა, რომლის შესახებდნარა მოვიდა უამრავი ხალხი და მთავრობა!

ასე, რომ ტელევიზიაში „ხედვითი რიგი“, როგორც „აზროვნების საშუალება“, მეტად რთულია და საინტერესო. ტელევიზიის რაობაზე კიდევ დიდხანს იქნება დაკა, რადგან ამ ახალშობილ გიგანტს ყმაწვილკაცობის ასაკისთვისაც არ მიუღწევია. ტელევიზიაში ჯერ არ მოსულა ის თაობა, რომელსაც უტელევიზიოდ, ისევე არ უცხოვრია, როგორც ჩვენ — უელექტრონოდ!

50 წლის წინათ მოსკოვში სულ 6 რეპროდუქტორი იყო!

ახლა მილიონობით ტელეეკრანია ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ეს კიდევ არ არის ტელეეკრანის ნამდვილი ამოფრქვევა; ეს უცხო არ არის იმისთვის, ვინც იცის, რა პერსპექტივები აქვს ტელევიზიას, როგორ შეცვლის იგი ყოფას, რა გავლენას მოახდენს ჩვენს ურთიერთობაზე; ტელევიზიამ ბინის არქიტექტურაც კი უნდა შეცვალოს. ვინ იცის, იქნება, სულ მალე ბინასამშენებლო კომბინატებიდან მშენებლობაზე მოვიდეს მზა კედლები, რომლებშიც უკვე ჩამონტაჟებული იქნება ტელევიზორი! იქნებ მალე ყველა თათბირი იყოს ტელეეკრანი ისე, როგორც ახლა ელექტრონათურა გვაქვს!

რამდენი ტელევიზორი სჭირდება ერთ ოჯახს? რამდენი პროგრამაა მაქსიმუმი? როგორ და როგორ გადაწყდება გლობალური ტელევიზიის პრობლემა?

როგორ უნდა გადაწყდეს ინფორმაციისა და დასვენების საკითხი?

# სანახაობისა

## და

# მაყურებლის

# ურთიერთობა

# ტელევიზიაში

რეზო დვალისვილი

მიმპარმე კაცის ასვლას ორი საოცრება ახლავს: ერთი ის, რომ ავიდა, მეორე ის, რომ დაეინახეთ! ჩვენს ოთახში, პატარა ეკრანზე ჩვენზე თვალით ვნახეთ, როგორ დადგა ადამიანი მთვარეზე.

...ლონოვი კაბინიდან კოსმოსში გავიდა! ჩვენ ამას ვხედავთ და ეს ახლა ხდება, ამ წუთში! ადამიანის ხედვის არე უსასრულოდ გაფართოვდა: მიომხდარ ამბავს მაშინვე ვხედავთ...

ტელევიზიაში „ხედვითი რიგი“, ანუ კადრთა თანამიმდევრობა, აზროვნების დამოუკიდებელი საშუალებაა. მარ-



რა არის აქტიური და პასიური დასვენება?

ამ საკითხებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სანა-ხაობა ტელევიზიაში. კერძოდ, ხელოვნებისა და მაყურებ-ლის ურთიერთობა.

შორს არ არის ის დღე, როცა კინოფილმი ისე გაიყი-დებოდა მაღალში, როგორც ახლა — წიგნები და ფიორი-ტები. და ოჯახებში გვექნება კინოს ისეთივე ბიზნოსივით, როგორც ამჟამად წიგნისა გაგვანია. ავიღებ ნებისმიერ ფილმს. მოვარებთ ჩვენ ტელევიზორს და ვნახავთ ისე და იმდენჯერ, როგორც ახლა ვაყის ან გალავტიონის წიგნებს ჩამოვრდებთ ხოლმე თარიღად და გადავფურცლავთ.

ტელევიზიისა და ტელესპექტაკლის პირობება მსოფ-ლიოს ტელეხედვის ერთ-ერთი პირველ რიგში გადასატრე-ლი პირობებია. მის საჭიროებასა და მოთხოვნებზე უკანადაც უნდა ვფიქრობდეთ.

როცა ინგლისში „ფორსაიტების საცაჲ“ ჩვენება დაი-წყო, ფილმის ტელეეკრანზე გაშვების დრო წირვას და-ემთხვა. მიუხედავად ამისა, ტელევიზიანია არ შესცვა-ლა ჩვენების დრო... სამაგიეროდ, კულესიამ გადაიტანა წირვა!

სანამ უკუვალდ ტელევიზიაში სანახაობის და, კერძოდ, ტელესპექტაკლის ზოგიერთ თავისებურებაზე ვაზრობდით, აუცილებელია მაყურებლისა და სანახაობის, საერ-ოდ, სანახაობისა და ტელესანახაობის მაყურებელზე შევ-ჩერდეთ, რადგან ისინი არა მარტო განსხვავდებიან ერთ-მანეთისაგან, არამედ ხშირად რადიკალურად საწინააღმ-დეგო პოლუსებზეც კი დგანან.

უპირველესად უნდა დავასაბუთოთ, რომ ტელემაყურე-ბელი არ არის ჩვეულებრივი მაყურებელი!

მაყურებელი სანახაობის გაჩენისთანავე გაჩნდა. სანახა-ობა ადამიანის აუცილებელი, სასიცოცხლო მოთხოვნაა. სანახაობიანად ამბობდნენ ძველი რომაელები: „პურა და სანახაობა!“ და ეს კომპლექსი — „მაყურებელი და სანახაობა“ საუკუნეებთან, დროსთან ერთად შეტანკლებად იცვლება. მართალია, მაყურებელი ყოველთვის იყო და და-ჩრება სანახაობის დამსწრე ადამიანად (ეს ტელემაყურე-ბელსაც ეხება), მაგრამ ტელემაყურებლისა და სხვა, მგა-ვლითად, თეატრის მაყურებლის შორის რადიკალურად სა-წინააღმდეგო ელემენტები უნდა დავინახოთ!

პირველი, მაყურებელი ყოველთვის, ყოველ დროში მი-დიოდ და სანახაობაზე (თეატრი, კინოში), აქ სანახაობა მოდის მასთან, მოდის პირდაპირი გაგებით. სულ მალე აუცილებელი არ იქნება სახლში მისვლა. ადამიანს შეიძ-ლება ისეთივე ჯიბის ტელევიზორი ჰქონდეს, როგორც ახ-ლა — სათუთუნე, ან საათი. სანახაობაზე დასასწრებად მაყურებელი წინასწარ ემზადება. შოულობს ბილეთს, სა-განგებოდ იცავს, იკახშება, ზოგჯერ წინასწარ ისვენებს კინოზე, ხშირად ეპატებიება ნაცნობ-შეგობრებს და იცის, რომ დღეს საზოგადოებაში ყოფნა მოუწევს.

ტელემაყურებელი პირიქით — მინარულად ეწყობა, წამოიჭება კიდევ, გამოსახულებას თვითონვე ასწორებს. საკუთარ აზრს ჩურჩულით არ გამოთქვამს. მას არც ბილე-ტის შიგნა სჭირდება და არც დანომორი საგარეძლი. თავის ოჯახთან, ან ორ-სამ კაცთან ერთად უყურებს გადა-ცემას. ერთი სიტყვით, მაყურებლის „კლასიკური“ განაზ-რებიანად ტელემაყურებელს თითქმის არაფერი სცნია და, რაც მოაჩრება, მაყურებელი, როგორც სანახაობის მონა-სწერი, როგორც ერთ-ერთი აქტიური კომპონენტი, სრუ-ლიად გამოითიშულია (ტელევიზიის საერთო პრინციპის — „ცალმხრივი კავშირის“ შესაბამისად).

ტელევიზორისა და ჩვეულებრივი თეატრის მაყურებ-ლის შეპირისპირებით დავინახავთ, რომ მისი ყველა ზემო-ჩამოთვლილი განმასხვავებელი ნიშანი, მიუხედავად მათი

მკვეთრი საპირისპირო თვისებებისა, ჯერ კიდევ გასწავ-რული არ არის.

საქმე იმაშია, რომ თეატრის მაყურებელი სანახაობის აქტიური მონაწილეა. თეატრის მსახიობს არ შეუძლია უმაყურებლოდ თამაში, მის მოქმედებაში აუცილებლად უნდა იმპროვიზოდეს მაყურებელი, ე. ი. იგი კონტაქტში უნდა იმყოფებოდეს მასთან, უნდა გრძნობდეს მის ემოცი-ას, სუნთქვას, მის არსებობას. ზოგჯერ მაყურებელი იმ-დენად აქტიური კატეგორიაა, რომ პარტნიორიც კი ხდებ-ბა მსახიობის (ფიგურის) თეატრის „სამხედრო“ (თეატრი-ში, მაკანონშეილისეული „ცხრიის წყარო“ და სხვა).

ამ მხრივ აქვე თუ არა რაიმე საერთო მაყურებელსა და მსახიობს ტელევიზიაში? თითქმის არაფერი! ტელემაყურ-ებელსა და მსახიობს შორის ხომ კამერის თვალია და ვკრანია.

აქ მოქმედების მოედანს მაყურებელი ტელეკამერის ნე-ბის მიხედვით ხედავს. იგი სხვადასხვა რაუკურსა და ხედს მზამარველად იღებს: საერთო, საშუალო, მსგებო ხედს, კადრს, დეტალს — ყველაფერს იმას, რაც თეატრის მა-ყურებელს არა აქვს.

იმაღება ბუნებრივი კითხვა: თუ მაყურებელი შეიცვალა და ისიც რადიკალურად, რა მოუვდა სანახაობას? შეიცვალა თუ არა სანახაობა?

ამ კითხვის საპასუხოდ უნდა განვსაზღვროთ ტელესპექ-ტაკლის, სატელევიზიო თეატრის რაობა, ანუ ტელესპეცი-ფიკა.

როგორც პუბლიცისტიკის თეორიის უპირველესი ამო-ცანაა, რომ გამოვიდეს ლიტერატურათმცოდნეობისა და ლი-ტერატურის კრიტიკის გაგუნის სფეროდან და საკუთარი თეორია და კანონები შეიმუშაოს, ისევე აუცილებელია სა-ტელევიზიო სპექტაკლი, სატელევიზიო თეატრი გამოვი-დეს თეატრმცოდნეობის, მისი არქიტექტონიკის კანონებს განვსაზღვრიდნ და საკუთარი კანონები და ტრადიციები შექ-მავს.

ზოგიერთს ტელევიზია ის არნბ ჰქონია, რომელმაც უნ-და გაატაროს სანახაობა! ე. ი. ტელევიზიაში უნდა აიღოს ჩვეულებრივი სპექტაკლი და გადასცეს, ანუ განაზილოს. სახლში მიუტაროს ადამიანს წარმოედგნა. ეს სწორი არ არის.

რეჟისორების იმ ნაწილს, რომელიც ტელესპექტაკლს თეატრის წარმოდგენის მსგავსად დგამს, ზიანი მოაქვს ტელევიზორის (ყველაზე მაგიური ძალისა და შესაძლებ-ლობის თეატრის) შექმნა-გავითარებისათვის. განა მარჯა-ნიშვილის, სინთეტური თეატრი? თითქმის სატელევიზო თეატრი არ არის დღევანდელი გაგებით?

„მისდგება ბუფის“ მოაწინააღმდეგე დადგმა რომ უნ-დოდა მარჯანიშვილს, ეს მარტო ანტიკური დიდი სანა-ხაობის გაგუნით როდი იყო გამოწვეული; ეს იყო მისი ინტელტური სწრაფვა დიდი სირცხის გამოყენებისაკენ. სატელევიზიო სპექტაკლი იღნავ ჩახედული ადამიანი მოა-წინების კალთაზე თუ ავა, ადვილად შეამჩნევს როგორ აშკარად არის გამოკვეთილი ტელეკამერების დასაყენე-ბელი ადგილები.

სატელევიზიო თეატრის პირველი და ძირითად პრინ-ციპია „სინთეტურობა“. საზღვარგარეთის ზოგიერთ ტე-ლე-რადიოკომპანიებს საკუთარი ტელე და რადიოთეატ-რები გაჩნიათ. ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. ტელე-თეატრი მუდმივ დასს არ მოითხოვს. ამა წარმოადგენთ, სად შეიძლება, გარდა ტელევიზიისა, ერთ სპექტაკლში მონაწილეობა მიიღოს, მაგალითად, აკაკი ხორავას, ვახტანგ ჩაბუკიანსა და დავით გამრეკელს.

წარმოდგენით წარმოდგება, რომელშიც მონაწილეობას



მრავალფეროვნებასთან ერთად ფინალი ყველაზე მეტად „ექსტერიორულია“. კომპოზიტორი ამაოდ ცდილობს გააქვეს საკუთარ თავს და შეება იპოვოს გარემოცველ სინამდვილეში. ამიტომ, იქაც კი, სადაც სახეუბა მხიარულებასა და დღესასწაულის ყველა გარეგანი გამოვლინება (საცეკვაო რიტმი, ხალხურ-ქანრული ინტონაცია, პომპეზური ფორტისობა), მაინც არ ექმნება შინაგანი სიმშვიდის, სილადის, ბედნიერების განწყობილება. მხიარულება მოწამულია მწვავე რეფლექსით და ვერ ფარავს ტრაგიკული მარტობის, შინაგანი სიკარგულის გრძნობას. ასეთია მუსიკის მიმფონიის ფინალის დღეაზარი და ამავე დროს, მისი შინაგანი წინააღმდეგობრიბის მიზეზი.

რა ობიექტური მონაცემები (გარდა მუსიკის სუბიექტური მხარეები აქმისა) გვაძლევს ასეთი მტკივნის საფუძველს?

მედიორ თემატიკური კავშირი წინა ნაწილებთან, კერძოდ, იმ ეპიზოდებთან, რომელ ტრაგიკული არსი გვებს არ იწვევს, დიეს-ირეს თემის პარაში ფინალის ერთ-ერთი საკვანძო კლამანიკური მომენტია — ფუგის სარასატრული „გამომწვევი“ ჟღერადობა და, ბოლოს, თვით მთავარი თემის ინტონაციური ნათესაობა დიეს-ირესთან.

მიუკლებთი ფინალი საკრებოზმად აღმატება წინა ნაწილებს. იგი დაწერილია სინატური ალგორის ფორმით. მწელია ფინალის საერთო ხასიათის განსაზღვრა. მასში დიდი ადგილი უჭირავს ქანრულ საწყისს, რომელიც პირველად იჭრება სიმფონიაში; გროტესკულ-ექსცენტრულ მომენტს, რომელიც ქანრულის დღეფორმაციაა, მისი გაზოგინება და უტრირების შედეგს წარმოადგენს; და, ბოლოს, ტრაგიკულ ლირიკას (ეპიზოდურად). მაგრამ ფინალში არცერთი ეს საწყისი საბოლოოდ არ არის დამყვედრებული. მართალია, ფინალს აკვირგვინებს მქუხარე, თავაწყვეტილი ფერხული, მაგრამ ეს მხიარულება მოწვენებითი, ილუზორულია.

შეგერდეთ ფინალის მუსიკის მთავარ საკვანძო მომენტებზე.

დასაწყისი. I ნაწილის შესავლიდან ნაწყობი მძაფრი

# რახმანინოვის მესამე სიმფონია\*

გულბათ ტორაძე

სიმფონიის მესამე ნაწილი — ფინალი ალგორ, ყველაზე უფრო მრავალფეროვანი და, შესაძლოა, ჭრულიცა მთელს ნაწარმოებში. შემოხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ჩვენს მუსიკისმცოდნეობაში მის შესახებ გამოქმულ მოსაზრებათა შორის ასეთსავე სიჭრელეს ვხედავთ. ფინალის კრიტიკოსთა შორის ორი ჯგუფი გამოიყოფა. ერთნი (ბ. ასაფიევი, ვ. პროტკოპოვი, ა. ალექსევი) ფინალს მიიჩნევენ უადრესად მთლიან, პარმიონულ, ოპტიმისტურ კონცეფციად. მაგალითად, ვ. პროტკოპოვი მიგვიითებს ფინალის „მწხნ, ოპტიმისტურ ტონზე“, ა. ალექსევი კი „ფინალის საცეკვაო სახეთა ნათელ სამყაროზე, კლასიკური სიმფონიებისათვის დამახასიათებელ ოპტიმისტურ დავაგროვინებაზე“. განსაკუთრებით პარადოქსულია ბ. ასაფიევის სიტყვები: «В последней части симфонии преобладают «переливы-перезвоны», типичные для Рахманинова. Среди наплывов мелодии звенит воздух — то радостно и светло, то тревожно и настороженно, то ликующе! От этого финала остается хорошее, цельное впечатление, от всей симфонии такое чувство, будто слух совершил неспешную прогулку «в садах человеческого сердца». Лучшим страницам Рахманинова всегда были свойственны подобные состояния» (ბ. ასაფიევი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. II, გვ. 304).

ოპონენტთა მეორე ჯგუფი (ი. კვლდიაშვილი) მკაცრად აკრიტიკებს კომპოზიტორის იმის გამო, რომ «находясь в эмиграции, Рахманинов оказался не в силах дать действительное разрешение этой темы, стоящее на уровне требований современности». ხოლო ფინალის შესახებ ნათქვამია: «она (третья часть) противоречива и непоследовательна по своему характеру». (რუსული მუსიკის ისტორია, ტ. III, გვ. 402).

თავს უჭლებს მივცემ არ დავთანხმებ პატეცევიკული კრიტიკოსების არც ერთ ჯგუფს. მათი გამონათქვამი ამჟამად სარკის გადანდა კონიუნქტურისაში. ბ. ასაფიევის ნარკვევი დაწერილია 1945 წელს, ხოლო ვ. პროტკოპოვი-სა — 1946 წლის ბოლოს. მაშინ ის-ის იყო მოხდა რახმანინოვის ვიკანდელი შემოქმედების რეაბილიტაცია (მოვიგონათ, რომ 1936 წელს შექმნილი III სიმფონია საბჭოთა კავშირში პირველად 1943 წელს შესრულდა. ასეთ პირობებში მწელია იმ ავტორების გამტყუნება, რომლებიც ცდილობენ „გარდისფერი სათვალში“ გააჩინონ პარტი-

\* დასაწყისი იხ. „საბჭოთა ხელისუფლება“ № 5, 1973 წ.

ბასაჟი სამშობლოს მოგონებით გამოწვეული მწველი გრძობის გამოსატყველია. რას უნდა მოასწავებდეს მისი გამოჩენა ფინლანდში? ძველია ამ კითხვას სრული კატეგორიულობით პასუხის გაცემა. ყოველ შემთხვევაში, აქ იგი დასამამს აძლევს საცეკვაო მოტივს, მასობრივ მხიარულებას, რომელიც შემდგომ მორჩეუებითი და სკეპსითი მოწყობილი აღმოჩნდება.

ქვეს არ იწყებს ფინალის მთავარი თემის ჟანრული ბუნება. იგი ჯოჯოხეთ უბრუნდება საწყის მდგომარეობას და უღედოდ მერიდება. მის უბრა, მეჭუსხე აქცენტებით თითონ გვეხმის მოცეკვავე უბრის „ქუსლებში“ ბრახუნს. აქ შესაფერისია ორკესტრობაც (დასარტყამთა მთელი კომპლექტი).

თემის ანალოზი აამყარავებს მის ინტონაციურ კავშირს სიმფონიის ლიტოტივთან, რომელიც თითქმის ფინალის ფაქტურაში თითქმისდება. საკმაოდ გაჭვივებულია თემის ხანტესამა დაღეს-ირესთანაც, რაც განსაკუთრებით ნათელი ხდება მის ერთ-ერთ წარმოებულ ვარიანტში.

ეს, ერთი შეხედვით, მოულოდნელი პარალელი ნათლად მეტყველებს თემის ემოციურ სენსატივაზე. მის მხიარულებაში აზრს რაღაც ხელოვნური და ნაპალაღვეი.

რა თავისებურებები შეინიშნება ფინალის მთავარ პარტიამ?

პირველ რიგში, მეტრო-რიტმული მერყეობა, სუსტდროთა აქცენტებზე, სინკოპირება, რაც შინაგანი სტრუქტურის ასიმეტრიულობას ქმნის და ხას უსვამს შინაგან შფოთვას, მოცუვნობას. განვითარებათან ერთად თემა კარგავს ტონალურ სიმტიკესაც. დამუშავების ნიშნები ისწავლავს უკვე თვით მთავარი თემის განვითარებას, მაგრამ იგი განსაკუთრებით მკაფიოდ იჩენს თავს შემაკავშირებულ პარტიამ, რომელშიც მისი წინამორბედის ინტონაციური საქმეები წინადადებაში უდაბლად დაჟავს. შემაკავშირებულ პარტიას უკანასკნელ ტაქტებში ტრეციული ინტონაციის წინასწარი რეზონანსებით ხდება მეორე თემის ტონალურ-პარმიონული შემსაღება.

მეორე თემა (დამხმარე პარტია) ნალოვანი მიწრიული ტონალის (დო-დიეჰ მინორი) და ტრაგიკული ექსპრესიით მკვეთრადაა გამოხეული ფინალის საერთო ჟანრულ-სტრუქტურული ანტრეპიკსაგან, თუმცა მას საკმაოდ მოკრანულული ადგილი ეთმობა.

აღიგურ მომენტში იგი ემოციური კოლორიტის, პარმიონიული და ინტონაციური თვისებებით, დინამიკური გეგმით, ორკესტრებითი კერძოდ, სიმედიანთა და ლითონის ჯგუფების ურთიერთსაბნაღდლო კონტრასტულქტული მოძრაობით უნებურად იწყებს ჩაიკოსკის სიმფონიური კულმინაციების ასოციაციას.

თემა ფართოდ არ იშლება კულმინაციის სწრაფ ფორსირება მიღწეულია მარტივი ხერხებით: თემის გადართვით ექსპრესიული რეგისტრებში და ხისა და ლითონის ჩასაბერთა გუჟღერის ერთობლივი ჩართვით. ინტეგრის მოკლეობილი არ არის დაკვირვება თემის ინტონაციურ სტრუქტურაზეც. იგი ძალიან ფართო დიაპაზონისაა. (დო-დუ-ცე-ბა) და მთლიანად ეწყალება ადმაველ სვლას დაშლილი ტონიური სამშფოვანების საფუძვრებზე. რამდენიმეხანისათვის — პლასტიკური კანტილენის ამ იშვიათი ოსტატისათვის — ეს ერთოდ უწველო აღნაგობაა (მით უმეტეს, დამხმარე პარტიაში). ცხადია ამ შემთხვევაში თემის უჩველად-ინტონაციული ექსპრესიული ექვემდებარება მიღწეულია სხვა ფაქტორებით, პირველ რიგში, პარმიონითა და ორკესტრით. სოლო-ფაგოტის სარკასტულ-გამომწვევი მოტივი დასაბამს ძლევს ფინალის ცენტრალურ, ყველაზე რთულ და

მრავალფეროვან ნაწილს—დამუშავებას. რომელიც სქემატურად შემდეგნაირად შეიძლება წარმოვლიდით: 1. პატარა შესავალი, რომელიც ყალიბდება მომდევნო ვრცელი ფუგის თემა და სიმფონიის ლაიტმოტივი პირველად ფინალში რომ იმისი. 2. ფუგა (აქ შემოიჭრება დღეს-ირეს თემა), რომელიც არ მთავრდება და უშუალოდ გადადის ზომღვერო, ვალისებერ ეპიზოდში, 3. დღეს-ირეს თემაზე აგებული ეპიზოდი, რომელსაც უშუალოდ მოსდევს ფინალის რეპრისა.

შეგრძელი ფაგოტის აღნიშნულ მოტივზე, რომელიც შემდგომ ფუგის თემად იქცევა. მისი ამოსავალი პუნქტია ზინალის მთავარი თემა, რომლიდანაც იგი საკრანზორი ცვლილებებით მომდინარეობს. მისი ინტონაციური კონტურები გამოწვევულ-გამაღფრებელია, რაც მას გროტესკულ იერს სძენს. ამ შირვდ დამახასიათებელია თვით სოლო-ფაგოტის ტემპრის შერყევა: „გამომწვევი“, სარკასტული ექვემდებარებით იგი უნებურად აღადგენს მესხიერებაში ახალადგონა მოსტაკოვიჩის (I სიმფონია, საფორტეპიანო კონცერტი) ანალოგიურ მუსიკალურ სახეებს.

ამჯერად არ ხდება ამ მოტივის თემად კონცენტრირება, პირიქით, იგი ნაწვერდება პატარ-პატარა მოტივურ გადახილვებში.

მოულოდნელად შემოიჭრება სიმფონიის ლაიტმოტივი, რომელიც მისისახედ, შემპირწველიად ფერეს, ეს თემის კიდევ ერთი ასალი ვარიანტია და მისი უკვე შეცხობა ერთგვარად რთულდება. იგი ერთხანისთვისაც მკვეთრად მიჯნავს ფუგასა და მის შემამზადებულ ეპიზოდს, რომლებიც სულ სხვა ფაქტურულ, საორკესტრო და თემატიკურ პრინციპებზე აიიან აგებულნი.

იწყება ოთხმინიანი ფუგა (ალეგრო ვივაზე). ტერმინი ფუგა აქ პირობითადაა ნახმარი, რადგან იგი მთელი რიგი ნიშნებით განსხვავდება ამ პოლიფონიური ფორმის კლასიკური სქემისაგან. უკვე ნაცნობი თემა აქ გამოკეთილადაა მოცემული. მისგანაც თავისი პირობითიანა (სოლო-ფაგოტის მოტივი) ფინალის მთავარი თემისაგან მას მეტი ინტონაციური სიმძაფრე და სიმწვევა განასხვავებს. პირველად მას I ვოლონობით ასრულებენ (ტონალობა რე-ნაჟორ პარმიონიული). საწინააღმდეგო სვლის ფაქტურა თვით თემიდანაა აღებული, სქემატურად მოედს ეს ვრცელი პოლიფონიური ეპიზოდი (ფუგა) ასეა აგებული: 1. ექსპოზიციცია, 2. ინტერმედია, რომელშიც მუშავდება თემის სხვადასხვა მოტივი, 3. შუა (დამუშავებითი) ნაწილი, სადა თემა ოთხჯერ ტარდება სხვადასხვა ტონალობაში, 4. ვრცელი ინტერმედია, რომელსაც თემის კულმინაციური გატარება მოსდევს (სი-მაჟორი). ფუგა არ იხურება (რეპრეზული ნაწილი მოკავშილია) და უშუალოდ გადადის მომდევნო ვალისებერ ეპიზოდში.

განხილვით ფუგის დამუშავებითი ნაწილის ცალკეული მომენტები. კომპოზიტორი აქ პოლიფონიური გაბეჯითარების დიდ ოსტატობას ამჟღავნებს. იგი გამოყოფს თემის სხვადასხვა მოტივს, უპირისპირებს ერთმანეთს და წინააღმდეგს სხვადასხვა კონტრასტულქტულ კომბინაციას განსაკუთრებით საინტერესოა, რომ სწორედ აქ, თემის მე-3 და მე-4 გატარებისას, თითქმის სრული სახით გამოჩნდება დღეს-ირეს თემა ჯერ საყვირებისა, შემდეგ კი ვოლონობითადაა აღტკბობს, თუმცა იგი კონტრასტულქტულადაა გადახლართული თემისთან და ამის გამო ასერიო სმოვანბინად დიდ სიმკვეთრით არ გამოიყოფა.

მუხეხებით რიგი, რომ დღეს-ირეს ინტონაციების შემოჭრას ხელს უწყობს ემოციური კოლორიტის გაშუქებას. ეს ტენდენცია კიდევ უფრო ძლიერდება მომდევნო ინტერმედიაში, რომელიც წარმოადგენს ადმაველ დინამიკურ სვლას

ფუფის თემის კულმინაციური გატარებისაკენ. მართალია, აქ გამოკვეთილად აღარ გვეხმის პირქუში სვეცეციის მოტივი, მაგრამ მუსიკა გამსჭვალულია მისი ინტონაციებით. დაბოლოს, თეთი ფუფის თემამ (განსაკუთრებით, მისი მეორე ნაწილი), რომელიც ინტენსიურად მუშავდება, მჭიდრო კავშირშია დღეს ირგანთან. იგი უნებურად აღადგენს მესხინებთან ბერლიოზ-ლისტის სიმფონიური ქმნილებების, ინფრანალურ ფურცლებს. ასეთია ეპიზოდი, სადაც ალტის არჩატული „ბუტბუტის“ ფონზე პიპილად ისმის საყვირებისა და ტრომბონების დაღმარული ქრომატიული ფარსა.

ეს ინტერმედია მოტივიური დამუშავების შესანიშნავი ჩიმუშია. აქ ინტენსიურ განვითარებას განიცდის თემის თითქმის ყველა მოტივი. განსაკუთრებით ორი უმაჯარესი, რომლებშიც გამსჭვალულია მთელი ფაქტურა.

პირველი მთავანის რიტმული ფიგურა გაბატონებულია მთელ ამ ვრცელ ეპიზოდში. ცალკეულ მომენტებში კი ხდება ორივე მოტივის გადახალართვა, სხვადასხვანაირი კომბინირება.

თემის გატარება (რიტმი მებუთე) სი მაჟორში ფუფის კულმინაციური მომენტია. მუსიკა აქ შემზარავად ჟღერს, მაგრამ სწორად დიდხანს არ გრძელდება. დინამიკური ტალღა სწრაფად ეცემა და თუმა პატარა-პატარა მოტივებად იშლება. მომდევნო იდილიური გაღისებური ეპიზოდი (სულ ათიველ ტაქტის მიცელობით) აღიქმება, როგორც უპოთიერი ფსიქოლოგიური პაუზა. მუსიკა ნახი, ნეკროფანია.

ხელოვანი ისევე მოულოდნელად წყდება, როგორც დაიწყო. გრივალეით შემოიჭრება დღეს-ირე. აქ იგი პირველად ჟღერს აშკარად და შეუნიშნავად, რითაც საბოლოოდ იმპრინციბის მთავარი პარტიის მოტივებს, რომლებიც თითქმის გაუბედავად ედილომენ წინ აღუდგნენ მის შემოტევას. დღეს-ირეს თუმა სვეცეცურად გრძელდება აღწევს საფუფისებსა და მზარდ დინამიკურ ტალღებს. იპირობს ახალ-ახალ რეგისტრებს. საბოლოოდ კი მივლ ორესტრის მოივება.

დემონური თემა გამარჯვებას ზეიმობს, მაგრამ დიდხანს არც მისი პარაზმი გრძელდება. კვლავ იმისი ფინალის მთავარი პარტია. იწყება რუბრისა — ფინალისა და, საზოგადოდ, მთელი ნაწარმოების ძალზე მნიშვნელოვანი განაკვეთი. მნიშვნელოვანი, პირველ რიგში, იმის გამო, რომ სწორედ აქ ირკვევა საბოლოოდ სიმფონიის იდეური კონცეფცია. ვიჭორბ, ფინალის მუსიკის სახითი გვახდევს სასუქველს მისი არაორაზროვანი ინტერპრეტაციისათვის, რაც შეიძლება შემდეგანარად ჩამოაყალიბოს: ის უანრულ-პოლემურული აგიოტატი, რომელიც ფინალში სუფუეს, გაგრძელებული სახითისაა და ვერ ფარავს შინაგანი სიცარიელის, მარტობის მწველ გრძობას.

რუბრისაში დღეს-ირეს მრისხანე ინტონაციები აღარ ჩამოვინის ავანსინიდან. მაგრამ საგულისხმოა, რომ დასავნითი ნაწილში თვით ეს თემაც განიცდის რიტმულ და ინტონაციურ ტრანსფორმაციას. შთაბეჭდილება რჩება. თითქმის კომპოზიტორი ვრდიება ფაქტურის თემის დამკვიდრებას ნაწარმოების დამავიჯრევიხეულ ეპიზოდში. ავტორის თავიდანვე მთლიანი ხმაში ფიგურის მსუბუქ სტოკატოში „გამოჰყავს“ კველუცი საცეკვაო მოტივი (ფინალის მთავარი პარტიის ერთ-ერთი „წარმოებულ“), პარონიულ ნებნები კი ტარდება სიმფონიის ლაიტმოტივის მორიგი უარანატხ. დავუკვირდეთ სიმფონიის უკანასკნელ ტაქტს. აქაც ხომ გარკვევით იმისი ლაიტმოტივის სვეცეცური ინტონაცია. ასეთ რთულ და მრავალფეროვან განვითარებას განიცდის იგი სიმფონიის მანძილზე.

ამრიგად, კოდის მუსიკა სამი თემის (ფინალის მთავარი პარტია, დღეს-ირე, სიმფონიის ლაიტმოტივი) თავისებური სინთეზია.

საბოლოოდ თითქმის მკვიდრდება საზეიმო განწყობილება, მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით მისი ნამდვილი არსი.

მუსაშე სიმფონია რახმანინოვის გვიანდელი („ამერიკული“) პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია, ანავე დროს მისი, როგორც სიმფონისტის, შემოქმედებითი მოღვაწეობის განზოგადება, სინთეზი. ამ შემთხვევაში ეგულისხმობთ არა მარტო მის I და II სიმფონიებს, რომელთაც შედარებით პერიფერიული ადგილი უკავიათ კომპოზიტორის შემოქმედებაში, არამედ ნამდვილად „სიმფონიურ“ საფორტეპიანო კონცერტებს (განსაკუთრებით მეორეს და მესამეს და „რუსეთისა პავანინის თემაში“). ანალიზის დროს ამ დეტალების საილუსტრაციოდ მოგანალი იყო კონკრეტული მასალა, მაგრამ ის გენტიური ძაბები, რომლებიც III სიმფონია აღარ იმდელ ქმნილებებთან აკვირებს, გამოხატება არა მარტო ცალკეულ ინტონაციურ და თემატურ ასოციაციებში, არამედ ევოლუციის კანონებით განსაზღვრულ შინაგან ორგანულ კავშირში.

კერძოდ, კავშირი II და III საფორტეპიანო კონცერტების მულოდურ სტეპისთან იგრძნობა ავთოში, ნაწილობრივ, პირველ ალერგოში, „რუსოლიასთან“ — სახელობრი, ამ უკანასკნელს, „მემუნებარე“ განიცავებთან, სიმფონიის სტილისტურ სიმეცერესა და რიტმულ „დისციპლინაციონალობაში“, „მიცვალებულთა კუნძულთან“ — პირქუშ-ტრაგიკულ საერთო კოლორიტში, — I სიმფონიასთან — საწყისი ინტონაციური ბირთვების (ლაიტმოტივების) ნაფსკრობაში, მონოთემატურ ტრენდშიცაში.

მუსაშე სიმფონიაში, როგორც რახმანინოვის შემოქმედებითი გზის დამავიჯრევიხეულ ნაწარმოებში, შეუძლებელია არ ასახულიყო ის იდეური და სტილისტური ევოლუცია, რომელიც მან რუსეთიდან საფლამო წაყლის შემდეგ განიცადა მხატვრულ-იდეური თვალსაზრისით. ეს ევოლუცია გამოხატავს ტრაგიკული ტონების გამდიდრებაში, რაც ნიშანდობლივია თითქმის მთელი მისი გვიანდელი შემოქმედებისთვის.

მართალია, მუსაშე სიმფონია არ არის რახმანინოვის ყველაზე პირქუში, პესიმისტური კონცეფცია. (ეს ნიშნები შეტი სიმკვეთითაა გამოხატული მის „მიცვალებულთა კუნძულსა“ და „ზარებში“), მაგრამ ტრაგიკული პათოსითა და ექსპრესიით ბევრით აჭარბებს მათ. მიცვალებულთა „უნძულსა“ და „ზარების“ მინორი ძალიან დიდი დოზითაა დაკავშირებული რომანტიკული პროგრამული სიმფონიის მდღერინებულ ტრადიციებთან. მათი მუსიკარაგმანდნებე გარეგნული, თეატრალური პათეტიკით არის შეფერილი, რომლის მიღმა ვერ ვგრძნობთ ავტორის სულიერი რეფლექსიას, მის პირად დამაინაურ დრამას, შინაგანი პულსის ფეთქებას.

მუსაშე სიმფონია კი, როგორც სულ სხვა შინაგნისა და მხატვრული მიზანდასახულების ნაწარმოები; აღბეჭდილია დიდი და ხალასი ექსპრესიით, გულწრფელობით, ღრმად აღმაინური ვნებათა დღევით. მასში აისახა კომპოზიტორის ავტობიოგრაფიული მომენტი და იგი განვსაზღვრეთ როგორც „ნოსტალგიის ტრაგედია“; მუსაშეა ნაწილისა და სიმფონიის ფინალის ანალოზთან დაკავშირებით გამოითქვა მოსაზრება ნაწარმოების საერთო იდეურ-მხატვრული კონცეფციაზე, რომელიც ერთგვარად უწინააღმდეგეა არსებულ თვალსაზრისს (ბ. ასაფიევი, ვ. პროტკოპოვი და სხვა). სახელდობრ, ეს შეეხება სიმფონიის დამავიჯრევიხეულ ნაწილს — ფინალს, რომელშიც, ჩვენი აზრით,



გარეგნული მაკორულ-ობტაქმისტური ტონის მიუხედავად, საბოლოოდ მტკიცდება ნაწარმოების ტრადიციული კონსენსუსი.

რაც შეეხება საკუთრად სტილისტურ ევოლუციას, იგი გამოიხატა პარზონული ენის გამწვანებასა და გამაღვრე-ბანში, კილო-ფუნქციონალური კავშირების შესუსტებაში, რიტმული სტრუქტურის გართულებაში და ა. შ.

რანსანინოვის შესახებ სიმფონიის განმარტავდებელი ნინოშენლობა საგულისხმოა სხვა თვალსაზრისითაც. მასში შედარებით უფრო მკაფიოდ ვხვდებით ე. წ. პედაგოგურ-გინას და მოსაკლეს საკომპოზიტორი სკოლების ტრადიციითა სინთეზის ნიშნებს, რაც დიდი ხნის წინ შეინიშნეს. მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს დებულება საჭიროებს ერთგვარ კორექტივებს. გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ, ჩაიკოვსკიეული, ე. ი. დრამატულ-ფსიქოლოგიური საწყისი მასში საგრძობად სჭარბობს გინკა-ბოროდინისეულ ენაურ საწყისს. როგორც აღვნიშნეთ რუსული კლასიკური სიმფონიის დრამატულ ფინისთან, კერძოდ, ჩაიკოვსკისთან, შესაძლო სიმფონიას აკავშირებს: ტრადიციული კონსენსუსი, ნათელი და კომპარული საწყისების ანტითეზა. ფორმის დრამატურული აქტიურობა, უმთავრეს მხატვრულ სხეულ ინტონაციური აღნაგობა და ფსიქოლოგიური სემანტიკა.

ასევე აღინიშნა ნაწარმოების სტილისტური ძირების მრავალფეროვნება. რუსული კლასიკური სიმფონიის სხეულებული ორი ძირითადი შტოს გარდა, აქ უნდა დაეახსებოთ სხვა კომპონენტებიც: ძველი რუსული საკულტო გალობა და ხალხური მუსიკალური კულტურა (ერთი მხრივ, გამბული სიმღერა და, მეორე მხრივ, ინსტრუმენტული საცეკვაო მოტივი ფინალში). ყოველივე ამას უნდა დაემატათ დიეს-ირეს თემა, რომელიც ნაწარმოების ერთ-ერთ ძალზე ნიმუშელოვან ინტონაციურ წარმნიქმნად ეგვილიანა. მისი როლი განსაკუთრებით იზრდება სიმფონიის დასასრულში. მრავალფეროვნება რომ სიჭრელეს არ ნიშნავს, შესაძლო სიმფონიის მავალითეუც დასტურდება. ნაწარმოების მოსმენისა და ანალიზის დროს ვრწმუნდებით, თუ რა მკვიდრ, ორგანულ მთლიანობაშია შერწყმული ეს კომპონენტები.

უნდა ითქვას, რომ ამ მხატვრულ-სტილისტური მთლიანობის წინამძღვარი მოცემულია იმ მონოთემატიკურ ტენდენციამ, რომელიც მთელ ნაწარმოებს მსჭვალავს. ინტონაციური „ცემენტის“ როლს, როგორც ითქვა, შესავალი თემა (ლაიტმოტივი) ასრულებს. კვლავ მინდა ხაზი გაუყუთ იმ გარემოებას, რომ გზა ნიმუშებიერი მულტიდინან (ლაიტმოტივი) კათოლიკურ სეკვენციამდე, მათი შინაგანი ნათესაობის წყალობით, ძალზე ბუნებრივი და ორგანული აღმოჩნდება. ლაიტმოტივი და დიეს-ირე სიმფონიის თანესებური თემატიკის საყრდენები, ინტონაციური განვითარების საწყისი და საბოლოო პუნქტიონა.

სიმფონიის მუსიკალური ენა, სტილი არსებითად იმავე პრინციპებზეა აღმოცენებული, რაზედაც რანსანინოვის „ოქრის ხანის“ შემოქმედება; თუმცა გამწვანებ მთელ რიგ ასალ ნიშნებსაც, რომლებიც თანაბრად შეეხება ყველა ცალკეულ კომპონენტს. მათი გამოჩენა საესეებით ბუნებრივი და ორგანულია რანსანინოვის მუსიკაში და უშუალოდ უკავშირდება ევროპული მუსიკალური აზროვნების ევოლუციის პროცესს 20-30-იან წლებში. მაგრამ უმთავრეს-

ში კომპოზიტორი ერთგული რჩება საკუთარი თავისა და, მამასადაც, რუსული მუსიკის კლასიკური ტრადიციებისა. პირველ რიგში, ეს ეხება სიმფონიის მელიოდურ ენას. მელიოდური აზროვნების სასტიკი კირონის ეტეკაში რანსანინოვი კვლავ ქნის მომხიბვლელ, დიდი გამომსახველობისა და ინტონაციური აქტიურობის მქონე მელიოდებს. წესამე სიმფონიის საუკეთესო მელიოდების შესახებ შეიძლება ვთქვათ ბ. ასაფიევის მიტყობებით: «Мелодия Рахманинова всегда «стелется», как трава в полях, не придуваемая, не вызываемая». (ტ. II, გვ. 294).

შეინიშნება სიახლაც, რომელიც გამოიხატება დელამაციურ-რეიტატიული საწყისის გამოიყვებასა და გამაჩვი-ებობაში. რანსანინოვის „რუსული“ პერიოდის მელიოდური შედევრები გარეგნული კონტრუბითი საგრძობლად პლასტიკური არიან. შესაძლო სიმფონიაში ხშირად შევხვდებით ფართო ინტერვალურ სლევებზე აგებულ ტენზილ მელიოდებს (ზოგჯერ ისინი დაშლილი სუბტონების საფხურებს წარმოგივლიან), რაც სრულიადაც არ ანელებს ინტონაციურ გამომსახველობას. ნახტომები არამყარ ბეგრებზე, პრომატულ სვლათა სიჭარბე, ამბაფრებს და ამწვანებს ინტონაციურ ატმოსფეროს.

ასალოგიური შენიშვნის გაკეთება შეიძლება სიმფონიის კილოპარამიოლ ენაზე. აქაც შეინიშნება „ახალი“ მუსიკისთვის დამახასიათებელი ტენდენციების შემოჭრა, რასაც მისდევს ფუნქციური კავშირების შესუსტება, როული კილოების გაუმყენება (განსაკუთრებით ნაწარმოების დამუშავებით ეპიზოდებში).

დიდი როლი ენიჭება სიმფონიაში მთლიანობის ფაქტორს, განსაკუთრებით იმიტომ, რომ თითქმის მთელი ნაწარმოების (უფრო I და III ნაწილების) ფაქტურა გამსჭვალულია მხათა ინდივიდუალიზაციის ტენდენციით. ცალკეულ შემთხვევებში ამას პოლიტონალობისკენაც მივყავართ (I ნაწილის დამუშავება).

საკმაოდ მკაცრი, თუმცა ობიექტურია ბ. ასაფიევის სიტყვები სიმფონიის საორკესტრო მხარესთან დაკავშირებით. „რანსანინოვის სიმფონიის პარტიტურას არ შეიძლება ეწოდოს ორკესტრულად ფერადოვანი“. (ციტ. შრიბი, გვ. 304).

ისევე, როგორც სიმფონიის საერთო სტილისტურ კავშირში, ორკესტრალშიც გამწვანებ მეკვიდრებითი კავშირები, ერთი მხრივ, „მძლავრი ჯგუფის“, კერძოდ, რიმსკი-კორსაკოვის (იხ. პროტოპოპოვის შრომა, გვ. 148) და, მეორე მხრივ, ჩაიკოვსკის ტრადიციებთან.

პარტიტურაში ავარად შეგრძნობა თანამედროვე საორკესტრო სტილის ანარკლიც, განსაკუთრებით სკერცოზულ-გოტესკულ ეპიზოდებში, სადაც კომპოზიტორი მწვავე, „მგზავი“ კოლორიტის შექმნისკენ ისწრაფავს. ეს ნარკვევი მინდა დაგამოაზრო რანსანინოვის სიტყვებით: «He хочу ради того, что я считаю только модой, изменять постоянно звучащему во мне, как в шумановской фантазии тону, сквозь который я слышу окружающий меня мир».

საკუთარი შემოქმედებითი მეობისადმი ერთგულება, დიდა არტისტული სინდისი ან ამალელებულ დამაზნურ დრამას ანიჭებს ხალას ექსპრესიულობას, რომელიც გულგრილად არ ტრევის მსმენელს.



ეს 5-მოქმედებიანი კომედია მრავალ ცალკეულ სურათს შეიცავს, ააგრამ სტუდენტმა იგი, თავისი მსატრელ-რეჟისორული თვალაზრისით, სამ ძირითად სურათად ჩაიფიქრა.

ესკიზები კომპოზიციურად კარგადაა გადაწყვეტილი. ნამუშევარში იგრძობა მიხასწორავევა, რასაც თვით შექმნის კლასიკური კომედია განაპირობებს.

დილომანტი მართლაც კარგად გრძობს სცენური სივრცის კომპოზიციას. ამას მის მიერ წარმოდგენილი ყველა ესკიზი ადასტურებს.

სპექტაკლში გამოყენებული მხოლოდ მცირე დაზგა. იგი სამოქმედო მოედანთან მთლიანობაშია და გარკვეულ ფუნქციას ატარებს. სამივე ესკიზში ნაპოვნია გამოსახულების კარგი საშუალებები, მათში მოცემულია დინამიკობა, ძალა და მთლიანობა, დამკარგებლად რეალურბული სცენური ატმოსფეროს პრობლემა. სცენა ისეა დაგეგმარებული, რომ რეალურ წარმოდგენას იძლევა არქიტექტურულ ფორმებზე.

გემოვნებითაა განხორციელებული კოსტუმების ესკიზები, ტიპაჟები, რითაც დილომანტი ამჟღავნებს მოქმედ პირთა დახასიათების უნარსა და ქვეყნის ისტორიის ღრმაცოდნას.

საერთოდ, ნაშრომის ავტორი ცდილობს გარკვევით გამოთქვას აზრი. ყურადღებას იპყრობს თვით ესკიზების შესრულების ტექნიკა, რაც მტკიცელებს სტუდენტის აზროვნებას და შესაძლებლობების დამოუკიდებლობაზე.

ფიქრობთ, დილომანტ თ. ნინუას სახით სასარგებლო მსატკარს შეიქმნა დრამატული თეატრი. წარმოდგენილი ნაშრომიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია აგრეთვე დილომანტ ნანა აბრამიშვილის მიერ შექმნილი დილაგერმანული კლასიკოსის გოეთეს „ფასტი“ ლეკორაციების ესკიზები.

ცნობილია, რომ გოეთეს ამ კლასიკურ ნიმუშს საფუძვლად უდგეს XVI საუკუნეში გავრცელებული ხალხური

# ქ ს კ ლ ბ ე ზ რ ღ ა

## თეატრალური მსატკარები

ნინო შვანგირაძე

ამ ბოლო წლებში, ქვეყნის ნიჭიერებით, საკუთარი ხელწერითა და ორიგინალური აზროვნებით ფართოდ გაითქვეს სახელი ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა თაობის თეატრალურმა მსატკარებმა.

მათ შემოქმედებას იცნობენ არა მარტო საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. უკვე ხშირად ვკითხულობთ ჩვენი ახალგაზრდა მსატკარების გვარებს რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთისა თუ სოციალისტური ქვეყნების თეატრალურ აფიშებზე. ამ დიდ ასპარეზზე ბევრი მათგანი თანაგრეთობა სახელმწიფოებრივი რეჟისორისა და ამიტომაცაა, რომ მათი დეკორაციები მაღალგემოვნებიანი მანერების გულწრფელ აღიარებას იმსახურებენ.

ყოველივე ამის საფუძველს, რასაკვირველია, თბილისის სამსატკარო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის თეატრალურ-დეკორაციული განყოფილება წარმოადგენს, რომელმაც წლების მანძილზე არაერთი სასახლო მსატკარი შესძინა ქართულ საბჭოთა თეატრალურ ხელოვნებას.

ყურადღებია ის გარემოებაც, რომ აკადემიის თეატრალური განყოფილების სტუდენტობას ათ წელზე მეტია, რაც სპეციალობაში

წვრთნის და ხელმძღვანელობს ცნობილი თეატრალური მოღვაწე, საქართველოს სახალხო მსატკარი, პროფესორი ფ ა რ ნ ა ო ზ ლ ა პ ი ა შ ე ი ლ ი. სწორედ მას უნდა ვუმაღლოდეთ სტუდენტთა ნაშრომების მაღალ დონეებს. მათ ესკიზებში სრულიად ნათლადაა დასაბუთებული, რომ დრამატურგიული ნაწარმოების იდეა თეატრალური მსატკარის შემოქმედების საფუძველია, რომ პიესის იდეა წარმართველია, როგორც რეჟისორისა და მსახიობის, ასევე თეატრის მსატკარისაც. პროფესორ ფ. ლაპიაშვილის კლასის სტუდენტები უკვე ესკიზებში ამჟღავნებენ მკვეთრ ინდივიდულობას, აზროვნების სინთეტიკურ ხასიათს და რწმენას იმისას, რომ მსატკარი უნდა იყოს შემოქმედებითი მონაწილე სპექტაკლის მთელი ანსამბლისა.

ყოველივე ამაში დგავარწმუნა იმ ოთხმა სადიპლომო ნაშრომმა, რომელიც მიმდინარე წლის ზაფხულს თბილისის სამსატკარო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის თეატრალურ-დეკორაციული განყოფილებაზე იყო წარმოდგენილი.

დილომანტ თეიმურაზ ნინუას თავის სადიპლომო შრომად შექმნის ცნობილი კომედია „ჭირვეული ცილის მორჯულება“ აურჩევიან.



თქმულებას, რამაც არა მარტო მსატრეული ლიტერატურა გაამდიდრა. „ფაუსტის“ თქმა დაამუშავებს მსოფლიოს გამორჩენილმა კომპოზიტორებმა, მსატრეებმა; ამიტომ დიპლომანტ-სტუდენტის მიერ არჩეული ეს თქმა მოითხოვს მდიდარ ფანტაზიას, თეატრალურულ პირობებებში გამოვლენილ რეალისტურ თავისებურებას.

დიპლომანტი „ფაუსტს“ კყოფს ქვეს ძირითად სურათად: ფაუსტის თაბის, სარდაფი, კუდიანის სამზარეულო, ეკლესია, ვალპურგის ღამე, საფინალო სცენა.

ასეთი დაცოფა შესაძლებლობას იძლევა, რომ მკაცრებელმა ყურადღება გამამსვილოს ყველა ძირითად კვანძზე.

ერთი და იგივე სურათი ზოგჯერ სუფეტრად სხვა მოქმედებისთვისაა გამოყენებული, რის შესაძლებლობას აძლიად ქმნის კონსტრუქციის სხვა პლანში შემობრუნება. სტუდენტი ცდილობს ნაწარმოებში იღვა პირველ რიგში ფერწერული ენით განავითაროს.

თითოეული სურათი განსაზღვრული ამოცანის გადაწყვეტას ისახავს. სურათებს აერთიანებს ერთი ლითონის კონსტრუქცია, რომელიც ყველა სურათში (გარდა საფინალის) სცენის ცენტრში დგას. მასზე, საჭიროების მიხედვით, ვითარდება მსახიობთა ფიზიკური მოქმედება.

სექტაკლში მაქსიმალურადაა გამოყენებული სინათლის ეფექტები. მაკალიად, I სურათში ფაუსტის ოთახის უკან ფარდა სინათლით იწერება, წინა წითელი ფერის ეფექტიც სინათლითაა შექმნილი და სხვა. ძირითადში გამოყენებულია წითელი, ისფერი და ყვითელი ფერი.

მეტყველია II სურათი. იგი წარმოადგენს სარდაფს და წარმოსახულია კონსტრუქციის შემობრუნებით. აქ ყურადღებას იპყრობს თოკებით შექმნილი კიდული კიბეები, რომელთა საშუალებით ჩამოდიან სარდაფში. ასეთი საფეხურები მფორდება „ვალპურგის ღამეში“ და „კუდიანის სამზარეულოში“.

ორიგინალურადაა ჩაფიქრებული ეკლესიისა და გრეთპების ოთახის სცენები. ისინი ორღანის მიღების გამოყენებით არის განხორციელებული.

ასვე ინტერესს იწვევს ფინალური სცენა. ამ დროს სასცენო მოღვაწი თავისუფლდება კონსტრუქციისაგან, მასზე მოქმედებს მთელი მასა ფიგურებისა, რომლებიც განათლებიან იმავე ფერებით, რითაც კოსტიუმების ესკიზებია შექმნილი.

სტუდენტს თვით ნაწარმოები აძლევს იმის პირობას, რომ უზვად გამოიყენოს ფერწერა, რომელსაც იგი განათების მეშვეობით წარმოადგენს.

გარდასა, წარმოდგენილი ესკიზების ასეთი გადაწყვეტით ნაკლები შესაძლებლობა გვეძლევა განსაზღვროთ სტუდენტის მიერ სცენურ სტრუქტურის თეორიის, წრის დავეგმარების დაუფლების დონე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სადიპლომო ნაწარმოებში ჭეშმარიტად მასაწინა მსატრეული მნიშვნელობის მატარებელია. მისი ავტორი დიდად გვაიმედებს, რომ თეატრში პრაქტიკული მუშაობისას სცენას გამოიყენებს და ესკიზებს საკუთარ ფიქსიციას მისცემს.

თბილისის სამსატკრო აკადემიას მეზობელი მოძვე რესპუბლიკებიდან მოვლინებული არა ერთი ახალგაზრდა გამოუზრდია. და ისინი დიდად საიმედო მსატრებრად დაუბრუნებია მშობლიური ქვეყნისათვის. წლების მანძილზე გრძელდება ეს მეგობრული ურთიერთობა კარგების აღზრდის სურუსა და სპიროს საქმეში. ჩვენი სახელგანთქმული პედაგოგ-მსატრეების მონღომებასა და ზრუნვას, თავის მხრივ, კარგად ამართლებს მოძვე ხალხის ნიჭიერი ახალგაზრდობაც. რომელიც მნიშვნელოვნად ამდიდრებს არა მარტო მშობლიურ მსარეს, არამედ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხესაც.

სადიპლომო ნაწარმოებთა გამოფენაზე მიმდინარე წელს საინტერესოდ წარმოგდა დაღესტნელი ოღუდ მ ი ლ ა ი ბ რ ა გ ი მ ო ვ ა, რო-

მლის სადიპლომო ნაწარმოებმა დადასტურა, რომ მის აღზრდელს კართულ სამსატკრო აკადემიაში ტყეილურბალოდ როდი გაუცდენიათ დრო.

ლ. იბრაგიმოვა მნახველთა სამსჯავროზე გამოიტანა რასულ გამზათვის „მოიულ ქალზე“ შექმნილი მუარად კავლავის 3-მოქმედებიანი ბალეტის ესკიზები.

ინტერესს იწვევს სტუდენტ-დიპლომანტის არჩევანი, რადგან ძნელია მოსწავლისათვის, თუ გნებავთ დიპლომანტისათვისაც, მოძვეის გადაწყვეტა ბალეტისთვის, ე. ი. ისეთი ვანრის ნაწარმოებისათვის, რომლის მოქმედებები ჩასწულია გარკვეულ პირობებსა და კანონებში. მიუხედავად ამისა, ლ. იბრაგიმოვა შესანიშნავად იღვს სირთულეებს და ისეთ ესკიზებს ქმნის, რომლებიც წარმოდგენენ ერთ მილიან, სიუჟეტურად შეკრულ თეატრალურ ნაწარმოებებს. ამ ესკიზებს გარკვეულად გააჩნიათ ინდივიდუალური თვისება, ავტორის ხელწერა, ამასთანავე შესანიშნავად ახასიათებენ მოცემულ პირობებს.

I მოქმედება წარმოადგენს მთიელი გოგონას მშობლიურ სოფელს. სცენის მარცხენა კუთხის წინა პლანზე აგებულია მოცულობიანი დეკორაცია საცხოვრებელი ბინის ფსახადის გამოსახულებით. მას სექტაკლში გარკვეული ფუნქცია გაახიხა კარგადაა გამოყენებული კიბის საფეხურები, რომლებზედაც საინტერესოდ ვითარდება სასცენო მოძრაობები, დეკორაცია დაწერილია თბილ ტონებში. ძირითადად აღებულია იასამინის ფერი. ამ მოქმედების გაფორმება სრულ შესაძლებლობას ქმნის მთიელი გოგონას ასიატის საჭიროებლ ცერემონიის შესასრულებლად.

II მოქმედებაში, როგორც სიუჟეტიდანაც ცნობილი, ქორწინებით უკმაყოფილო გოგონა გარბის ქმრის სახლიდან და თავს აფარებს მთებს. ამ დროს მსატკარი ძალში ტოვებს მხოლოდ გვერდის კულისებს და ცვლის დაწერილ უკანა ფარდას.

კოლორიტულია ფარნებით განა-

თებული ქალაქის ბაღ მესამე მოქმედებაში. აქ ხედებიან ერთმანეთს ასიატი და მასზე შეყვარებული სტუდენტი ვაჟი. აქვე ქმარი კლავს ასიატს. ამ სურათისათვის მხატვარი ფერებს იგივეს ტოვებს, მაგრამ იღებს ცივ ტონებს, რითაც ცდილობს მოსალოდნელი ტრაგედიის გამართლებას.

სკაიზები ლაკონურია და მეტყველი. ყველა მოქმედება გადაწყვეტილია შესაფერისი ფერით. მათში მოსაწონია კომპოზიციური გადაწყვეტა.

მომავალ თეატრალურ მხატვარს ესმის, რომ მან უნდა შექმნას სასცენო ნაწარმოების ისეთი გაფორმება, რომელიც გაამაზვილებს სპექტაკლის შინაარსის მხატვრობას.

კოსტიუმები ორ ფერშია წარმოდგენილი — თეთრსა და წავეში, რაც მთავარი გმირის განწყობილების რეალიზაციას ახდენს. ავტორი ცდილობს შავი ფერებით წარმოსახოს მითილი ქალების ჩამორჩენილობა, მათი სულიერი და ფიზიკური დაბეჭავება, თეთრით კი, პირიქით — მათი შინაგანი ამბოხი, ცდა არტახებიდან თავის დაღწევისა. ამ განსხვავებას დიპლომატი იძლევა

ასიატის მიიდან გამოქცევის შემდეგ.

ლ. იბრაგიმოვას მეორე სადიპლომო ნაშრომია ესკიზები კარლ გოლდონის „ორი ბატონის მასხურისთვის“. იგი ოთხ სურათადაა წარმოდგენილი. სპექტაკლში გამოყენებულია ნახევარწრიული დაზვა, რომელიც სოლივით შეჭრილი ფართობისა და ორი ოთხკუთხა მიედნისაგან შესდგება. მათ შორის (I და II) მოქმედებაში სამოქმედოდ გონებამახვილურადაა გამოყენებული კიბის საფეხურები. მთლიანად სპექტაკლი, ძირითადად იასამნის ფერშია გადაწყვეტილი.

I სურათი წარმოადგენს სასტუმროს ფსაღს, უკანა კედელი გადაწყვეტილია შირმებით. ავტორი სახურავად (რაც მხოლოდ მინიშნებულია) იყენებს დაწერილ კრამიტს. მარცხნივ, კუთხეში, ჰკიდია აბრაწარწერი: „სასტუმრო“ — მარჯვნივ — ფარანი.

II სურათი შირმებშია გადაწყვეტილი. ასეთი გადაწყვეტა კი შესაძლებელს ხდის, რომ მაყურებელმა დამაჯერებლად აღიქვას სასტუმროს ოთახები. სცენის მარჯვენა და მარცხენა კუთხეებში ჰკიდია სურათები, რაც იმ მხრევა საყურადღებო, რომ

სტუდენტი ამ შემთხვევისათვის იცენებს პირველი მოქმედების აზრის კონსტიტუციებს და ასე ბოლომდე, ისინი ხან ფარნებია, ხან ჭაღები და ხანაც სურათები.

კოსტიუმები ეპოქის შესაფერისად, როგორც სტილიზაცია შესრულებული. აქაც ძირითადად იასამნის ფერები რჩება, რომელიც ვარდისფერში გადადის.

საერთოდ, ლ. იბრაგიმოვას სადიპლომო ნაშრომებში გვიხილავს ფერების სიმფონიურობა. ისინი არ არიან ჭრელი და თვითმიზნური.

მიმდინარე წლის სადიპლომო ნაშრომებში თბილისის აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის თეატრალური განყოფილების სტუდენტები ყურადღებას ამახვილებენ მოქმედების ადგილის დამაჯერებელ კონკრეტულობაზე (რაც ესოდენ აუცილებელია სპექტაკლისთვის) და ფერწერის გამოყენების თავისუფლებაზე. რა თქმა უნდა, მათ ვერ კიდევ არ შეუძლიათ სპექტაკლის გაფორმების პრობლემების დამოუკიდებლად გადაწყვეტა და ჩვენ ამას არც მოვითხოვთ მათგან, მაგრამ სასიხარულოა, რომ მათ უკვე გამოამყვანეს თეატრალური მხატვრის შემოქმედებითი სახე.

ხალხურ შემოქმედოთა

ნამუშევრების გამოვნიდან



ა. რულენკო. ქართული სიმღერების მოტივზე.



ზ. მერვლია.

გოგონა.

# ნიკო ფიროსმანაშვილი და

## უხსროთის საზოგადოებრიობა

სერგო თურნავა

უხსროთის კულტურის მოღვაწეები მუდამ ინტერესით ცნობობდნენ ქართული ხალხის ისტორიას, ლიტერატურასა და ხელოვნებას. ისინი დროგამოშვებით ჩამოდიოდნენ ჩვენს ქვეყანაში და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ქართველი ერის შესახებ აქვეყნებდნენ ცალკეულ ნაშრომებს.

შევალოე ჟან შარდენი იყო ის პირველი ფრანგი მოგზაური, რომელმაც ციცილიზებული ევროპას მე-17 საუკუნეში ძვირფასი ცნობები მიაწოდა საქართველოს კულტურაზე, მომდევნო პერიოდში მის ნაშრომებს იყენებდნენ ევროპის გამოჩენილი მწერლები, მეცნიერები და ხელოვნების მუშაკები. დღეს კვლავ გრძელდება საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობანი.

საქართველოში ხელოვნების მთელ რიგ ამინტერესუა პრობლემებზე ნაყოფიერად მუშაობენ შალვა ამირანაშვილი, გიორგი ჯიბლაძე, ვახტანგ ბერიძე და სხვანი.

კერძოდ, შევეჩვენებით აკად. შალვა ამირანაშვილის იმ ნაშრომებს, რომლებმაც აღიარება ჰპოვეს არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც. სახელმწიფო კილი მეცნიერი რამდენიმე ათეული წელია, რაც მუშაობს ქართული ხელოვნების დიდმნიშვნელოვან პრობლემებზე. აკად. შალვა ამირანაშვილმა ღრმა მეცნიერული ანალიზის შედეგად სწორად შეაფასა ნ. ფიროსმანაშვილის შემოქმედებით შემკვიდრება, მისი მხატვრული მნიშვნელობა, სამართლიანად გააკრიტიკა მანამდე არსებული მცდარი შეხედულებანი და გაისაზღვრა სახელგანთქმული მხატვრის ადგილი ქართული ხელოვნების განვითარების ისტორიაში. ჰკვლევარმა წამოაყენა რამდენიმე უტყუარი დებულება, რომლებიც შეიძლება ქვეყნისადმი მივინთოთ მხატვრის შემოქმედებაში. მაგალითად: აგტორი ენება ნ. ფიროსმანაშვილის ნატურმორტების სერიას და წერს, რომ ნახატები ამ სერიიდან გამოირჩევა თავისებურებით, კომპოზიციების ორიგინალობით... ფიროსმანაშვილისეული ნატურმორტების კომპოზიცია, რომელიც კლასიკურ პრინციპზეა აგებული, გავლელვებს თავისი წინასწორებითა და ჩანაფიქრის მხატვრული ერთიანობით, ზოგადად დეტალი (მწკრივად შამფურზე, თევზი, მწვანეადა,

ტიკა წითელი ღვინით) მომწიფებული ოსტატის ხელით არის დაწერილი.

შ. ამირანაშვილის აზრით ნ. ფიროსმანაშვილი არ ყოფილა „პროფესიულად უსუსური“. როგორც ამას წერს ზოგიერთი ხელოვნებათმცოდნე, პირიქით, მისი მხატვრული და ტექნიკური ხერხების შესწავლა ცხადყოფს, რომ ფიროსმანას ჰქონდა მხატვრული გამოსახვის საკუთარი საშუალებანი, საკუთარი ფერწერითი ტექნიკური ხერხები. ყველაფერი ეს მხატვარმა თვითონ შეიძინა, სხვისგან დამოუკიდებლად.

ნ. ფიროსმანაშვილი ნამდვილი ხალხური მხატვარია, რომელიც თავისი ხელოვნებით იმ წოდების ყოფაცხოვრება ასახა, საიდანაც თვითონ გამოვიდა. მისმა გარემოცველმა წრემ მისი სახით საკუთარი მხატვარი ჰპოვა... ნ. ფიროსმანაშვილი სინამდვილეს ასახავდა ყოველგვარი სტილიზაციის გარეშე.

ამაშია ძალა ნ. ფიროსმანაშვილის ბუნებით მომადლებული ნიჭისა, რომელსაც ფესვები ღრმად ჰქონდა გადგმული ხალხურ შემოქმედებაში.

შემოაღინშული ნაშრომი ითარგმნა ჩხეხურ, პოლონურ, რუმინულ, იუგოსლავურ, ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე. სწორედ ამ ნაშრომმა აღუძრა სურვილი უხსროთის კულტურის მოღვაწეებს გაეცნობოდნენ ნიკო ფიროსმანაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას. ევროპის ცხრა ქვეყანაში მოეწყო მხატვრის ნაწარმოებების გამოფენა და ყველგან საკვიფარო აღიარება ჰპოვა. უცხოეთის კულტურის მოღვაწეებმა გაიზარეს ჩვენი სახელოვანი მეცნიერის, აკად. შალვა ამირანაშვილის კონცეფცია.

ნიკო ფიროსმანაშვილის ნახატების გამოფენა პირველად მოეწყო პრატაში (1968 წლის ივლის-აგვისტო), ამავე წლის სექტემბერში—ვარშავაში, 1969 წლის მარტ-აპრილში — პარიზში, ამავე წლის აპრილ-მაისში — ვენაში, 1970 წლის იანვარ-თებერვალში — ბერლინში<sup>2</sup> ხლლი ნოემბერში — დენუდენში, 1971 წლის ოქტომბერში — ზაგრებში, ამავე წლის დეკემბერში — ბუდაპეშტში, ნოემბერში — ბუქარესტში და 1972 წლის იანვარში — კონსტანციაში. ნიკო ფიროსმანაშვილის სურათების



გამოფენას ბუქარესტში დაესწრნენ რუმინეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების გენერალური სამბუოს თავმჯდომარე მ. რომანიუ, რუმინეთის მთავრობისა და ხელისუფლების მოღვაწეები, სსრ კავშირის ბუქარესტის საელჩოს წარმომადგენლები, საზღვაოაგენტის ელჩები, და საელჩოთა დიპლომატიური წარმომადგენლები.

გაზეთში წარმოდგენილ იქნა ნიკო ფიროსმანაშვილის 60 წაწარმოები: გამოფენის მოწყობა დაეკავა საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს შალვა ამირანაშვილს, სურათების სახელმწიფო გალერეის დირექტორს, მხატვარ მ. ყიფიანს. მათ შეარჩიეს და გამოფინეს: „მეფოვე“, „მეთევზე“, „ბათუმი“, „გოიური სააკაძე“, „მდიდარი უშვილი მილიონერი“, „ღარიბი ქალ ბავშვებით“ და სხვა.

გამოფენა მოწყობა ზაგერის ახალი ხელოვნების გალერეის რვა დარბაზში, გამოუშვეს ნ. ფიროსმანაშვილის ნაწარმოება კატალოგი, რომელსაც თან ერთვის აკად. შ. ამირანაშვილის შესავალი წერილი.

გამოფენაზე, რომელსაც დაესწრნენ იუგოსლავიის კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, ოფიციალური წარმომადგენლები, მხატვართა კავშირის წევრები, სსრ კავშირის საელჩოს მუშაეები, სიტყვა წარმოთქა აკად. შალვა ამირანაშვილმა. მან დამაწერეთ უამრო ქართველი მხატვრის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. შ. ამირანაშვილმა, სიტყვების პრესის წარმომადგენელთა თხოვნით გამართა რამდენიმე საუბარი თემაზე: „საქართველოს წვლილი მხატვრული კულტურის საგანძურში“. სიტყვარილი მსჯელობის საგანი იყო თვითნასწავლ მხატვართა შემოქმედების განვითარების პირობები თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში.

ადგილობრივმა და ბელგრადის გაზეთებმა გამოაქვეყნეს რეცენზიები, რომლებშიც მაღალი შეფასება მისცეს ქართველ მხატვარს.

იუგოსლავიის გაზეთებმა აღნიშნეს, რომ ნ. ფიროსმანაშვილის მხატვრული მემკვიდრეობა თავისი შინაგანი ძალით სცილდება საქართველოს საზღვრებს და კავშირის მსოფლიო ხელოვნების საგანძურს.

დადებითი რეცენზიები გამოაქვეყნეს გაზეთებმა „Vecernji List“, „Borba“, „Vjesnik“ და სხვა.

კრიტიკოსი იოზიპ სკუვაკ თავის ერთ-ერთ წერილში ვრცელად მიმოიხილა ქართველი მხატვრის შემოქმედებას, მოაქვს ციტატები აკად. შალვა ამირანაშვილის ნაშრომინდა, იზიარებს ქართველი მეცნიერის შეხედულებებს და დასასვენს, რომ ნ. ფიროსმანაშვილი დასურდალდები მხატვარი, რომელსაც აქვს საკუთარი ტექნიკა, გამოსახვის საკუთარი საშუალებანი და იგი მომავალი შესწავლის ობიექტი უნდა გახდეს.

ასევე გულთხილად მიიღეს ნ. ფიროსმანაშვილის სურათების გამოფენა პოლონეთში. გაზეთებმა გამოაქვეყნეს ვრცელი რეცენზიები, რომლებიც ნათქვამია, რომ ნიკო ფიროსმანაშვილი იყო დიდი პატრონი თვითნასწავლი მხატვარი, რომელიც იცნობდა ქართული მწერლობის, შშობლიური ქვეყნის გმირულ წარსულს. ამიტომ იყო, რომ მან შექმნა შესანიშნავი ტილოები — „გოიური სააკაძე“, „რუსთაველი“, „იერკლემ მერიე“, „თამარ მეფე“. მხატვარი ფუნჯებითა და საღებავებით ხელში დადიოდა სოფლიდან სოფელში. სარდაფებიდ სარდაფში, რესტორნიდან რესტორანში და წყარად აბრებს.

ერთ-ერთმა გაზეთმა ნიკო ფიროსმანაშვილის „ქართული ხელოვნების მღეროვე“ უწოდა.

გაზეთი „Wierciadlo“ 1968 წლის 17 ნოემბრის ნომერში ათავსებს წერილს „ნიკო ფიროსმანაშვილი“, რომელშიც მოკლედ მიმოიხილავს ქართველი მხატვრის შემოქმედებას და აბრებს ფრანგ მხატვრის ანრი რუსოს ამავე წლის 2 ოქტომბრის „ტრიუნა ვალდუმი“ გამოაქვეყნა ვრცელი სტატია, რომელსაც ხელს აწერს პოლონელი ხელოვნებათმცოდნე სოფია კვიცინიცა. იგი არის პლანზე სწვეს ქართველი მხატვრის იმ ტილოებს, რომლებშიც სოციალური საკითხები და ცხოვრებასა სამართა ახასულთ. ავტორი მიუთითებს, რომ უცხოელებმა კვლავ უნდა შესწავლონ ნ. ფიროსმანაშვილი და გამოაქვეყნონ ნაშრომები მის შესახებ.

პოლონეთის მოელმა რიგმა გაზეთმა დადებითი რეცენზიები უძღვნეს ქართველი მხატვრის შემოქმედებას.

ავსტრიის სახვითი ხელოვნების ოთხი დიდი დარბაზი დაიჭირა ნიკო ფიროსმანაშვილის სურათების გამოფენამ ვენაში, რომელსაც დაესწრნენ ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი კურტ ვალდჰაიმი, განათლების მინისტრი პიულ პერცევიტი, ავსტრიის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საბჭოთა კავშირში ფრანკ კარსკი და ხელოვნებისა და მეცნიერების გამომკვირი მოღვაწეები. ჩვენი ქვეყნიდან აქ იყვნენ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი ელჩი ავსტრიაში ბ. პოდცეროტი და საელჩოს სხვა მუშაეები.

გამოფენის გახსნის შემდეგ გამოართა პრესკონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ ავსტრიის პრესის მუშაეები, რომელთა შეკითხვებზე ამომწურავი პასუხი გასცა აკად. შალვა ამირანაშვილმა.

ავსტრიის სახვითი ხელოვნების აკადემიამ გერმანულ ენაზე გამოაქვეყნა ნ. ფიროსმანაშვილის სურათების კატალოგი საქართველოს სსრ კულტურის მინისტრ ო. თაქტაშვილის წინასიტყვაობითა და აკად. შალვა ამირანაშვილის ვრცელი სტატიათი ფიროსმანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

ავსტრიის საზოგადოებრიობა აღფრთოვანებით შეხვდა ქართველ მხატვრის სურათების გამოფენას. აკად. შალვა ამირანაშვილი, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამ გამოფენას, მიგვითხრობს:

„ავსტრიის პრესა აღტაცებით აღნიშნავდა ქართველი ოსტატის შემოქმედების დიდ თავისებურებას, მის უტყარ ერთუნულ, ქართულ სახეს. ავსტრიის პრესამ სასებით მათებულად აღნიშნა, რომ ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედება თავისი შინაგანით და მხატვრული ასახვის ძალით მკვეთრად განსხვავდება სხვა ქვეყნების „გულბურჯილო მხატვრების“ შემოქმედებისაგან. თავისი ხელოვნების უბრალო ენით ქართველი ოსტატი მოგვიხრობს მშობლიური ხალხის ცხოვრების, ზნე ჩვეულებების, მისი ჭირისა და ლხინის ამბებს. გაზეთები ბეჭდვდენ წერილებს სასურებით: „ხალხის მხატვარი საქართველოდან“, „ნიკო ფიროსმანაშვილი აკადემიაში“, „ქართველი რუსო“ და სხვა.

ავსტრიელი მიმომხილველები ერთხმად აღნიშნავენ, რომ დიდი ქართველი ოსტატის შემოქმედება გამსჭკალოლია უბრალო ადამიანისადმი ღრმა სიყვარულით, ქემპარტიტი სიმბრინთა და გასაოცარი ოსტატობით. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ნ. ფიროსმანაშვილის ნაწარმოებთა გამოფენამ ვენაში ერთხელ კიდევ დაადასტურა ის უტყვარი ფაქტი, რომ ქართველი ოსტატი გუფუნის იმ ნიჭიერ მხატვარსა რიცხვს, რომლებიც აღიზნდნენ ხალხური ხელოვნების ტრადიციებზე. ნიკო ფიროსმანაშვილის გამოფენამ მიზნად დასაგელოვ ვერცხის ქვეყნის ყურადღება... ქართველი მხატვრის სურათების ექსპოზიციას ით-

ხოვენ მსოფლიოს ხელოვნების სახელგანთქმული ცენტრები<sup>1,3</sup>

ქართველი მხატვრის გამოფენას სახობო რეცენზიები უძველეს გაზეთებში: „დი პრესეში“ (ავსტრიის დამოუკიდებელი გაზეთი), „ვიენერ ცაიტუნგმა“, „არბაიტერ ცაიტუნგმა“, „ფოლკსპიტემე“ და სხვ.

„დი პრესე“ წერს, რომ ნიკო ფიროსმანაშვილი იყო თქვენსაწყოში, ხალხის წილიდან გამოსული მხატვარი... შეიქმნა 1900-მდე ნახატი, რომლებიც ძალიან საკულის-სნობა<sup>4</sup>.

„ვიენერ ცაიტუნგმა“ 1969 წლის 15 მაისის ნომერში გამოაქვეყნა წერილი სათაური: „საქართველოს მხატვრული ქრონიკა“, რომლის ავტორი აღნიშნავს, რომ პარალელს, ვარშავისა და პარიზის შემდეგ ვენაშიც მოეწყო თვითნასწავლი ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის ნაწარმოებების გამოფენა (სულ 85 ნაწარმოება წარმოდგინილი), მხატვარს და ქაინია შექმნილი 2000-მდე ნახატი, მაგრამ დაკარგულა. შემდეგ ავტორი იქვე მიუთითებს, რომ „ლანდშაფტებში, ჭანჭირის სურათებს და პორტრეტებში მოჩანს რეკლუციამდელი საქართველოს ქრონიკა, გულბთა ყოფცხოვრება, მათი საქმიანობა, დღესასწაულები, ზნეჩვეულებანი.“

აქ გაცოცხლებულია ძველი თბილისის ტიპები... განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს ლანდშაფტის კულისებში დაჭერილი ბუნება. მხატვარი დიდ სიყვარულს ამტკიცებს ცხოვრებისათვის... ნ. ფიროსმანაშვილი მისი სანიშნავად იყენებს მხრწყინაბ ლერებს, სხვაანირად შეისპლიტრა დაღერმილი აღმონებლები...  
ნიკო ფიროსმანაშვილის აქვს საფუძველი შეგნებულად შეიკამათოს აკადემიურად გაზრდილი მხატვარ-კოლეგებს, რომლებიც მას უკულებულყოფდნენ როგორც ამრების მხატვარს...

დღეს ნ. ფიროსმანაშვილის ქმნილებანი ისტორიული მნიშვნელობისაა. მისი ნახატები შორს გატყარცნილი რვე-ნი ეყოფილია პატკიცისკებას იმსაურებს<sup>5</sup>.  
ავსტრიის სოციალისტური პარტიის მეთაარმა ორგანომ გაზეთში „არბაიტერ ცაიტუნგმა“ 1969 წლის 14 მაისის ნომერში მოათავსა გამოჩენილი ავსტრიელი ხელოვნებათმცოდნის ფონ პარლად შტერგის ვრცელი სტატია „საქართველო, დახატული გულბთაყვილი მხატვარის მიერ“. სტატკის ქვემოთ მოთავსებულია ნ. ფიროსმანაშვილის მიერ შესრულებული ნახატი „ავტრისის მარგარიტა“.

ავტორი შესავალ ნაწილში დაბარაკობს იმ ძალაზე, რომელიც ხალხის წილიდან გამოსულ მხატვარს გააჩნია. მისი ნაწარმოებების გამოფენა მოეწყო შილერის მოედანზე, ვენის სამხარკრო აკადემიაში და გაგრძელდა 1969 წლის 31 მაისამდე.  
ფიროსმანაშვილს ტაშს უარადენენ ავსტრიის დედაქალაქში, მან პროფისიონალი მხატვრების ყურადღება მიაპყრო, სიციცხლქვეში კი ვერ პოვა აღიარება. დღეს მიეული მისი ქმნილებანი ინახება საქართველოს ეროვნული ხელოვნების მუზეუმში, ბოლოს ავტორი დასაკენის — ნ. ფიროსმანაშვილი ნამდვილი ხაზოური მხატვარი იყო, იმ გაგებით, როგორც ეს დღეს საბჭოთა კავშირში ესმით. ეს იმიტომ, რომ მის ნახატებში აღწერილია საქართველო, დახატულია მისი ლანდშაფტები, ადამიანები, გმირები, სოფლის ხალხი, მათი ტანსაცმელი, ცხოველები. მხატვარს თავის ტილოებში აღებული აქვს მაღალი პორიუნრჩი, რაც მას საშუალებას აძლევს დახატოს სცენების მთელი პანორამა<sup>6</sup>.

ავსტრიის კომპარტიის მეთაარმა ორგანომ გაზეთში „ფოლკსპიტემე“ ორ ნომერში მოათავსა ვრცელი რეცენზიები ქართველ მხატვარზე. ამ მხრივ სასოჯადობის ყურადღებას იპყრობს 1969 წლის 10 მაისის ნომერში მოთავსებული გამოჩენილი ავსტრიელი ხელოვნებათმცოდნის ფონ ოსკარ ვიზფლგერის ვრცელი წერილი სათაურის ფონ: „ქართველი რუსი“, რომლის პირველ ნაწილში ავტორი გადმოსცემს ქართველი მხატვრის ბიოგრაფიულ ცნობებს, აღწერს ვარშავის, სდაც აღიარება მხატვარი. შემდეგ აღნიშნავს, რომ ფიროსმანაშვილი ძალზე თანხიერება, უბრალოდ და თავისუფლად დახატა სცენები საქართველოს ყოველდღიური ცხოვრებიდან. ხატკავდა, სცენებს მდიდრების ცხოვრებიდან, თავადების ღრუბსა, რა თქმა უნდა, ყველა მისი ნახატი დახატულია არა გულბთაყვილი პორტიოგრაფიის სტილით, არამედ რეალურად, ყოველგვარი სიყალბის გარეშე, იგი ხშირად ირჩევს ისეთ თემას, სდაც ირონიულად დასკინის მდიდრებს, აქ ნათლად ჩანს ვის მხარეზეა მხატვრის სიმპათიები. მის მიერ შესრულებული ნახატები „უშიგროს მილონიერი“ და „ლარბიბი ქალი ბავშვებთან“ ერთმანეთს უპირისპირდებიან. მისი ნახატები კი არ ყვირიან პლაკატებისადა, არამედ თავმდაბლურად გადმოცევენ მხატვრის ჩანაფიქრს. შთამბეჭდავია მის მიერ დახატული ცხოველები, თავისი საშობოლის პიუნაზეები, რაც ჩვენ განსაკუთრებით გავლევებს. წერილის ბოლოს მოთავსებულია ნიკო ფიროსმანაშვილის მიერ 1905 წელს შექმნილი ტილო „ორთაჭალის ტურფა“. იქვე წარწერა დიდი ასოებით „ქართველი რუსის ნახატები პირველიდა გამოფენილი ვენაში“.

როგორც აკად. შალვა ამირანაშვილი წერს, პარიზში ნ. ფიროსმანაშვილის გამოფენის მოწყობის იდეა ვერ იოდე 30-იან წლებში დაიბადა, მაგრამ იგი სხვადასხვა მიზეზების გამო მხოლოდ 1969 წლის მარტში განხორციელდა. პარიზში გაიგზავნა ვაცილები მტკი ექსპონატი, ვიდრე ჩემოსთავიკიასა და პოლონეთში. გაგზავნილი 85 ექსპონატდან 83 საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ეკუთვნის, ორი კი ტრეგაკიკოსი გალერეას.

ამჟამად საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ინახება ნ. ფიროსმანაშვილის 160-მდე ნაწარმოები.

გამოფენას პარიზში, რომელიც საფრანგეთის კულტურის მინისტრმა ანდრე მალრომ გახსნა, ესწრებოდნენ რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი მიშელ დებრე, დეკორატიული ხელოვნების აკადემიის პრეზიდენტი ევერეტი კლაველი პტი; საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი როლანდ ლერუა, პოლტიბიურის წევრები: ვაკ მამბა, გიუი ბესი, გაკ დანი, სსრ კავშირის საერთოს თანამშრომლები და სხვები. გამოფენაზე მოვიდნენ პარიზული ქართველებიც, რომლებიც აღტკაცებით შესვდნენ ქართული ხელოვნების ბრწყინვალე გამარჯვების დღეს.

დღევანდელი ხელოვნების მუზეუმში გამოაქვეყნა ნ. ფიროსმანაშვილის ნახატების დასურათებული კატალოგი, რომელშიც დაბეჭდილი იყო საქართველოს კულტურის მინისტრის ო. თაქაიკიშვილის წინასიტყვაობა და აკად. შალვა ამირანაშვილის ვრცელი წერილი.

როგორც შ. ამირანაშვილი მოგვითხრობს, ანდრე მალრომ განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა ქართველი მხატვრის ნახატებისადმი, იგი ყურადღებით გაეცნო ნ. ფიროსმანაშვილის თითოეულ ნაწარმოებს და აღნიშნა ხელოვნების მხატვრული ხედვის თავისებურება, მისი ეროვნული ხასიათი. ფრანგმა მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიდი ქართველი ხატვის შემოქმედება ორგანულადა დაკავშირებული ხალხური ხელოვნების მხატვრულ ტრადიციასთან, იგი თავისებურადა ასახავს მეთოდს და წარმოადგენს კაცობრიობის ხელოვნების საუკუნე<sup>7</sup>.

გამოფენის გახსნის შემდეგ პრესკონფერენციაზე შალვა ამირანაშვილი ფრანგულ ენაზე გასცა პასუხები

ქურნალობებს, რამაც მათზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

ქართველ მხატვარზე არც ერთ სხვა ქვეყანაში არ დაბეჭდილა იმდენი რეცენზია და წერილი, რამდენიც საფრანგეთში, ყოველივე ეს კი გამოწვეული იყო ნ. ფიროსმანაშვილის აღიარებით.

საბჭოთა კავშირის საელჩოს მრჩეველი კულტურის დარგში არაქი კანსაკი მოვიტყობოთ: „ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის სურათების გამოფენა გაიხსნა ლუერში, ამ სასახლის დეკორატიული ხელოვნებას მუხურობში. გამოფენის გახსნა ფართოდ იყო რეკლამირებული ფრანგულ გაზეთებში. როგორც მოველოდით, გახსნაზე მრავალმა პარიზელმა და სტუმარმა მოიყარა თავი. დილის 11 საათზე გამოფენა საზეიმო ვითარებაში გახსნა საფრანგეთის კულტურის მინისტრმა ანდრე მალრომ, აქვე საბატო წყურთა შორის იყო საბჭოთა კავშირის ელჩი საფრანგეთში ვ. ზორინი.

გამოფენის ხელმძღვანელობდნენ აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი და მხატვარი ზ. ლუგავა. ნ. ფიროსმანაშვილის მომავალივით სურათებთან დიდხანს იდგნენ ელზა ტროლოუ, ლუი არაგონი, ჟაკ პრევერი, არმან ლანუ და სხვები. ქართული კულტურისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს ანდრე მალრო. მან განაცხადა: ჩვენმა მხატვრებმა უნდა ნახონ ნ. ფიროსმანაშვილის გასაოცარი ნამუშევრები და ბევრი რამ ისწავლონ მისგან; პირველ ყოვლისა, ის, თუ როგორ უნდა სასრლოდობდეს მხატვარი მისი მშობელი ხალხის ტრადიციებითა და შინაგანი ბუნებითი.“

საფრანგეთის ეროვნული სამეცნიერო ცენტრის ქურნალმა („რევიუ დე ქართვლოლოჟი“, დირექტორ-რედაქტორი პროფ. კ. სალია) თავის ფურცლებზე დიდი აღაკაინი დაუთმო ნ. ფიროსმანაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედების გაუმჯობესს. ქურნალის 15 გვერდზე მოთავსებული ჩვენი თანამემამულის, ხელოვნებათმცოდნე ნ. თენიშვილის ვრცელი წერილი, რომელშიც ავტორი მოუთხრობს უხელოდ მიკითხვლებს ქართული მხატვრის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ავტორი ყურნობა ნ. ამირანაშვილის ნაწარმოებს, მოკლედ დადგომს მხატვრის ბიოგრაფიულ ცნობებს, ასახათაბს მის შემოქმედებრივ გზას, განსაზღვრებით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ნ. ფიროსმანაშვილის შემოქმედებას ჯეროვანი ყურადღება მიექცა საბჭოთა პერიოდში, როდესაც მას გამოუწუნდა დიდი ჭირისუფლო აკად. შალვა ამირანაშვილიას სახით. ავტორი მიუთითებს 1938-1960 წლებში — თბილისში მოქმედებ ნ. ფიროსმანაშვილის ნაწარმოების გამოფენებზე.

შემდეგ ავტორი წერს, რომ ნ. ფიროსმანაშვილის ხელოვნება ვაცდიდა თავისი სამშობლოს სასურვეს. პარიზის მომავალივით ნ. ფიროსმანაშვილის ნაწარმოებები მართა გულთბილად, არამწიფობრივი სიყვარულითა და პატივისცემით. ამის საილუსტრაციოდ მოაქვს ბერი სანტრეგრეო მასალა საფრანგეთის გაზეთებიდან და ამავე დროს ცნობილი ფრანგი მხატვრების ჩანაწერები. უნდა აღინიშნოს, რომ გამოჩენილმა ფრანგმა ხელოვნებათმცოდნემ ჟან ა. კიომმა 1969 წლის 17 მარტს საფრანგეთის რადიოში მოაწყო გადაცემა ქართველი მხატვრის შემოქმედებაზე. გარდა ამისა, მან ჯერ კიდევ 1962 წლის ქურნალ „კურნი დე ლ, იუნესკოში“ მოათავსა ვრცელი წერილი, რომელშიც წერს: „ბევრ მხატვარს, რომელთა შემოქმედება ძირითადი და უდავოა, ჯერ კიდევ ვერ უპოვია მხატვრობაში შესაფერისი ადგილი, ეს ენება პოპულარულ მხატვარს — ნ. ფიროსმანაშვილს.“

მხატვრის შემოქმედება გაქვლენილია თავისი მშობ-

ლიური ქვეყნის ისტორიითა და ლევნდებით. მან დახატა თანარ მზევი, შთა რუსთაველი და ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციები. დიდი ვატყვებით დახატა შამურგალი აგებული მწიგადი, მწვანელები, თევზები, წითელი ღვინით სავსე ჭიკა და სხვა...“

ავტორი მიმოიხილავს ფიროსმანაშვილის შემოქმედებას და დასძინს: „ნ. ფიროსმანაშვილის ნაწარმოებები ღრმად ეროვნულია, არ შეიძლება თქვას, რომ მხატვარი განვიცდა მისი დროის ევროპული ხელოვნების გავლენას, იგი არც ძველი ფრესკების ტრადიციების გამბეჭდილებულია...“ ბოლოს კი დაასკინს: „ნ. ფიროსმანაშვილის შემოქმედება სცილდება საქართველოს ფარგლებს იგი ტყმნარიტად აღმიაზურე ბუნებით და ნიჭით გვეუენის კაცობრიობის ხელოვნების საგანურს.“<sup>10</sup>.

აქვე უნდა შევნიშოთ, რომ ჯერ კიდევ გამოფენის მოწყობება პარიზში დამა სალონიმ ნ. ფიროსმანაშვილზე მოაწყო საკულტურეო გადაცემა. რომელიც ათი ათასობით პარიზელმა მშრომელმა მოისმინა და იხილა.

ვახუე „ფეგაროში“ საბინ მარსინ ათავსებს წერილს „საქართველოს პოპულარული მხატვარი“, რომელშიც აღნიშნავს, რომ ქართველმა მხატვარმა სადა ენით, უშუალოდ ასახა ძველი თბილისი, თავისი ქვეყნის ბუნება, ცხოველთა სამყარო, საყვარელი სამშობლო, რომელიც თავისი სილამაზით ხიბლავს ფრანგების გულს.

ვახუე „მონდში“ გამოქვეყნდა აკად. შ. ამირანაშვილის სტატია ფიროსმანაშვილზე. ამ გაზეთმა სხვა აღფრთოვანებული რეცენზიებიც დაბეჭდა.

გამორჩეული ფრანგი ხელოვნებათმცოდნე მონიკ დიტერი გახუე „ლ ოროზი“ წერს: ნ. ფიროსმანაშვილი ნატურის პოეტიკა, რწმენით კი მხატვარი. მის ნაწარმოებში ღრმად ჩვენ ვხედავთ, რომ მის დროს საქართველოში განვითარებული იყო ტრადიციული ხელოვნება... მხატვარი ხშირად ეხერხა სოციალურ თემებს... მის ნახატებში პეიზაჟი პერსონაჟების გარდაქმნას ემსახურება. ასეთებია: „ქორწილი კახეთში“, „ქალი, რომელიც ძროხას წყლისა“, „როთელი“, და „ნადიმი ბოლნისში“.

ეს არის წინადა, ცოცხალი, გულწრფელი მხატვრობა; ნ. ფიროსმანაშვილის ხელოვნებას არავითარი საიდუმლოება არა აქვს, იგი ნამდვილი პოპულარული მხატვარია!<sup>11</sup>

„ლუმინატის“ 1969 წლის 14 მარტს ნომერში მოთავსებულია გამოჩენილი კომუნისტური კრიტიკოსის ჟან როლენის ვრცელი რეცენზია „მოხეტიალე — გვარამფიროსმანაშვილი“.

ფრანგი კრიტიკოსი რეცენზიას იწყებს ნ. ფიროსმანაშვილის სიყვებით, რომლებიც მხატვარმა წარმოთქვა 1916 წელს საქართველოს მხატვარსა საწოვადობის ეროვნოთ კრებაზე. როგორც ცნობილია, ნ. ფიროსმანაშვილი მოთხოვდა თბილისის ცენტრში აგებენიანო ხის დიდი სახლი, სადაც მხატვრებს საშუალება ექნებოდათ შეერბილიყვნენ და ემსჯელათ ხელოვნების საკითხებზე. რეცენზიებრი მითითებს, რომ მხატვარს არავინ უფლო ვერ ი, არ გაიზარტეს მისი თაოსნობა. ჟან როლენი სინანულს გამოთქვამს, რომ ქართველი მხატვარი არ არის ნოსისწენული „ხელოვნების ისტორიის“ მოსკოვურ გამოცემაში ფრანგი ხელოვნებათმცოდნის ლუი რომის მიერ ახანავს პარიზში გამოქვეყნებულ კლასიკურ ნაწარმოებს ადაფერია ნათეგანი ნიკო ფიროსმანაშვილის შესახებ.

„ნიკო ფიროსმანაშვილის 85 სურათის გამოფენა, — წერს ჟან როლენი, — გამოსწორებს ამ უსაზრდოებას. ამ სურათების გამოფენამ უცხოური მხატვართა მსოფლიო მნიშვნელობის ვარსკვლავად აქცია. გამოფენა მიეწყო ქალბატონ ფურტყვასა და ანდრე მალროს თაოსნობით.“

შემდეგ ფრანგი კრიტიკოსი ვრცლად ჩერდება მხატვრის ბიოგრაფიაზე, აღწერს იმ ვაგნის, რომელშიც უნდებოდა მას ცხოვრება და მოღვაწეობა. მალე შეუყვამას აძლევს მის ნაწარმოებებს და წერს: „მიყვებოდა რა სახეების ასახვის თავის ბუნებრივ მიდრეკილებას, მხატვარს უყვარდა დაკვირვება თუ როგორ გამოიყურებოდნენ მუქები დღეებისა და სამიტირების. ასე გასდა იგი მხატვარი... ნ. ფიროსმანაშვილი ზეით ხატავდა პორტრეტებს, ჯანრულ სცენებს და სამიტირის აბრებს, ხატავდა მუშაობას, მუყაოს, ფანერას, თუნუქს და სხვა შემთხვევით „მასლებზე“. მხატვრის ბევრი ნაწარმოები დაკარგა.

ხალხის წიაღიდან გამოხული მხატვარი უშუალოდ ცხოვრობდა და იშვიათი სიმართლით ასახავდა მის მიდრეკ თემას... იგი უმისის პატარა ადამიანების მით გაღორცა: ეს არის მოსკოვ მიუსოვე, რომელიც ოცნებობს დიდ საჩუქრებზე, მუშა ზურგით რომ დაათრავს ტიპს, ან კასრს. მხატვრის საუბარი პირდაპირია, სხვა და გულწრფელი. არსებობს ორი ვერსია ორთაპატივის შესახებ. ჩასუწულ ნაწას, რომელიც გოიას „მასას“ პი-ნაში წევს (ამ ნაწარმოებს მხატვარი უთუოდ არ იცნობდა), ხელში ისე უჭირავს შრომანი, როგორც წინადაც — ჰალმის რტო. ქალი, რომელსაც ნ. ფიროსმანაშვილი მხატვრის, ირგალური გვეჩვენება. ესა თუ ის ვაჭარი, ჩინოვნიკი ხშირად უკვეთდა მას თავისი ოჯახის წევრების პორტრეტს და იაფად იღებდა უფლისწულად გადამცემი ნორჩი რევერის გამოსახულებას, ანდა პატარა გოგონას სახეს, რომელიც ისეთივე მეტყველია, როგორც მისი წითელი ბურთი. ნ. ფიროსმანაშვილი არ ცდილობს და ვერც ასწრებს კლენტანსდემი მოიქმნულად მიდგომას, მხატვარი კარგად გრძობს თავს მხოლოდ ტოლ გლეხებსა და ჩაგრულებს შორის. მათთან ურთიერთობა, მადაში სიმპათია ასაკივნებს მას საუკეთესო ნაწარმოებებს, როგორცაა „უშვილო მილიონერი“ და „შვილებიანი ღარიბი ქალი“ — იმ დროის სოციალურ კრიტიკა რომ იძლევა.

ამ ნაწარმოებში ისე როგორც სხვაგან, მხატვარი ჩვეულებით არ ემაყოფილებდა, იგი მოვიგებობს, მიმართავს უბრალო და მეტწილად გაუნათლებელ მაჰორებს... შრომობა და სიხარულის ასახვას მის ნაწარმოებებში ერთვას ჰუმანური დამოკიდებულება, რომელიც მისი-მხატვარს არის გადმოცემული მარტივი ხერხებით. ნ. ფიროსმანაშვილი, რომელსაც ფერწერა არასოდეს უსწავლია, „მიაშიატი“ ხელოვნების საპირისპიროა: სახელდობრ, ისე თუ ხელოვნებისა, როგორცაა მებაჟე რუსოს ნაწარმოებები, რომელიც იცნობდა გოგონს, პიკასოს, სერას, გიომი აპოლინერს... მრავალფეროვანი ფერწერა, სხვადასხვა ხერხი, ყოველივე ეს ქართულმა მხატვარმა არ იცის; იგი ხატავს და საკუთარი უცოდინარობა მან მთოდდ და ხელოვნებად გარდაქმნა... როგორ შეიძლება გვეჩვენე ავუაროთ მის ფერწერას. ნ. ფიროსმანაშვილიმა სხვა მხატვრებთან ერთად არ მისიდა ფაქტკენილი გასს და მისხატვრა აკადემიური მანერა. ერთი რამ აშკარაა: მას აღიწეულად ეკუთვნის მხატვრის წოდება...

ლუი არაგონი წერს: აი, გამოინდა ჩვენს შორის ახალი უცნობი მხატვარი, რომელიც გვიხსნის, თუ რა ურთიერთობა არსებობს შესაძლებლასა და შეუძლებელს შორის...

ქან გიუსარ-მილიემ „ტემუზანაჟ კრტიენში“ ქება უძლენა ქართულ მხატვარს.

ჟურნალ „მარი ფრანსუა“ ანდრე კონე წერს: „ნ. ფიროსმანაშვილიმა დაგვიტოვა საოცარი პოეზიისა და ფერწერის ნაწარმოებები. მისი ნახატები შესრულებულია

უსუტად, კომპოზიცია, ფერები ზომიერია. მხატვარმა იცას შირს ქვერება, ხატავს დეტალებში, რაც მის ნახატებს ინტერესობას აძლევს; ეს არის არაჩვეულებრივი პრიველეგია ხელოვნებისა, ამ მოხეტიალედ და უსწავლელ მხატვარს თავის შრომითიერ კახების სიღრმიდან მოიპყრო მთვრის უსივრცე ტალანტი“<sup>12</sup>.

გამოფენასთან დაკავშირებით ცალკეულ წერილებს ლე ბულთადა ჟურნალ „რევიუ დე ქართოლოლოგიას“ სამეცნიერო საბჭო. გამოჩენილი ისტორიკოსი და ხელოვნებათმცოდნე ლოდა ვალივი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე პრეფ. რენე ლაფონს წერს: „მაკვირვებს, რომ ნ. ფიროსმანაშვილის ნახატებში ყველაფერი ფლტკეებით სუნთქავს. ასეთი სუნთქვა ახასიათებდა რენესანსის ადამიანს, რომლის სწავასი დასეს აღარ გვაყავს. მხატვრის სიზნაღის ცხოვრება, იგი მისი პოულობის სიუფეტკის მინიშნული საქართველო საკუთარი ფუნჯით ცხოვრობდა მსოფლიო არენაზე. ნ. ფიროსმანაშვილი არის მომღერალი მხატვარი, თხრობაში მწიდი, დიდი ცალკების სწორეუპირანი შექმნელი, მისი აბმლვა ზომიერია, აქვს უბრალო თვალთახედვა, არ ახასიათებს ყოყმანი და არც წინდაუწედაობა, ხატავს აღტკენებით, ბუნებრივი ძალითა და სოული მისი ნაწარმოებები წარმოედგება როგორც გადამწყვეტი და მთლიანი“.

მხატვარი ჟეერვან ველიდი აღნიშნავს: „შთამაგონებელია, რომ ჩვენ ვცხოვრობთ გარდამავალ ეპოქაში და ნ. ფიროსმანაშვილი დარჩება მარად ცოცხალი“.

ცნობილი მხატვარი ფილიპ ოსიასოჟ მოგვიხსობს: „პარიზის დეკორატიული ხელოვნების მუზეუმში პირველად ენახე ნ. ფიროსმანაშვილის ორიგინალური ნაწარმოებები. მას ვიცნობდი მხოლოდ გადმოცემით 1920 წლიდან.“

მაშინ იტალიაში ვცხოვრობდი, წინათ ახალგაზრდა რუსი მხატვრები საქართველოს გზით მოდიოდნენ დასაკლობისადაც, ასარლამოსულები დიდი ენთუზიაზმით მიამაზობდნენ ამ ქართველ მხატვარზე.

ახლა კი, როდესაც პირადად ენახე მხატვრის ნაწარმოებები. ნ. ფიროსმანაშვილზე გაკვირებით უფრო კარგი შთაბეჭდილება დამჩრა. ძნელია სიტყვებით გადმოვცე ჩემი აღტკება, მაგრამ შევეცადები რაიმე ვთქვა. ქართველი მხატვარი ძალიან მოკრძალებულია, ხატავს ფართოდ, სრულიად თავისუფლად, თავისი ფუნჯით აღმადართობენილ ფეფეტკს ტოვებს.

ამასთანავე უნდა ვითხარა, რომ ერთმა ჩემმა იტალიელმა მეგობარმა, რომელიც საფრანსოროსი მასხატების დიდი სპეცილისტია კლასიკურ მხატვრობაში, არა მარტო გაიხარა ჩემი ენთუზიაზმი, არამედ ხმაძილვა, მტკიცედ მითხნა: „ეს არის უპირველესი ყოვლისა სიდიადე. ნ. ფიროსმანაშვილის ხელოვნებას თავისი სიმწიფით, უბრალოებითა და სისრულით. ეს არის სამარადისო ხელოვნება“.

ჟურნალი „ფრანს-ურსსი“ 1969 წლის მარტის ნომერში ათავსებს ფრანგი მწერლის არმან ლანჟს წერილს, რომელშიც ქართველ მხატვარს დიხსრული ადგილი აქვს მინიჭებული ხელოვნების ისტორიაში.

გახვთ „კარეფურში“ ფრანკ ელვარი აქვეყნებს წერილს სათაურით: „საქართველოდან მივიღეთ ბრწყინვალე მხატვრის სურათები“, სადაც აღნიშნულია: „ეგრეთ წოდებულნი, გულმტრყოლო, მოხეტიალე მხატვრის ნ. ფიროსმანაშვილის ქმნილებანი მსოფლიოს ეკუთვნის, მისი პიუნაწილი მოგვარებებს იტალიურ პრემიტიულ პერსაფებს. მხატვარს შესანიშნავად აქვს დახატული რთული, ვეგონებთა ყურძნის მტკეწები ციდან ვარდებო, პორტრეტები საოცრად ჰკავს ჩვენი მხატვრის ანრი რუსოს მიერ

შექმნილ პორტრეტებს. ასევე მოსაწონია მის მიერ შექმნილი ცხოველთა ტიპები... მისი ნახატი ყოველთვის ექსპრესიულია. კომპოზიციას ახასიათებს პერსპექტიული მხარმოხიდიანობა, წარმოსახვითი სიგრძე, სადაც ნახაზები იგრუნთება ერთმანეთს, როგორც შესუპყურების მხატვრობაში, ეს კი გასათვარი ორიგინლობაა<sup>12</sup>.

ჯერ კიდევ 1966 წელს ფრანგმა მკვლევარმა ნატალია ერენბერგ-მანატიმა მოათავსა ვრელი წერილი ფრანგულ ჟურნალ „კონსანს დუ მონდს“ ფურცლებზე სათაურით „პორტების გენიალური მხატვარი—ფიროსმანი“. წერილიდან ჩანს, რომ იგი პირადად იცნობდა ნიკოს მხატვლობის ძალიან დაკვირვებულად და გადმოგვცემს საგულისხმო მოსაზრებებს. ავტორს მოჰყავს ის ფაქტორები, რომლებმაც ხელი შეუწვევს ნ. ფიროსმანაშვილის როდესაც მხატვრის ფორმირებას. მკვლევარი სამართლიანად წერს, რომ ნ. ფიროსმანაშვილზე გაღვანა მოახდინა საკართველოს მე-11-14-ე საუკუნეების მშვენიერმა ფრესკებმა: რასაც, ავტორის აზრით, ჩვენი მხატვარი ამჟღავნებს ყველგან და, კერძოდ, კედლის მხატვრობაში. გარდა ამისა, წერს ავტორი, — მხატვარზე გაღვანა მოახდინა ქართულმა ფოლკლორმა, ქართულმა მწერლობამ. მხატვარი ზოგჯერ თავისი ქანაღებებით ახლოს მიიღობს ევგებტისა და სპარსეთის ხელოვნებასთან, აგრეთვე სენსანთან და ანრი რუსთან.

შეუხედავად ამისა, — შეინშავს ავტორი, — ნ. ფიროსმანაშვილს არ ჰქონია კონტაქტი იგივედღელ სამყაროსთან, მან ინტინქტურად გამოიმუშავა თავისი შეხედულება მხატვრებზე, შექმნა შესანიშნავი შედეგები, როგორცაა „უშვილო მილინიერი“ და „ღარიბი ქალი ბავშვებით“, რომელშიც სოციალურ საკითხს აშუქებს.

მკვლევარი შემდეგ აღნიშნავს, რომ საჭიროა უარყოფი მითი იმაზე, თითქოს ნ. ფიროსმანაშვილზე გაღვანა მოხდინოს ფრანგ მხატვრებს — სენსანსა და ანრი რუსს. უდავლოა, — მხატვრობის მკვლევარი, — რომ ქართველ მხატვარს მათთან ბევრი რამ საერთო აქვს, რაც მხოლოდ შემთხვევითია. ასეთ მოჯღერებს სინამდვილეში იშვიათად რომელი აქვს ადგილი, მსგავსი მოვლენები ერთდროულად ჩნდება სხვადასხვა ქვეყანაში. ქართველმა მხატვარმა მათ არსებობა არც კი იცოდა, იგი იყო თვითნასწავლი, გააკავებთ კითხვობდა ქართული ლიტერატურის ნიმუშებს, განსაკუთრებით ლექსებსა და პოემებს.

ნიკო ფიროსმანაშვილი თვითონ იყო პოეტი, სამყაროს პოეტური თვლითი უყურებდა, მხატვრობაში ეძებდა პოეზიას და რთობას. მაშინ მხატვრებს სობოდნენ სინამდვილე დახატვათ ფოტოგრაფიულად, ჩვენი მხატვარი კი ამას არ აკეთებდა, მიუხედავად იმისა, რომ სხვათა გარემოში ცხოვრობდა. ნიკომ ენსულებით შეიკონ ფერწერული მეცნიერება; სხვა დიდოსტატების მსგავსად, მისი ნაწარმოებების კომპოზიცია და პარმონია უხაკლთა, ამას მხატვარს ვერ ვასწავლით. ნ. ფიროსმანაშვილი იკუთვნის გულუბრველო მხატვართა რიგებს, რომელთა შესახებ ნაგებდა განსწავლბი საზოგადოება ფიქრობს, თითქოს მათ არ იციან ხატვა, რაც სწორი არ არის და უსამართლოა, მის ნაწარმოებს ბევრი დიდოსტატი ვერ გაუტოლდება<sup>13</sup>.

გაზეთი „ფიგარო ლიტერი“ 1969 წლის 24 მარტის ნომერში ათავსებს პატარა წერილს, რომელშიც მიმართავს მკითხველებს იყიდან მოციკში გამოცემული წიგნი

„ნ. ფიროსმანაშვილი“, პროფ. შ. ამირანაშვილის შესავალი წერილით ფრანგულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. ასევე 1969 წლის 13 მარტის „ნუველ ლიტერი“ მიმართავს ხალხს იყიდან სანტერესო აღბოში, რომელსაც წამძღვარებული აქვს ნ. ფიროსმანაშვილის შემოქმედების დიდი მცოდნის აკად. შ. ამირანაშვილის წერილი.

1969 წლის 13 მაისის „ლტრ ფრანსუზი“ მოთავსებულია რაულ-ჯან მულერის წერილი, რომელშიც ავტორი ჩვენს მხატვარს უწოდებს ბუნების სიდიადეს. კიდევ შეიძლება შორისი უცხოური გაზეთის დამოწმება, მაგრამ ეს მრავალადაა.

გამოფენა რომ დამთავრდა, „გამოფენის კომისრის“ სახელზე (ასე უწოდებდნენ აკად. შ. ამირანაშვილს ფრანგში) მივადი შრავალი წერილი, რომლებშიც უცხოური კულტურის მიღვაწენი მადლობას უხდოდნენ მეცნიერს ასეთი კარგი გამოფენის მოწყობათვის, სადაც საშუალება მიეცათ გაეცნობოდნენ მათთვის დღემდე უცნობ ქართველ მხატვარს.

უხმით მოტიანიო მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ენსუამ გულთბილად მიიღო ჩვენი მხატვარი. გამოჩენილამ მწერლობა, მხატვრება, კრიტიკისებამ ნ. ფიროსმანაშვილს მალალი შეფასება მისცა, მათ გაიზარეს ჩვენი სახელმწიფეობით მკვლევარის შალვა ამირანაშვილის დებულებები.

ქართველი მხატვარი ნიკო ფიროსმანაშვილის ნაწარმოებების საქვეყნო აღიარება მჭიდროდა დაკავშირებული აკად. შ. ამირანაშვილის სახელობას, მან დაიკვა და მეცნიერულად შეისწავლა მხატვრის შემკვიდრება, ხოლო ამ შემკვიდრების მსოფლიო ასპარეზზე გატანა ქართული სამბეთა ხელოვნების მორიგი ტრიუმფია.

**შენიშვნები:**

- <sup>1</sup> შალვა ამირანაშვილი, „ქართული ხელოვნების ისტორია“, „ხელოვნება“, 1971 წ., გვ. 497.
- <sup>2</sup> ვახუშტის „წიგნის დიანონდამა“, „უბრინერ ცაიტუნგმა“, ნაიკონალ ცაიტუნგმა, „წიგნის ცაიტუნგმა“, რატუნგობი, რომლებშიც მალალი შეფასება მიესცეს ნიკო ფიროსმანაშვილის ნაწარმოებებს.
- <sup>3</sup> შალვა ამირანაშვილი, „პარიზის შემდეგ — ვენა“, „კომუნისტი“, 1969 წ., 26 ეგლისი.
- <sup>4</sup> „Die Presse, (Unabhängige Zeitung für Österreich), № 6327, vom 12 Mai 1969, S. 4.
- <sup>5</sup> „Wiener Zeitung“, № 112, vom 15 Mai, 1969, S. 6.
- <sup>6</sup> „Arbeiter Zeitung, Wien, vom 14 Mai, № 111, 1969, S. 8.
- <sup>7</sup> შალვა ამირანაშვილი, „მხატვრის უკვდავება“, „კომუნისტი“, 21 მარტი, 1969 წ.
- <sup>8</sup> იბ. „კომუნისტი“, 12 მარტი, 1969 წ., ზ. რცხილაძის ინტერვიუ არქივ კაზნისკისთან.
- <sup>9</sup> N. Tenchvili, „Exposition des oeuvres du peintre géorgien Niko Pirosmanachvili à Paris“, „Revue de Kartvelologie, vol. XXVI, Paris, 1969, p. 228-241.
- <sup>10</sup> Jean A. Keim. „Niko Pirosmanachvili, maître méconnu de la peinture naïve“, „Le Courrier de l'Unesco“, 128, 1962.
- <sup>11</sup> „L'aurora“, du 13 mars, 1969.
- <sup>12</sup> „Marie Firance“ du 20 mars, 1969.
- <sup>13</sup> Frank Elgar, „Un peintre candide qui nous vient de Georgie, „Carrefour“, du 13 mars, 1969.

ხალხური სიმღერების გამოცემები.



# ხალხური შემოქმედების სამსახურში

ნაყოფიერად მუშაობს საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლი, რომელიც შესაფერის პირობებს უკმნის თვითმოქმედ კომპოზიტორებსა და პოეტებს, მხატვრული კითხვის ოსტატებსა და მსახიობებს, მხატვრებს, მომღერლებს, მოცეკვავეებსა და შემოქმედებით კოლექტივებს. იგი მობილიზებას უკეთებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაქსაქსულ შემოქმედებით ძალებს, ეცნობა და თავს უყურის თანამედროვე ფოლკლორის ნიმუშებს, არეგულირებს ხალხური შემოქმედების მძლავრ მიმართებას.

ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის ინიციატივითა და ორგანიზაციით სისტემატურად იმართება სარაიონო და რესპუბლიკური მნიშვნელობის დათვალურიენიანი, ოლიმპიადები, კონკურსები.

ერთი სიტყვით, ეს ორგანიზაცია დიდ ეროვნულ საქმეს ემსახურება, ღრმად აქვს გააზრებული თავისი კეთილშობილი და პატრიოტული მისია — თვითმყოფადი ხალხური კულტურის მოვლა-პატრონობა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის დირექტორის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის

კომპოზიტორ მიხეილ ჩირინაშვილის წვლილი. იგი თავდადებით ემსახურება ხალხური შემოქმედების განვითარებას, ერთმანეთს უთავსებს ორგანიზაციულსა და შემოქმედებით ამოცანებს, ზრუნავს ცალკეულ შემსრულებლებსა თუ შემოქმედებით კოლექტივებზე, მათ რეპერტუარზე, საშესრულებელ ხარისხზე, ზრდა-განვითარებაზე.

ამის ნათელი დადასტურებაა ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის მიერ გამოცემული კრებულები, რომლებშიც თავმოყრილია ქართული მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშები. ეს ლიტერატურა განკუთვნილია თვითმოქმედი საგუნდო კოლექტივების რეპერტუარის გამრავალფეროვნებისა და გაფართოებისათვის. მაგრამ მხოლოდ ამით როდი ამოიწურება აღნიშნული კრებულების მნიშვნელობა. დასამალი როდია, ჩვენში ცოტაა ხალხური სიმღერების კრებულები, ნაკლებად ისტამბება უნიკალური ფოლკლორული მასალა. ამ თვალსაზრისით ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლი ერთგვარად ავსებს ხარვეზს, რითაც უსუოდ დიდ სამსახურს უწევს მთელ ქართულ მუსიკალურ კულტურას.

ჩვენს ხელთ არის ხალხური შე-

მოქმედების რესპუბლიკური სახლის მიერ სხვადასხვა დროს გამოცემული საქართველოს მრავალი კუთხის ხალხური სიმღერები, რომლებიც ცალკე გამოიცა. ასე გამოქვეყნდა სიმღერები: „ყანასვი ყიფიანე“, „გზავრული“, „ორდაშუ“, „ბაილ-ბეთილი“, „ჭიჭე ტურა“, „ჩაგუნა“, „გზავრული და ცერული“, „ლაქღაშა“, „წუნდისური ენწურეფი“, „ამირანის ფერხული“, „სალხინო ფერხული“ და სხვა. ეს გამოცემები 1963 წლითაა დათარიღებული და ძირითადად სხვაურ-შეგორი მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშებს შეიცავენ. ამათგან სიმღერები „ამირანის ფერხული“, „წუნდისური ენწურეფი“, „ჩაგუნა“, „ორდაშუ“ თვით მიხეილ ჩირინაშვილმა ჩაწერა, დანარჩენები კი — გრიგოლ კოკლაძემ. სიმღერა „ბაილ-ბეთილი“ ვ. მახარაძეს ჩაუწერია. ამრიგად, კომპოზიტორი მ. ჩირინაშვილი ფოლკლორულ მოღვაწეობასაც ეწევა და ამითაც თვალსაზრისით წვლილი შეაქვს ეროვნული მუსიკალური კულტურის განვითარებაში.

შემდეგ ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა ხალხური სიმღერების კრებულების გამოქვეყნებაც ითავა. 1970 წელს გამოიცა 5

კრებული (79 სიმღერით), რომელ-ც აღმოსავლეთ საქართველოს მუსიკალური ფოლკლორია მუხომიყრილი. კრებული ჟანრების მიხედვითაა შედგენილი (შრომის, სუფრული, საფერხლო და საცეკვაო, საყოფიერო, ლაშქრული და საწყსო, ისტორიული და საგმირო). მათში შესულია გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების ზ. ფალიაშვილის, დ. არაყიშვილის, ი. ვარგარეთის, ზ. ჩხიკვაძის, ა. ბენაშვილისა და გრ. ჩხიკვაძის მიერ ჩაწერილი სიმღერები. აღნიშნული კრებულები შედგენილია ვლ. ჭუმბურიძის მიერ, მუსიკალური რედაქტორია მ. ჩირინაშვილი, ლიტერატურული რედაქტორი — გ. გრიგოლიშვილი.

1971 წელს საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა გამოაქვეყნა ქართული ხალხური სიმღერების საკმაოდ ვრცელი კრებული, რომელშიც 60 იმერული ხალხური სიმღერაა გაერთიანებული. კრებული 4 ნაწილისაგან შედგება: 1. სუფრული, 2. შრომის, 3. სახუმარო და ლირიკული, 4. საყოფიერო, სამგზაო-ლაშქრული და საწყსო სიმღერები. მასში შესულია გრ. კოკელაძის, ვ. ცაგარეიშვილის, ზ. გველეხიანის, გ. თხელიძის, ნ. სვიციას, მ. ჩირინაშვილის, ზ. ფალიაშვილის, დ. არაყიშვილის, ს. სეზუსა, ა. მეგრელიძის, ედ. სავიცკის, დ. მესხის, შ. მშველიძის, ბ. კვერნაძის, ვ. მახარაძის, ს. ფალაგანაშვილის მიერ ჩაწერილი სიმღერები (შემდგენილია

ვლ. ჭუმბურიძე, მუსიკალური რედაქტორი — მ. ჩირინაშვილი, ლიტერატურული რედაქტორი — გრ. გრიგოლიშვილი).

1972 წელს ვლ. ჭუმბურიძემ შეადგინა ქართული ხალხური სიმღერების კიდევ ერთი კრებული. ამჟერად იგი მეგრულ მუსიკალურ ფოლკლორის მიეძღვნა. მასში 64 ხალხური სიმღერაა შესული. კრებული ასევე განრების მიხედვითაა დაყოფილი: შრომის, მგზავრული, საყოფიერო, საწყსო, სახუმარო, სატრფიალო, სუფრული, საფერხლო (რედაქტორები — მ. ჩირინაშვილი და გრ. გრიგოლიშვილი).

სასიამოვნოა, რომ საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლი მომავალშიც გააგრძელებს ამ ფრიად სერიოზულსა და უაღრესად ნაყოფიერ მუშაობას. იგი თანდათანობით გამოსცემს საქართველოს ყველა კუთხის ხალხურ სიმღერებს, გამოაქვეყნებს ქართული ფოლკლორის ახალ ნიმუშებს, პროპაგანდის გაუწევს თანამედროვეობის სულისკვთებით გამსჭვალულ ქმნილებებს.

შესწავლის ფაზაშია აგრეთვე ქართული ხალხური ქორეოგრაფია. საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა ამ მხრივაც სერიოზული მუშაობა ჩაატარა და თავისი წვლილი შეიტანა უნიკალური ქორეოგრაფიული კულტურის ათვისებაში. გამოსცა ქორეოგრაფიული ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწის


აგთანდლო თათარაძის ორი მეთოდური ხასიათის ნაშრომი: ქართული ხალხური ცეკვების მოკლე მიმოხილვა და ძველი ქართული (სვანური) ფერხულები.

ავტორი აღწერს ქართული ხალხური ქორეოგრაფიის ძირითად ჟანრებს, ცალკეულ ცეკვებს, აღნიშნავს მათ სამუსერულელო თავისებურებებს, კომპოზიციურ აგებულებას, ილეთებს, დეტალურად ახალიზებს სხეულის ყოველ მოძრაობას. რაღა აქმა უნდა, ყოველივე ეს დიდ დახმარებას უწევს რესპუბლიკის ქორეოგრაფიულ ჯგუფებსა თუ კოლექტივებს, რათა სწორად და საფუძვლიანად აითვისონ ხალხური ქორეოგრაფიის ძვირფასი ტრადიციები.

არანაკლებ საყურადღებოა ქორეოგრაფიული სტუდიისათვის განკუთვნილი პროგრამაც. ამჟერადაც ა. თათარაძე ღრმა ცოდნითა და მთელი სერიოზულობით მოეცადა საყურადღებო საქმეს. მან ჩამოაყალიბა ქართული ხალხური ცეკვების შესწავლის მთელი კურსი, შეადგინა სასწავლო რეპერტუარი, სწავლების მეთოდიკა, მეცადინეობის სისტემა, საფარჯიშოები. პროგრამას დაერთვის მუსიკალური მასალა, რომელიც ამა თუ იმ ილეთისა თუ ვარჯიშის შესრულებისთვისაა განკუთვნილი.

საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ სახლს ვგვამნი აქვს ეროვნული ქორეოგრაფიის შემდგომი შესწავლა და პროპაგანდა.

მ. ა.



ხალხური სიმღერების კრებულები.

# უნივერსიტეტის ალფრდილთა გამოფენაზე

ირინე აბესაძე



მოწმობების გადაცემა კურსდამთავრებულთათვის.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე რამდენიმე წელია არსებობს ხელოვნების მეორადი ფაკულტეტი, სადაც ახალგაზრდები გამოცდილი პედაგოგების, ცნობილი მხატვრების, მოქანდაკეების, მუსიკოსების, რეჟისორების და სხვათა ხელმძღვანელობით ეუფლებიან დიდი ხელოვნების დარგებს.

ეს მათი გატაცებაა, რომელსაც ისინი ძირითადი პროფესიის გარდა მისდევენ სწავლისაგან თავისუფალ დროს.

წელს მათი პირველი გამოშვება იყო. ახალგაზრდა მხატვრებმა, მოქანდაკეებმა და გრაფიკოსებმა ნამუშევრები ფართო სამსჯავროზე წარადგინეს. ახალგაზრდებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ ხელოვნების მეორადი ფაკულტეტის დამთავრების მოწმობები.

თბილისის სახელმწიფო უნივერ-

სიტეტის მთავარი კორპუსის დერეფანში მოწყობილ გამოფენაზე წარმოდგენილია 24 ფერტილო, 3 ქანდაკება და 39 გრაფიკული ნამუშევარი. ახალგაზრდობა თავისუფლად ფლობს სახვითი ხელოვნების ქვაკუთხედებს: ფერს, ხასხას და მოცულობას, ცდილობს სრულად გამოავლინოს მათი კომპოზიციური და ემოციური დატვირთვის შესაძლებლობანი, ეძებს გამოსახვის ახალ-ასალ საშუალებებს; ახალგაზრდები ცდილობენ, ეძიებენ და მათი ცდაც სწორი გზით მიმართეს პედაგოგებმა.

ფერწერულ ტილოებს თუ გადახედავთ, ვნახავთ, რომ თემატურად ჭარბობს პეიზაჟი. ცოტაა პორტრეტი, ნატურმორტი და ჟანრბირთვი კომპოზიციები. სასურველი კი იყო გამოფენა უფრო მრავალფეროვანი ყოფილიყო.

პეიზაჟის გადმოცემაში ახალგა-

ზრდები სწორად უდგებიან ამოცანას. ბუნებას გადმოსცემენ მის მაცოცხლებელ ძალასთან — ადამიანთან ურთიერთობაში.

საქართველოს მთიანი რაიონების (სვანეთისა და მთა-თუშეთის) გრანდიოზული ხედები, სვანურ ეზოებსა თუ თუშეთის იალაღებზე მიმოფანტული ცხვრის ფარა, მეცხვარეები, ჭრელ-ჭრელი სამსით აცოცხლებენ დიპლომანტ ა. ოცხელის კომპოზიციებს („მუღმივი ძახილი“, „სვანური ეზო“, „სვანეთი“, „თუშეთი“).

მხატვარი გართული არ არის დეტალებით. იგი მხოლოდ სხეულთა ძირითად აბრისს იძლევა და ლაქების საშუალებით ამტკიცებებს მათ. ბუნების მკვიდრთა მცირე ფიგურები კონტრასტულია სვანეთის გოლიათურ მთებთან და კომპეტთან. სწორედ მათი (მთებისა და კოშკების) ზედაპირი გამოუყენებია მხატვარს



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების მეორადი ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა ნამუშევრების გამოფენაზე.

სხვადასხვა ფერთა პალიტრისათვის, მაგრამ ფერთა ინტენსივობა რბილ ტონალობაშია გადმოცემული.

ძველი თბილისის კუთხეების გადმოცემისას ახალგაზრდა ხელოვანი ლ. დადიანი უფექტის მიღწევას ერთხელ უკვე ნაცადი ხერხების გამოყენებით, ქალაქის ეგზოტიკურობის ხაზგასმით, კი არ ცდილობს, არამედ აქცენტზე ქალაქის ძველი უბნების ყველაზე ნორჩ მკვიდრთა — ბავშვების გამოსახვაზე გადააქვს, რომლებიც თავიანთი ჭვილ-ხვილით აცოცხლებენ მიყრუებულ ქუჩაბანდებს („ჩვენი ქუჩა“, „ძველი თბილისი“, „ეზო“).

საინტერესოა „ინას“ პორტრეტი. მწვანე და ყვითელი სიმრტყეებისაგან შექმნილ ფონზე რელიეფურად იკვეთება ახალგაზრდა ქალიშვილის ოდნავ სევდიანი, დაფიქრებული სახე. მას წითელი კაბა აცვია, მხრებზე კი შავი თავმალი ახურავს, რაც კოლორიტულად კარგად არის მოქმენილი და უშუალობას ანიჭებს პორტრეტს, მაგრამ ხასიათი ჯერ კიდევ სრულად არ არის გახსნილი, არ არის ნაპოვნი შესატყვისი ფსიქოლოგიური ქარგა. ამისთვის მხატვარს ოდნავ მეტა ყურადღება უნდა გამოეჩინა მიდოლისადმი.

ფერტილი „შემოდგომა“ ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ავტორი ფერთი მეტყველებს. შემოდგომის პეიზაჟი ინტენსიური ცვეცლისფერი, წითელი, მწვანე, ყვითელი და ლურჯი ფერებითაა გადაწყვეტილი. ეს მედელი, კონტრასტული ფერები ტილოზე ფუნჯის მსუყე, ფართო, თავისუფალი მონასმებით არის დადებული.

ნ. მეტრეველის ტილოებში ყურადღება ეთმობა შუქ-ჩრდილის მონაცვლეობას, ნათელი და ბნელი უბეების ტილოზე სწორ განლაგებას („ძველი თბილისი“, „ქუჩა“, „პეიზაჟი“).

მხატვრის პეიზაჟები, ქალაქის ხედები დაუსასლებელი და მდუმარეა. მშვიდა ფერები. ჩამავალი მზის სხივები ხსუსტად ციმციმებენ სახლის კედლებზე, სახურავებსა და ჩაღის ფერ მიწაზე. მომწვანო-ლურჯ დრუმლებსაც კი შერევია ეს ფერი („ქუჩა“).

ა. ბაშნურიძე სწრაფი მოძრაობის გადმოცემით დაინტერესებულა და ყველა საშუალებას მიმართავს მის გამოსაკვეთად. დასაფასებელია, რომ ახალგაზრდა მხატვარი მონუმენტურად ხედავს საგნებს. ტილოებში „დღის წინ“ და „ჭიდაობა“ იგი გა-

დმოსცემს ცხენების სწრაფ მოძრაობას, მოჭიდავეთა და მათ გულშემატკივართა დაუკებელ, მოზღვავებულ ენერჯიას, ტემპერამენტს, მაგრამ იგი წინა და უკანა პლანზე, რატომღაც ძალიან ბევრ ფერს ხმარობს, რითაც იტვირთება ტილო. მით უფრო, რომ ეს ფერები არ ესადაგებიან კომპოზიციის საერთო ფერაღოვან ქარგას („ჭიდაობა“).

ი. მერაბიშვილმა ორი პორტრეტი წარმოადგინა გამოფენაზე: „მოხუცი“ და „ნორჩ მხატვარ — ბიტი ლოლაძის პორტრეტი“. იგი ყურადღებას ამახვილებს სახის ფსიქოლოგიურ გახსნაზე და შედეგსაც აღწევს. ამ მხრივ საინტერესოა ბიტი ლოლაძის პორტრეტი. ნორჩი მხატვარი წარმოდგენილია მუსულმანდურ თავისი ნამუშევრების ფონზე. მას ძალიან მეტყველი თვალები აქვს. გრძობით, რომ ბიჭუნა სამყაროს თავისებურად, მხატვრულად აღიქვამს, ეს მის ნამუშევრებზეც მოჩანს, რომელიც ავტორს ფონად გამოუყენებია. ფერთა გამა ზომიერი და სადაა.

ი. გაბრიელაშვილი დეტალურად ამოწურს „ნატურმორტის“ თითოეულ საგანს. მასზე გამოსხულია სოფლის სამზარეულოს ერთი კუთხე. თაროზე გადაფარებულია არ-

შემაჯობებელი თეთრი ქაღალდი და  
წმელ მუკლავებულა კაპონა ქოთ-  
ნები. იქვე ნივრისა და წიწკაის ატმა  
ჰკიდა. მაგიდაზე დევს ხურჯინი,  
რომლიდანაც თავი ამოუყვით პარ-  
თულ პურებსა და თეთრი დობიან-  
ლით თავდახურულ ქოთანს. ხურჯი-  
ნის წინ ღვინით სასვე დოქია, წი-  
ნა პლანზე კი გამოსახულია თევში  
საჭაპურის ნაჭრებითა და ჰქია ღვინ-  
ით. ავტორი გემოვნებით არჩევს  
ფერებს და დიდი გულისყურით გვი-  
დება ასახს საგნებს. მაგრამ საგან-  
თი დამუშავება კიდევ ბევრს მოითო-  
ხვოს, განსაკუთრებით ეს ეხება წინა  
პლანის საგნებს.

რ. კუპრინიშვილი კი საგნებს ყო-  
ველგვარი დეტალოზაციის გარეშე  
ნატავს. ძირითადად მათ ფერადგვა-  
ნი აქცენტებით გამოყოფს. მისასა-  
მებელია თავისუფალი ხედვა, მაგ-  
რამ მაინც სასურველი იქნებოდა,  
თუ მომავალი მხატვარი მეტ ყუ-  
რადღებას მიაქცევდა ნახატს. მის  
სხვა ტილოებში („ქვის მთლები“  
და „მოსუცი“) ეს ხარვეზი შესებუ-  
ლია.

ქანდაკება სამი ნამუშევრით არის  
წარმოდგენილი. ესენია თანატოლ  
მეგობართა სკულპტურული პორტ-  
რეტები : პ. ელიზბარაშვილის —  
„მედეა“, ა. ესაკიას „ნელი“ და მ.  
კობაიძის „დის პორტრეტი“.

სკულპტურულ პორტრეტში რთუ-  
ლია სახის ფსიქოლოგიური გახსნა.  
ასალგაზრდებმა თავი გაართვეს  
ძნელ ამოცანას. ამ მხრივ განსაკუთ-  
რებით საინტერესოა ა. ესაკიას  
სკულპტურული პორტრეტი „ნელი“.  
მოქანდაკეს თამამად ამოუყვანია  
ფორმები. აქცენტირებულია ყვრიმა-  
ლის ძვლები, ოდნავ კეხიანი ცხვირი,  
მოკუმული ტუჩები. აზრია ჩაქსოვი-  
ლი ქალიშვილის სახეში. პირისახის  
მოდელირება შუქ-ჩრდილის მისუბეჭი  
მონაცვლეობითაა მიღწეული.

„მედეას“ სახის გადაწყვეტაში  
ავტორი თითქოს გრაფიკულ-საზომ-  
რივი მანერით ქმნის ქალიშვილის  
შთამბეჭდავ სახეს. ქალიშვილის მზე-  
რა ჩვენს მიღმა დაცურავს. იგი ერთი  
წუთით გამოუთიშა ყოველდღიურ

ცხოვრებას და დაფიქრდა. ეს წუთი-  
ური ჩაფიქრება დაიჭირა და დამა-  
ჯერებლად ასახა მოქანდაკემ.

ძალიან თბილად, სახის ნაკვეთ-  
ბის რბილი მოდელირებით, გამოკვე-  
თა თავისი „დის“ ხასიათი მაგული  
კობაიძემ.

გამოყენაზე ძალიან ძლიერია  
გრაფიკა. აქ წარმოდგენილი ხუთი  
გრაფიკოსის ნაწარმოებები გვარძე-  
ნებზე ავტორთა ძალებში, გრაფიკუ-  
ლი ხერხების თავისუფალ ფლობაში.

მონუმენტური, ემოციური და  
პლასტიკური გ. რამიშვილის გრა-  
ფიკული ფურცლები. იგი შესანიშნა-  
ვად ფლობს სახს. სკულპტურულად  
ნაქურწის შთამბეჭდილებას ტოვებენ  
ადამიანთა სხეულები. ადამიანი  
ძლიერია („გამარჯვებულნი“) და  
ნაზივ („შემორჩენილი ყვავილები“,  
„ვერ შვა მჩნიეს“), იგი აზრთა  
მპყრობელია („კიდევაც დაიზრდებ-  
ბიან“, კოსმოსის დამპყრობია  
და „XX საუკუნე“, „დაიდგურვლები“)

ა. ბამანურიძე.

და კვლავ სიყვარული, სიყვარული  
ღამაში ასულისა („თოვის სურნელი“,  
„შემოდგომის მზე“) და სიყვარული  
მშობელი მიწისა („მიწის სურნელი“,  
„ზღვარი“). ვლადიმერ რამიშვი-  
ლის ეს გრაფიკული ფურცლები დი-  
დებული ჰიმნია ადამიანობისა.

ნ. ამბროსოვა ძუნწი, ლაკონიური  
შტრიხებით ემოციურად ასურათებს  
ქართულ ხალხურ ზღაპარს „რამის  
შვილი“. კუთხოვანი, პლასტიკური,  
მყარი და ლაპიდარული კომპოზი-  
ციები.

რუსული ხალხური ზღაპრისთვის  
„ცარენა ლიაგუშკა“ სწორი გასა-  
ლელი მოუძებნია ნ. ბიჭაშვილს. ბ.  
სარქიანიანის თბილისის ხედვები და  
ო. ცხვედაძის სოფლის პეიზაჟები  
კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ.

თბილისის სახელმწიფო უნივერ-  
სიტეტის გამოყენაზე წარმოდგენი-  
ლი ნაწარმოებები მუშაობენ, რომ  
უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულ-  
ტეტის კურსდამთავრებულთა სა-  
ხით საინჟინო ძალა იზრდება.

დოლის წინ.



სოფლის ღამე. ვარსკვლავებით მოქედოლი ცა. ისმის ჭრიკი-  
ნების ღამეული კრუალი. ეს თითქმის ვარსკვლავების იღვამილი  
გალობაცაა. საღღაც „აალილოს“ მღერაან, ურეიო მიკრიალებს,  
წისქვილი ხმაურობს, მგზავრი მილიდინებს. მავანი მავანს ერთი  
მთოდან მეორეზე გასახას.

პირველი. ე, ჰე, ჰეი! ვერა ნახე?  
მეორე. ვერა, ვერა!  
პირველი. გემინია?  
მეორე. ბილიკს ვეძებ. უღრან ტყეში მარტო ვარ, ძნე-  
ლია...

პირველი. იმღერე და აღარ შეგეშინდება! ჩემსავით  
იმღერე! ნუ გემინია, მეც მეშინია! (საღღაც ტყიან  
მთებში ცალ-ცალკე მოსიარულე ორი ადამიანი ერთ-  
მანეთს სიმღერით ამნევენებს. მთავა ექო სიმღერას  
ამრავლებს. სიმღერა მიწყნარდა. ისმის ხერინვა. მო-  
შორებით ანთებული სინათლის მკრთალი შუქი ღან-  
დად აჩენს დიდი ხის ძირას მიწოლილ კეჭოს. იქვე  
ყარამანი ღოდს აბურთავებს).

ყარამანი. არც ისე ძნელი ყოფილა ამის აწევა (ქვას  
დადებს). აფსუს, რა ღონე მიცდება? დევესს უნდა  
ვეჭიდებოდე. ნუთი წლისა რომ მომნათლეს, პირველი  
აღსარების სათქმელად ასე გვიან ალბათ იმიტომ გა-  
მომიშვეს. ო, რა სიწუშაა. სინავეთ მკვდრებს, ცოცხ-  
ლებსაც სინავეთ. ეს ჩემი ძმაკაციც ისე ხერინავს,  
რომ... (კეჭოს ყურში ჩაუღლიონებს) სოფლელებო,  
გაიღვიძეთ, რა დროს თქვენი ძილია, მთავრობა თვა-  
ლეს გინრმავევებო, გამოყვიცეთ თვალ-ყურია, ვა, ჰეი,  
რანინა, და! კეჭოუკა, კეჭოული, კეჭო! ჰეი, კარის მე-  
ზობელო, გვიღვიძეთ ასე რაფრად დაგეძინა, შე ღმერთ-  
გამწყრალო?

კეჭო. (ძილბურანში) ჰმ, არ მინდა, არა! ზიარება მში-  
ერმა უნდა მიდიღოსო. ძალღვიცთა მშია, მარა რა  
გქნა! (ხან ხერინავს, ხან ცხვირით უსტკენს, ზოგჯერ  
კან იშმუშუნება). ჰმ, არ მინდა, არა!

ყარამანი. ვინ რას გაძალებს, რომ არ ვინდა? გვი-  
ღვიძე! დაგავიწყდა, რა დაგვაძაბეს? პირველი აღსა-  
რების სათქმელად ვინც მიდის, მთელი ღამე უნდა იფ-  
ხიწოსო. ღმერთის ასე უთვე ღამეს? დაგჯისს.

კეჭო. ჰმ! სად არის ღმერთი? თუ არის, ალბათ ახლა  
ინახავს სძინავს.

ყარამანი. ღმერთს რა დააძინებს? სხვა რომ არაფერი,  
შენ ისე ხერინავ.

კეჭო. დამანებე თავი! (გადამბრუნდება და ისევ ხერინ-  
ავს ამოუშვებს).

ყარამანი. კეჭოული, გვიღვიძე, ბიჭო, მომეწყინა მარ-  
ტო!

კეჭო. ჭოტიერთი რომ დაგიჭყეტა თვალები, შენც ქვე  
ღდითხე. დამაცადე, ყარამანა! მე ღმერთი კი არა  
ვარ, მთელი ღამე ვიფხიწო? სახამ ვკლესის კარ-  
ზე მიკრული ის ჩვენი საწითლები დეიწვევა, თვალს  
მოვატყუებ. შენც მოატყუე.

ყარამანი. რას ვერჩი ამ პატიოსან თვალებს, თვარა,  
კაი შენ. ვიღაც ვიღაცეები ჩვენ რომ გვატყუებენ, ის  
არ გვეყოფა? იმათი ჯაგრი, ჰევენს თვალბეზე ვიყა-  
რით? კაი, კაი, იძინე! მე ვუღარაჯებ საწითლებსაც და  
ღმერთსაც. (კეჭო კვლავ ხერინავს) ეპ, არის ვითომ  
ღმერთი? ერთი ანგელოზი რომ არის ნამდვილად ვი-  
ცი... გულჩინო. ჩემი გულჩინო... გულჩინო... (მით-  
ვლითა. ისმის შორეული ხანა. სიმღერის ხმა ორი ადა-  
მიანის ხერინვამ დაფარა. უცებ სოფლის წყნარი ღა-  
მე კვილაშა შესრდა).

ბაპაი გეშაძე

შუაზე გაყოფილი

ცრემლი

კოხეღია

მოქმედი პირნი:

- ამბროლა — გუფხი
- ელისაბედი — ამბროლანს მეუღლე
- ყარამანი — მათი ვაჟი, 17-18 წლისა
- კეჭო — ყარამანის თანატოლი და კარის მეზობელი
- კირილე — მღვდელი
- გულჩინო — კირილეს ქალიშვილი
- ქალი, რომელიც გულჩინოს ჰყავს
- არტემი
- დარჩო
- უცნობი
- კონტო
- კოქლი ბიჭი
- ახმახი ყარაღი
- ქონდარა ყარაღი
- მევედელი
- ყარამანიზე ქალაქელი
- ერთი მხახიოს რამდენიმე როლის თამაშე შეუძლია.

ხალხის ყიციანა. არიკა, უშველეთ, იწვის! (ატყდ-  
ბა დიდი და პატარა ზარების თავზარდამტეხი რეკა)  
ეკლესია იწვის, ეკლესია! არიკა წყალი! (ხმაური კარ-  
გა ხანს გრძელდება. ხალხი კოყბით გარბი-გამორ-  
ბის ყველა შემოთვებულია, დაბნეულობა იგრნობა).

ვიღუპებით! ეკლესია იწვის, უშველეთ!  
კირილე. (მორბის ჯვარშემართული და ანაფორას მო-  
აზრახუნებს). წმინდა ტაძარს ცეცხლი ვინ წაუკიდა,  
ვინ?

ხმა. არ ვიცი! არავინ არ იცის! ღმერთო, გვიშველე!  
მეორედ მოსვლა იწყება!

კეჭო. (დამფრთხალი იღვიძებს). ვაი?! ყარამანა, ყა-  
რო! (ფხვს წაქარავს) ღმერთის დარაჯო, გვიღვიძე!

ყარამანი. (ძილბურანს უცებ ვერ დააღწია თავი) რა  
მოსხდა, ჰა, რა მოხდა?!

კეჭო. თვალს გაახილე, ვიწვით, ბიჭო... ხედავ?  
ყარამანი. უი?! ღვთის რისხვას ვეღარ გადავურჩე-  
ბით.

კეჭო. შე ღმერთადლო, ღვთის რისხვას ვინ ჩივის,

აკი გეწამე ორმოცდაათი წლისა ვახ-  
და. შიდაღარა მისი შემოქმედებითი ბიო-  
გრაფია: სამამულო ომის დროს ფრონ-  
ტულ ლეკებს აქვეყნებდა, შემდეგ მო-  
თხრობები, რომანები და პიესები და-  
ბეჭდა. ამჟამად ქართულად და რუსუ-  
ლად გამოცემული აქვს ოცზე მეტი წიგ-  
ნი, ნაყოფიერად მუშაობს დრამატურ-  
გიაში. რესპუბლიკურ კონკურსებზე პრე-  
მირებულია მისი ოთხი პიესა: „მზე  
ცრემლში“, „სულხან-საბა“, „წმინდანები  
ჯოჯობეთში“ და „პაემანი ცაში“. დრამა-  
ტული პოემა „წმინდანები ჯოჯობეთში“  
მოსკოვის საგასტროლო თეატრშიც დაი-  
ბეჭდა. ამ პიესის წარმოდგენებმა რამდენიმე  
რესპუბლიკური და სამი საკავშირო  
ჯილდო დაიმსახურეს.

ა. გეწამე აქვეყნებს წერილებს თეატ-  
რალურ საკითხებზე, თარგმნის პიესებს,  
მოთხრობებს, ლექსებს.

ჟურნალ „სახვითა ხელოვნების“ რე-  
დაქცია მწერალს ულოცავს დაბადების  
ნახევარწლისეულს და მკითხველს სთავაზობს  
მის კომედიას „შუაზე გაყოფილი ცრემ-  
ლი“.



ხალხი ჩაგვქოლავს. ფხა გამოვიჩინოთ და გვიპაროთ.  
(*ისმის ხალხის ყვირთი*).

ყ არ ა მ ა ნ ი. ხალხნი შეფერიოთ, ვითომ ცეცხლის ჩასაქ-  
რობად ჩვენ პირველი მოცუნესუკულით. არიქა, უმ-  
ველეთ!

ქ ე შ ო. ეკლესიას ემშაკები დაეპატრონენ, არიქა!  
ყ არ ა მ ა ნ ი. ალური ემშაკებს! ტარტაროზმა ეკლესიას  
ცეცხლი წაუკიდა! ალური კუდიანებს! წყალი ჩქარა!  
ქაჯებს თვალბეში ჩაასხით და დააბრბავეთ! ე, გარბიან,  
გარბიან წყულები! (*ყვირთ თანდათან დაცხრა. ხალ-  
ხი ცარიელი კოკებით მიმასლაათობს. ცალკე მოდის  
შეშფოთებული ამბროლა*).

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. (*ამბროლას შემოიღოვით მივარდება*)  
ვაიმე, ამბროლა, კაცო, ყარამანიკა სად არის, ყარა-  
მანიკა? დევიღუკეთ, დაგეწავა?

ა მ ბ რ ო ლ ა. სუ გეშინია, გვერ ნახშირის აგროვებს.  
ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ხალხი რას ამბობს, ცეცხლი ვინ წა-  
კიდაო?

ა მ ბ რ ო ლ ა. ვერ გაიგეს, ჯერჯერობით გადავრჩით, მარა,  
ღმერთის სად გაეცევი? ვითომ დაგნალება რამე? უჰ,  
დედა!

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ამისთვის გამოვგზავნე? ღმერთო შეუნდე!  
ა მ ბ რ ო ლ ა. ქალო, არაყინ გაგიგონოს! კირილე მღვდელ-  
ლი მტერს გადაეკიდა. აგერ დაჯექი, სული მოითქვი!  
ჰი, ეგრე.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. რა მეშველება? ღმერთო, შემიწეი!  
ასე თუ დიწყო, ქვეყნიერებას გადასწავს ეგ დასაწ-  
ვაჟი!

ა მ ბ რ ო ლ ა. გაჩუმდი, ქალო! ხალხმა ვერაფერი გეიგო  
და შენ ვინდა გააკვიბინო?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. მე სომ ვიცი, მე, სასიკვდილემ! თუ უკე-

თისი არ გამოვიდოდა, რატომ არ დამეწვა მაგის აკ-  
ვანი?!

ა მ ბ რ ო ლ ა. გაჩუმდი, დედაკაცო, ეკლესიის ეზოში ნუ  
იწყევლები! ელისაბედი არა ხარ, შენ?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. (*დაინახავს ყარამანს*). ბიჭო, მოდი  
ჩემთან! შენ რატომ გამოვგზავნეს აქ, ღმერთს ღამე  
უთიეთ, თუ...

ყ არ ა მ ა ნ ი. რა ჩემი ბრალია, დედა არ მომიკვებდა, ეკ-  
სტოუკამ მითხრა, სანთლები ეკლესიის კარზე მივა-  
მავროთო, მერე წამით თვალმა მომაცხუვა და...

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. რავა დაგწყევლო, მარა, შენ მოუკვდი  
დედაშენს! უიმე, რა მეშველება, რა! ეს რამხელა ცოდ-  
ვა ჩაიდინა ჩემმა შვილმა, ღმერთო, შეუნდე!

ყ არ ა მ ა ნ ი. ბუერი კი არაფერი გაფუჭებულა, ერთი ხე-  
ლის დადებამე კარია გამოწმწვარი. იმ ხერელში კეჭო-  
უას თავიც არ გატეგვა.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. სამაგიეროდ ემშაკები შეიპარებთან და  
ალსარების სათქმელად რომ შეხვალ, მღვდლის ად-  
გილზე ისინი დაგცდებიან.

ყ არ ა მ ა ნ ი. იმ ნახვრეტში პატარა ემშაკა თუ მოა-  
ხერხა შერძომა, კი უნდა, პატარა ემშაკს კი ხელად  
დავაატვრევ რებს.

ა მ ბ რ ო ლ ა. სადაც პატარა ემშაკი გაეტევა, იქ არც  
დიდს გაუჭირდება გაძრომა, ვიცი მე ეს. ღმერთო არ  
ურევია, შვილო, შენს გაჩენაში. ასე ალღოლეტარა რო-  
დემდე უნდა იყო? უჰ, შე უკამჩენი!

ყ არ ა მ ა ნ ი. (*უკან იხვეს, მამამ არ დამარტყასო*). თუ  
ჩემ გაჩენაში ღმერთი არ ურევია, ღმერთისთვის რამის  
სათვება რატომღა გამომგზავნენ? ვინ არის ღმერთი?  
ვიცნობ, მიტნობს? არ მინდა აღსარების თქმა, კირი-  
ლე მღვდელთან სულ არ მივალ!

ამბროლა. ცვეკვითა და სიმღერით მიხვალ. (გამონდა გულჩინო).

კირილე. შვილო, გულჩინო, შენ რაღა გინდა აქ? გული იხე. რა მოხდა, მამა, გკლესია გაქურდეს?

კირილე. ჩუქურთმიანი კარი დაღეფა, ჩემო გულჩინო. გული იხე. ვინ წაუკიდა ცეცხლი?

კირილე. ეტყობა, ავმა სულმა ვემაკი მოგვიგზავნა. (ყარამანი გულჩინოს მიაშტრდა) ხალხო, ავბედითი ამბავი დატრიალდა. ილიცო, ხალხო, ილიცო! ვისაც აღსარება არ უთქვამს და ზაიარება არ მოუღია, ახლავე მოვიდეს! (ბუტბუტით მიდის).

ელისაბედო. გვიფთხე, შვილო? ა, მიდი ახლავე და უთხარი აღსარება! უზარებულად სიარული აღარ გარეგია. (ყარამანი ბილიცზე მიმავალ გულჩინოს მიმტერებია) არ გეგურება ჩემი სიტყვა?

ამბროლა. აქეთ მოხვალე, ბიჭო, სულ ეშმაკებისკენ ნუ გაგირიბის თვალე!

ყარამანი. უშმაკს რა უნახვს, ანგელოზო. ელისაბედო. ვე ანგელოზი მღვდლის ქალიშვილია და სამწიფო არ არის. წაიდი ახლა, დედა, და რასაც მღვდელი გკითხავს, წერილ-წერილად ჩოუქნებე. პირველად ყველაფერს შეგინდობს. იცოდე, თუ მოატყუე, ჯოჯოხეთის ცეცხლი დაგწავს.

ყარამანი. გულჩინოსათვის მე ჯოჯოხეთის ცეცხლში ჩაყარდნასაც არ მოვერიდები.

ამბროლა. გონს მოიდი, თავგაზაბანულო! მამაუფალი მოჩვენებით დაგტანავს.

ყარამანი. ისეთ რამეს ნუ შეტყვით ხოლმე! ა, შიშმა ამაკანკალა. (ჩაჯდება, ხელების თავზე დაიფარება და ციბრუტეით დატრიალდება). მუშინია, მუშინია! გინდათ ძქუვა გადამიბრუნდეს?

ამბროლა. ნუ ბერიკაობ, გიციობ, რა ღვთისგან შერისსულიც ხარ.

ყარამანი. მამა, კირილე მღვდლის კაიკაცობა არ მუწამს და რა უნა? მაგასე დიდი ტარტაროზი დედა-მეწაის ზურგზე არ დადის მტონია. ის ანგელოზი გოგო, ეტყობა, მაგისი არც არის.

ელისაბედო. დედა? ჩემი სიკვდილი! რას ამბობ, შვილო?!

ამბროლა. ღმერთს ნუ სცოდავ, ბიჭო, მღვდლის ღანძრვას უფალი არ გააპატებს. მიდი ახლა, ხელი არ მომაკიდებინო, თვარა შუაზე გაგდლინავს.

ელისაბედო. (მამა-შვილშუა ჩადგება) ამბროლა, კაცი, დღეს მაინც ნუ გალახავ. (ყარამანს ეფერება) წაიდი, შვილო, წაიდი! შენც უნებ, მამა შენი!

ამბროლა. კაი, თქვენე თუ გინდათ, მივალ.

ამბროლა. პოდა, ეგრე! მე წყაროსთან დაგელოდები. (მიდის. ელისაბედი პირჯვრის წერით და ბუტბუტით მიუტყვება. ყარამანს კეჭო შემოუგება).

ყარამანი. შენ კიდევ აქ ხარ?

კეჭო. ახლა უფრო უნდა ვილოცოთ. ჩვენც გადავრჩით და ეკლესიაც.

ყარამანი. რა ვქანათ, მამა?

კეჭო. რა უნდა ვქანათ, მოვედეთ. აგერ მე აღსარების სათქმელად პირიც ქვე დავიხანე.

ყარამანი. აღსარება რომ არ გქონდეს სათქმელი, ისე არ დებიანდი, შე შვეტო?

კეჭო. იპ, ყოველთვის თუ პირი ვიხანე...  
ყარამანი. წუხანდელი ამბავი ვფიქრობ, თუ...  
კეჭო. გედვირიე?! ამ ცოდვას ვინ შეგინდობს?! კირილე ხატზე გადაგვცემს ორივეს. ხომ გვიფთხე შენი უერთ: ეშმაკების ნამამაძალდებიაო. ასე ჰგონია.

ყარამანი. ღმერთი ყოვლისმომტკეველიაო. ვთქვით, რა უშახს.

კეჭო. შენი ხელით იჭრი ყელს? ღმერთია ყველა ცოდვის შემდგომი, კირილე მღვდელი კი არა. ამ ამბავს გულში ჩვიდებს და ყოფას გვიტრებს. მამარგვმა მითხრა: ღმერთი ყველაფერს ხედავს, მარა, არავის არაფერს ეუნებიაო. კირილე მღვდელი კი მოვერიდით.

ყარამანი. აა, შენ შედი პირველი.

კეჭო. რავა გეკადრება, ყარამანი ბატონო, სამი დღე-ნახევრი უფროსი ხარ. (ყარამანი ხელს მიაჩქერებს და მიდის) არ შეგეშინდეს, მიდი, მიდი! შენი ცოდვებისთვის ეკლესიის გუმბათი რომ თავზე არ ჩამოგვეცქეს, მე კედელს მოვაჭვები. (ხისქვეშ ჩამოჯდება მარტო). ეკლესიაში შესული ყარამანი გულჩინოს ანიშნებს ჩახვლებით, მოვედო. მღვდელი ანიშნებს, დაიჩქოვო. შერე ცალი ხელით ჭვარს დაიჭვოს, მეორეს ყარამანს დაადებს თავზე. ყარამანი ჭვარს კოცნის რამდენჯერმე და გოცემული თერება აქით-ოქით.

კირილე. ძეო ღვთისათ, შენ სულიერი მამას აუწყე ყოველი, რა ცოდავც ჩავიდეინა. რაიმე თუ მოგიპარავს?

ყარამანი. ცოდილი ვარ, მამაო. ერთხელ თვალი მოვკარი: ჩემი კარისმეზობელი კეჭოუკა ჩალაძე თავის მკავეზე მსხალზე აპორტყებულყოფი და ჩემს მწიფე ხალხს შეეცქვოდა. მეო, კეჭოს მსხალი რომ დამწიფდა, მე ჩემ ბალზე ავდილიდი და კეჭოს თავლა მსხალსა გჭამდი. ერთხელავ მე და კეჭოუკა მაჩვის ხერულით თადეოვას ვენახში შევიპარეთ და ისე გამოვიგვევრდით, ღობის ნახვრეტში ვეღარ გამოვივრეტით და მუცლები ღობეზე ძლივს გადამოვთარიეთ.

კირილე. ღმერთმა შეგინდოს, ამინ! ვინმე თუ მოგიკლავს?

ყარამანი. კი, მამაო, ცოდილი ვარ. (კირილემ გაიოცა) კეჭოუკას მამის, ლუკია ბიძიას ხედი კატა შემომიხვდა. რძეს ვსეულავდი და ჯამში ტუჩი ჩამივი, წაილდი ვროფე თავში. მაშინვე მამაბა ფეხები. რომ მახსენდება, ახლაც ცრემლი გაჭრება: თავებებს ვერ იჭერდა, მარა, კნავილი იცოდა კარგი.

კირილე. შვილო ჩემო, კატის მოკლავა დიდი ყოდავა, მაგრამ ფათორაკით შემოგვეცდენია და შეგინდა, უფალმა. ამინ! ბიჭო, იქნებ შენ იცი, ეკლესიას ცეცხლი ვინ წაუკიდა?

ყარამანი. ვიცი, მამაო... კი... კე... კე... (უცებ) კუდიანმა ეშმაკმა, რომელმაც თქვენი ხოლმან ისეუპა.

კირილე. შვილო ჩემო, რაღაც მოგლანდებია.

ყარამანი. ღამით გარეთ გამოვიხედე და თვალი მოვკარი: ასეთი, (მღვდლის წვერებზე ანიშნებს) თინს-წვერებთან, თქვენი ჭიშკარზე გადმოგვა და ეკლესიისაკენ მიუკურცხლა, თან მამხალს მოაბრდვია-ლებდა.

კირილე. ჩემ ჭიშკარზე?

ყარამანი. ნამდვილად, მამაო, თქვენს მაღალ ჭიშკარზე.

კირილე. მოგლანდებია, მოგლანდებია! წაწამს ეშმაკის არსებობა?

ყარამანი. (გაზეპირებულად) ქვეყანა ეშმაკობითა სასუქო ღობედ იშვითად ჩანან. ზოგი ეშმაკი თურმე წიხნდა ტაძარშიც ახერხებს შეძრომას. უფლის ხალხს წიხნელ ეშმაკის გარდა ვინ წაუკიდებდა ცეცხლს? არიან თურმე წერილი და მსხვილი ეშმაკები. წერილი ეშმაკების დაჭერასა და დასჯას ხალხს ზოგჯერ ახერხებს. მსხვილი ეშმაკები კი ყველა ნახვრეტში ახერხებენ გაძრომას.

კირილე. ვე შენ ვინ გასწავლა?!

ყარამანი. ხალხში გავიგონე, მამაო. მაგრამ უმძაჭუხე ძლიერია ღმერთი, დელოცის მისი სახელი! წუხელიც ჩვენი ეკლესია ღმერთმა არ გადაარჩინა?

კირილე. ეგ ჭეშმარიტებება, შვილო ჩემო. თუ გიბრუნა?

ყარამანი. (მორცხვად) არა, მამაო. სიყვარულით კი ერთი ვინმე მიყვარს.

კირილე. კეთილი, კეთილი! სიყვარულს ღმერთი გვასწავლის.

ყარამანი. მეც და შენც ერთი სალოცავი გვყავს.

კირილე. რა თქმა უნდა, შვილო ჩემო, მეც და შენც მუდამ ღმერთზე უნდა ვილოცოთ.

ყარამანი. მამაო, მოდი, ასე დავთქვათ: შენ, წმინდა კაცმა, მუდამ ღმერთზე ილოცე, მე ცოდილი კი ანგერლზე ვილოცებ.

კირილე. ეგ მომწონს, შვილო ჩემო.

ყარამანი. შენ ზეციერ მამაზე ილოცე, მამაო, მე კი შენს ანგერლზე ვიგონე, გულწინივე ვილოცებ მუდამ. ჩემი პირველი სალოცავი ის არის.

კირილე. ეგ უშვას შეუცდენისარ, ყარამანა ყანთელაძე! (ჯვარს წარატყავს).

ყარამანი. ყველა ეშმაკი თუ გულჩინოს ჰგავს, ანგერლში როგორია მამინ?

კირილე. გირჩევნია, გულჩინო ახლავე ამოიგოდ გულიდან! აქამდე რომ გიყვარდა, ეგ ცოდა უფალმა შეგინდოს! (ხელი ყარამანის ყურისკენ უნებლიეთ გაქცა და მისწი-მისწია).

ყარამანი. მამაო, თუ ღმერთი სიყვარულს გვასწავლის, რატომღაა სიყვარული ცოდა?

კირილე. შენ რეგენი ვერიკელა ხარ და იმითმ არ იცი. წადი ახლა შინ, წყნარად წადი, თავი არ დამაწყვედო! ეტყობა, შენს ნათესა ეშმაკი დასწრებია...

ყარამანი. შენი მონათლული ვარ, მამაო. ხუთი წლის ვიყავი, რომ მომნათლე. არ გასთვს? შენმა წვერებმა ისე შემამინა, გახდა არც მინდოდა. შარვალს ორივე ხელით ჩავეტიდე. ჯერ ერთ ხელში ჩამიჩხრიალეს ფულით, მეორე — მეორემი: შაქარი-ყინული იყიდლო. ფულით სახეც ხელები შარვალს ვეღარ მოვიკიდე და ქვე ჩაბადეს.

კირილე. რა დროს ეგ არის?

ყარამანი. თურმე, როცა ორივე ხელს ფულით გაგივსებენ, შარვალსაც იოლად გაგზნობა და სინდის-ნამუსსაც ადვილად დაგაკრვინებენ.

კირილე. ემარა, წადი! რაც აქამდე ცოდა მოგყავა, ყველა შეგინდოს უფალმა. აღარ მიდინარ? წადი და შენც დღეს ილოცე!

ყარამანი. (მღვდლს ხელზე ჰკოცნის). შეიღ წელიწადს ვილოცებ, მამაო, და სულ გულწინით.

კირილე. მომშორდი, თორემ!.. (ჯვარს შემართავს, უნდა დაარტყას, გადაიფიქრებს, ყურში ჩაავლებს ხელს და ფეხს აუქნევს, ლაშის თვითონ წაიქცეს).

ყარამანი. (გაიქცა და შემობრუნდა). მამაო კირილე, კაჟა! (კვლავ გაიქცა).

კეჭო. (ეკლესიიდან გამოქცეულ ყარამანს მიეგება). დო-უაჟეჟ ყველაფერი? (ყარამანი ყურს ისრებს, თან იციხის). რა გინარია, ბიჭო?

ყარამანი. რა ცოდავც გაუკუმიხილე, ყველა შემინდო. მამადღეს, ისე ვატყობ, მოლად ტყუილებიც რომ უფობრა, ყველაფერს დაგიჯივრებს, თუ თვითონ მისი საზარალო არაფერია. ალბათ, ჩვენისთავი მამაც ატყუებენ, ეგ კი ღმერთს ატყუებს. შედი ახლა შენ. ეშ-

მაკის ფეხო, შენ იმდენი ცოდავც გაქცე, ერთმანეთზე რომ დასალავო, ახალი დიდი გვლესია აშენდება.

კეჭო. მეზე, ხო მ ცოდეების ტაპირი იქნება, შე უტვინო? (კეჭო მოიკუნტა და პირჯვრისწერით წავიდა).

ყარამანი. (შურგზე აწვიდა ორივე ხელით). ნუ გემინია, ახლა კედელს მე მოვაწვიებ.

ამბროლა. (ყარამანს მიეგება). მოაქვს ორი თოხი და გულა). მოხვედი, ყარანა? უჩიარე, შვილო?

ყარამანი. ააა, ააა! მთელი თასი ზედამე კინაღამ მარტო მე შევხვებო.

ამბროლა. ოჰო, მეზე ქვე რას დიდგულობ, შე კაი კაცო? გინარია, ბიჭი რომ აღარ გეთქმის?

ყარამანი. აი, სასწაული?! ბიჭი ვითომ რატომ აღარ მეთქმის? აღსარებას ერთბაშად კი არ გაუვურდივარ?

ამბროლა. ბუნა, ჭი, კაცი უჩიარე, რაღა დროს შენი აწვილაკაობა. ჯანი ვერჩის და ჩემზე ღინიერი ხარ. სოფლის ბიჭებსა და ლოდებს ერთნისად რომ აბურთავებს, მაგ ლენეს საქმის გზა უნდა. ამიერიდან იმ ცულუტ კეჭუნიკასთან ალთა-ბალთა სირხისა თავი უნდა დაანებო, ვაივო?

ყარამანი. ააა, შინ დავკვლდე?

ამბროლა. შინ დასაკუთვლად გაგზარდე სწორედ, კი, რავა არა. მამაშენს ასი ხელი რომ ჰქონდეს, ის უნდა.

ყარამანი. შენი ხბოობა დამთავრდა, შვილო, და მოხვალა დეოქო. დღევანდ ცხოვრების უღელში უნდა შეგება.

ყარამანი. რას მეტყვინებ?

ამბროლა. რავა, არ გინდა უღელში შეგება?

ყარამანი. უღელი ღირსა სძულს და კაცს რომ არ უყვარდეს, დასაძრახია?

ამბროლა. თვითონ მამაკუთვრებმა დავიწევა ადამიანებს: სანამ ცოცხლობი, უღელიც უნდა დატაროთ.

ყარამანი. მამა, ჩვენი ბორბორის რომ მივიყვანო კირილე მღვდელთან საზარებულად, ისიც უცებ მოხვრალად იქცევა და უღელში შეგებამ?

ამბროლა. თავქარიანო, ა, ეს მოვიყვანე შენ ჭკუაზე. (თოხს აწვილს).

ყარამანი. რას მიპირებ, მამა?

ამბროლა. დღემშენს შენთვისაც მოვატანინე. ამიერიდან ეს თოხი საკუთრად შენი იქნება.

ყარამანი. არ მინდა თოხი!

ამბროლა. გამომართვი, ნუ გემინია, თოხმა გბენა არ იცის. ეს გულა ჯერ შენ წამოვიდე, მეზე მეც შეგეშველები. ორივეს საგზალია შავი. ახლა წვედილი ყანაში, ერთად ვიონით სიმინდი. (ჯოხს დაიჭერს და მხარზე თოხგადებულთ მიდის). გამომევიდე, ვაჟაკო!

ელეთ-მელეთ რომ აქცეებ თვალებს, წინ დღივიდე, ქვას ფეხი არ წამოჭკრა.

ყარამანი. დღეი! სა მახარია იმ დაწვედილმა! უცებ უღელში გამყოფინა თავი! (თოხს წაშლიანად დაანარტყებს) მოვიკედეს გამჭედი!

ამბროლა. ქვე რა ხერი, ადაშუკა მჭედელს, ზიარება-სავით თონია.

ყარამანი. იმ ზიარებასავით კი... (ფეხთორვეით მიკყვება).

ამბროლა. ვაჟაკო, მატყლის ფეხები ხომ არ გამოგება? რაფარა გვეყვება მუხლები? საშეშაკლო რა-ცა მიზიხარა, მამაო მთელი ვერ დავგეწევა და ახლა ღმერთი გაგიწავს? კეჭოკა რომ მოგაგებოდეს გვერდით, კურდღლს გასაწავს. უჰ, შე უგამჩნეო! გამართო მუხლი და გამოქცაჩრე! გასაყინი მუხლი! საშეშაკლო მიღუღნული ვასვლა ვის გაუგონია?! სულ უნდა იოღორად და ვერაფერი დაგლდა. (სიმღერას



წამოიწყებთ? პე, ამეყვი, ცხოვრება მამაჩემს, თვარა! (ყარამანი აპყვა. მისი სიმღერა მოთქმას უფრო ჰკავს, თითქოს დაკარგულ ბედნიერ სიყმაწვილს მისტერიო-სი). უი შენ და წულკავი! ნუ მომტერი, ჯერ არ მინას-ვენებე! გულიანად იმღერე, შე უკვირო, გულიანად! (ყარამანი მღერის. დრო იწვლიდა და გზიდან გადა-უსვია). პეი, ყარანა, წად დამეკარგე?

ყ არ ა მ ა ნ ი. აგერა ვარ, წაღვანი მოშლილი და ვაყვებო.

ა მ ბ რ ო ლ ა. პაი, დეღია! წელან არ იყო მოშლილი და ასე უცებ ქვე რა ეშმაკმა დაანგრია? გამოუჩქარე! (ყარამანი ზანტად მოვიდა) შეილო, ამ ჯობს უყურებ?

ყ არ ა მ ა ნ ი. ბრმა კი არა ვარ, ვუყურებ.

ა მ ბ რ ო ლ ა. ეს უსულუო ჯობს შენზე უფრო მარგია, რომ დაკოლოლები, ზედ ჩამოგვეკიდები და ჩამოვივლებ მაინც. შენზე თუ შემიძლია ჩამოყრდნობა? ზოგჯერაც ამ ჯობზე უფას ჩამოვივლებ. შენზე თუ შემიძლია ჩემი სიბერე ჩამოვივლი? პატარაობისას კისერზე რომ შეგისიცი, ჩამოსვლას აღარ აპირებ? ბიჭუნას ადვილად დაჭარბებდი, ამბელა მურტრუს ვეღარ გერევი, ვერა! ისე უნ გაიხიდი საქმეს, სოფელში გაგონის თვალებზე შექანი ჩამოვივხატო.

ყ არ ა მ ა ნ ი. სასირცხვილო ჯერ არაფერი გამიკეთებია.

ა მ ბ რ ო ლ ა. აპა, რატომ შეუბნება ხალხი: ერთი შევიდა გყავს და ისიც რიგიანად ვერ გაგვიხრდიო? სოფელს შენგან და კეჭოუკასგან მოსვენება არა აქვს, დედ ერთია და ცხრა მამაბაბალობას იცნობენ. აგერ, სათხოვად წამოგიყვანე და წული გწყალებს. პატიოსან მუშაკაცს ხელისგულზე ნაკვერცხალი რომ დაადვა, არ უნდა დასწავს. შენც ასეთი ხელები უნდა გქონდეს. გაქ ჯერ? არა გაქ. უსაქმური აღმიანი ყველას ეკავებო. მურტრუსი ყულას შეილი სულ რომ არ მყავდეს, ის მირჩევიდა. თავსა შური, ბიჭო, თავს, გეყურება?

ყ არ ა მ ა ნ ი. აღარ მეყურება, არა! აღარც აქედან მეყურება (მარჯვენა ყურზე მიირტყამს ხელს). აღარც აქედან (მარცხენაზე მიირტყამს). ამდენმა ჩიჩინება მთლიანად დამაყურა!

ა მ ბ რ ო ლ ა. ნურაფერი გაგაგონის ჩემმა გამჩენმა!

ყ არ ა მ ა ნ ი. (თხის კვლევი დაანარცხა) არა გინდათ ჩემგან, დეღია!

ა მ ბ რ ო ლ ა. ბუერი არაფერი. სოფელ-ქვეყანაში ერთი შეუ დათქმევიანე: შეილი მყავს და ცისქვეშ ვცხოვრობ-მეთქი. აჰ, შეილო, შეილო, რავარც თხას კული არ გზრდები, ისე შენ — ჭკუა. შენგან კაცი არ დადგება, არა!

ყ არ ა მ ა ნ ი. აპა, აწი ქალად ზომ რომ გადავიცევი?

ა მ ბ რ ო ლ ა. უყურე ამას, მისხარდა რომ მიგდებეს! სადაცდა თავით ცის ჭერს ამტვრევ, მალე გასათიბი წყარ-ულავში ამოვივა, მამის ხათრი კი არა გაქვს. შენ ჩემი შეილი არა ხარ, არა!

ყ არ ა მ ა ნ ი. არა ვარ და, მოგშორდები! სულ წავალ აქედან, დეღია!

ა მ ბ რ ო ლ ა. ქვე სად წახვალ, შე გადარეული?

ყ არ ა მ ა ნ ი. სად წავალ და, ქალაქში. სხვები თუ წავიდნენ, მე რითი ვარ ხალხები? წავალ და გავმდიდრ-დები.

ა მ ბ რ ო ლ ა. გაი, დეღია! ქალაქში შენზე ადრე ვიყავი, მარა ხეირი არ მინახავს. ეს სამთხვე ქალაქზე გინდა გასცვალო? ნუ დაიშლი, თუ კაცი ხარ. ამაზე გემრიე-ლი და ლამაზი ქვეყანა არსად არ არის, შეილო, ტყუილად ნუ ეძებ.

ყ არ ა მ ა ნ ი. თუ უკეთესი არ არის, ყველა რატომ ვარ-ბის ქალაქში?

ა მ ბ რ ო ლ ა. შენისთანა თავქმელები ვარბინ. შენს ტყავში დატეხე და ამ მიწას მისხედე, თვარა ცხოვრება მამაჩემს...

ყ არ ა მ ა ნ ი. ამ მიწას, თვარა, უნდა ჩვენია ერთბაშად?!

